დამოუკიდებელი და ზეპარტიული
WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2024 წლის 22 - 28 აპრილი
N 18 1536
ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# კრემლიანი პონჩიკები ნაცმოძრაობისათვის



## ფრთხილად, გვამობის კანდიდატებო!



ვიქტორია ნულანდის მიერ დარიგებული ორცხობილებით ნაკვებმა „კიევურმა მაიდანმა“ უკრაინა კატასტროფამდე მიიყვანა, მაგრამ კრემლიანი პონჩიკებით გამოკვებილი ნაცები „თბილისურ მაიდანს“ ვერ მოაწყობენ და საქართველოს ვერ დაღუპავენ!

# ომის პარტია ცოფებს ყრის!

# სამი ელჩი პრემიერ კობახიძეს ნატო-სა და ევროკომისიის სახელით დაემუქრა!

***2024 წლის 15 აპრილს, როცა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტს განიხილავდნენ, მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძესთან შესახვედრად აშშ-ის ელჩი რობინ დანიგანი, დიდი ბრიტანეთის ელჩი მარკ კლეიტონი და ევროკავშირის ელჩი პაველ ჰერჩინსკი მივიდნენ.***



## მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრსა და დასავლურ ელჩიონს შორის უხერხული და უსიამოვნო საუბარი შედგა!

წინამდებარე გვერდზე დაბეჭდილ ფოტოზეც კი, რომელიც საქართველოს მთავრობის მეთაურისა და სამი დიპლომატის აუდიენციას ასახავს, ძნელი არ არის იმის ამოკითხვა, რომ **კობახიძესა და ელჩებს შორის, რბილად თუ ვიტყვით, მთლად საამო საუბარი არ შემდგარა.**

მეტაფორულად რომ ვთქვათ, **ფოტოობიექტივმა აღბეჭდა არამხოლოდ შეხვედრის მონაწილეთა ჰაბიტუსები და გამომეტყველება, არამედ საკმაოდ დაძაბული და უსიამოვნო აურაც, რომელიც შეხვედრაზე ტრიალებდა.**

რატომ ჩათვალეს საჭიროდ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ელჩებმა, პირადად მისულიყვნენ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში და ე.წ. დახურული შეხვედრა გაემართათ პრემიერ-მინისტრ **კობახიძესთან,** რომელმაც საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს საქვეყნოდ შესთავაზა — „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონთან დაკავშირებით საჯარო დისკუსია გავმართოთო?

ჩვენს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, **საქართველოს პრემიერ-მინისტრთან აუდიენცია თავად დიპლომატების თხოვნით შედგა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, შეხვედრის მთავარი ინიციატორები არც ისინი ყოფილან.** ხელისუფლებასთან დაახლოებული და კარგად ინფორმირებული წყარო გვიყვება, რომ **აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ელჩებმა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელთან შეხვედრის თხოვნა თუ დავალება ნატო-ს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგისაგან მიიღეს და კობახიძეს მისი გზავნილი გადასცეს** — „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონი არ უნდა მიიღოთო!

ოფიციალურ განცხადებაში, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციამ **კობახიძისა** და ელჩების შეხვედრის შემდეგ გაავრცელა, ნათქვამია:

> *„პრემიერ-მინისტრმა დიპლომატებთან საუბარში აღნიშნა, რომ გამჭვირვალობის კანონი სრულად შეესაბამება ყველა ძირითად სამართლებრივ პრინციპს და მხოლოდ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიასაშუალებების მიერ ფინანსების ყოველწლიურ გასაჯაროებას ემსახურება“.*

მთავრობის ადმინისტრაციის იმავე განცხადებაში ვკითხულობთ, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აშშ-ის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებთან საუბრისას აღნიშნა:

> ***„როცა მთავრობა გამჭვირვალობის მაგალითს აჩვენებს და ყველა გადაწყვეტილებასა თუ სამართლებრივ აქტს აქვეყნებს, გაუგებარია, არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის რატომ არის მიუღებელი გამჭვირვალობის მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილება?“***

თუმცა, მთავრობის ადმინისტრაციის განცხადებაში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რა უპასუხეს ან რა არგუმენტები დაუპირისპირეს უცხოელმა დიპლომატებმა საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოზიციას? კობახიძესთან დახურული შეხვედრის შემდეგ კომენტარი არც აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ელჩებს გაუკეთებიათ.

ხელისუფლებასთან მჭიდროდ დაახლოებული და ზუსტად ინფორმირებული წყარო გვიყვება, რომ **პრემიერ კობახიძესთან შესახვედრად მისულ სამ ელჩს მასთან არავითარი არგუმენტირებული მსჯელობა არ გაუმართავს, თუ რატომ არ უნდა მიიღოს საქართველომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონი, რომლის ანალოგის მიღებასაც თავად ევროკავშირის პარლამენტი გეგმავს?** სამაგიეროდ, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ელჩებმა, ნატო-სა და ევროკომისიის სახელით, საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს პირდაპირ ულტიმატუმის ტონით უთხრეს — **კანონი არ უნდა მიიღოთო,** წინააღმდეგ შემთხვევაში კი დაემუქრნენ, რომ ევროკომისიის პრეზიდენტი **ურსულა ფონ დერ ლაიენი** პირადად გააკეთებს განცხადებას ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაბლოკვის შესახებ!



ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი

მოგეხსენებათ, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შემდგომი ეტაპი გახლავთ კანდიდატ ქვეყანასთან მოლაპარაკებების გახსნა ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე, რასაც საქართველო 2024 წლის დეკემბრისათვის ელოდება. ჰოდა, ამერიკის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ელჩები საქართველოს პრემიერ-მინისტრის პოლიტიკურ შანტაჟს სწორედ ამ თემით ცდილობდნენ — **თუ გამჭვირვალობის კანონს მიიღებთ, ევროკომისია ევროკავშირში გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებს არ გაგიხსნითო!**

ცხადია, ეს წმინდა წყლის პოლიტიკური შანტაჟია, რაც საერთაშორისო პარტნიორებმა საქართველოს არც უნდა აკადრონ და ვერც უნდა გაუბედონ, მაგრამ პრობლემა სწორედ ის არის, რომ ისინი ქართულ სახელმწიფოს სუვერენულ ერთეულად კი არა, **შეზღუდული უფლებების მქონე პოლიტიკურ კოლონიად** განიხილავენ, რომელსაც ყურში უნდა მოჰკიდო ხელი და შენს ჭკუაზე ატარო.

როგორც ჩვენი წყარო გვეუბნება, ამერიკის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ელჩების მუქარას — **თუ გამჭვირვალობის კანონს მიიღებთ, ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გახსნას ვერ ეღირსებითო,** პრემიერმა **კობახიძემ** მკაფიოდ უპასუხა — **საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და გადაწყვეტილებებს თუნდაც მეგობრების კარნახითა თუ დირექტივით კი არა, საკუთარი სუვერენული ინტერესებიდან გამომდინარე მიიღებსო!**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, 2024 წლის 15 აპრილს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრსა და დასავლურ ელჩიონს შორის უხერხული და უსიამოვნო საუბარი შედგა, რასაც, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, წინამდებარე გვერდზე გამოქვეყნებული ფოტოც მოწმობს — **შეხვედრის მონაწილეებს საუბრის მთელი სიმძიმე გამომეტყველებაზე აქვთ აღბეჭდილი.**

ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდება მოვლენები და დაჰყვება თუ არა საქართველოს ხელისუფლება დასავლეთის შანტაჟს, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე ცხადია — **სასწორზე რომელიმე კანონი ან რომელიმე ევროპულ ორგანიზაციაში გაწევრიანება კი არა, ქართული სახელმწიფოს სუვერენიტეტი დევს!**

არავის დაზაფვრა და შეშინება არ გვინდა, მაგრამ საქართველოს წინ მძიმე დღეები ელის და **ქართველი ერი თავისი სახელმწიფოებრივი და ეროვნული თვითმყოფადობის დასაცავად უნდა მოემზადოს!**

**ამერიკის, ევროკავშირისა და დიდი ბრიტანეთის ელჩებმა საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელს უთხრეს, რომ გამჭვირვალობის კანონის მიღების შემთხვევაში, ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებებს დაბლოკავს!**

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



დარწმუნებული ვართ, **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი** არათუ საფრთხეს არ შეუქმნის ევროინტეგრაციას, პირიქით, მხოლოდ და მხოლოდ **უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციას.** ჩვენ თუ არ დავიცავთ სახელმწიფოს სუვერენიტეტს, დაგვემართება იგივე, **რაც დაემართა უკრაინას** და ასეთ შემთხვევაში, უკან მოგვრჩება მშვიდობაც და ევროინტეგრაციაც.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



ოპოზიციის გეგმა და მიზანი **დესტრუქცია, მეტი არეულობა, შფოთვა და ომია.** ისინი არიან, უნდა ვთქვათ პირდაპირ, **სხვა სახელმწიფოების ინტერესების გამტარებელნი.** როგორ შეიძლება ნაცმოძრაობის წარმომადგენელი ევროინტეგრაციაზე მესაუბრებოდეს? **ჯალათი როგორ შეიძლება ადამიანის უფლებებზე მესაუბრებოდეს?** 2012 წლამდე, უკაცრავად, ცოცხებს უყრიდნენ და „დუბინკებს“, ხვრეტდნენ ახალგაზრდებს.

„ახალი თაობა“

**ვახტანგ გომელაური**
*შინაგან საქმეთა მინისტრი*



ძალადობრივი ქმედებების შედეგად **დაშავდა 5 პოლიციელი,** აქედან ორი სამედიცინო დაწესებულებაში გადავიყვანეთ მძიმე დაზიანებებით — **აქციის მონაწილეები სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ პოლიციის თანამშრომლებს, აგინებდნენ, საშინელი სიტყვებით მოიხსენიებდნენ მათი ოჯახის წევრებს** და დანარჩენს აღარ გავაგრძელებ, იმ სიტყვებს ვერ გავიმეორებ ნამდვილად. **პოლიციელზე თავდასხმა ნიშნავს სახელმწიფო ინსტიტუტზე თავდასხმას** და ხაზგასმით ვამბობ, რომ ეს არის დაუშვებელი.

„ინტერპრესნიუსი“

# ფრთხილად, გვამობის კანდიდატებო!

***მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო, ხოლო ნაცს ელანდება და ესიზმრება მოკლული მომიტინგე, რადგან ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება, ცემით არ ამოხადო სული ადამიანს, რომელიც ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩაში გამოდის და პროტესტს გამოხატავს?***

ჰო, მიტინგზე **ერთი-ორი ნიკა კვინტრაძე და სულიკო ასათიანი** თუ არ მოკალი და იმათი ცხედრები მაღაზიის სახურავზე არ შეალაგე, მაშინ ხელისუფლება კი არა, თხლე ყოფილხარ!

ასე ესმის ნაცს და ასეთია ნაცის ფსიქოლოგია!

ჰოდა, ნაცია **გენერალი დევი ჭანკოტაძეც,** რომელმაც გასულ კვირას პარლამენტში **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ"** კანონპროექტის განხილვისას სიტყვა ითხოვა და როცა მიკროფონი ჩაურთეს, ხელისუფლებას მიმართა — **მე, როგორც სამხედრო პირი და გენერალი, გირჩევთ, ეს კანონი არ მიიღოთ, თორემ აქციაზე ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს, ყველაფერი ძალიან ცუდად დამთავრდებაო!**

გესმით? **ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოსო!**

ნაცის წარსული, ნაცის ნაქნარი და ჩადენილი, ნაცის ზნე და სულისკვეთება გვკარნახობს, რომ მის განცხადებაში — **„ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს",** ავტომატურად იგულისხმება — **„ერთი ადამიანი მაინც უნდა დაიღუპოს!"**

**„ორი გვამი მჭირდება!"** — პირდაპირ ამბობდა ნაცმინისტრი **ვანო მერაბიშვილი,** ხოლო ნაცდეპუტატ **დევი ჭანკოტაძის** ნათქვამი — **„ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს",** პირდაპირ ითარგმნება, როგორც **„ერთი გვამი მაინც გვჭირდება!"**

კი, ნაცებს სჭირდებათ გვამი, სისხლი, ქაოსი და არეულობა, რადგან მხოლოდ ასეთ ვითარებაში ხედავენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შანსს.

გავიხსენოთ თუნდაც 2015 წელი, თბილისი, „რუსთავი-2"-თან დაკავშირებული მოვლენები... ნაცები საპროტესტო აქციებს მართავენ, რათა მათ მიერ მიტაცებული ტელევიზიის კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნება არ დაუშვან... ამ დროს ვრცელდება ფარული აუდიოჩანაწერი, საიდანაც ვიგებთ, რომ სააკაშვილი კიევიდან ურეკავს თავის ტურფა **სოფო ნიჟარაძეს** და ეუბნება — **„მანდ სისხლისღვრა იქნება, „სტოპრო" იქნება, ქინძი ვიყო!"**

იმავე პერიოდში **„უკრაინული ვიკილიქსის"** საიტზე ე.წ. კრებსის სახით ქვეყნდება ფარული ჩანაწერი, რომელშიც სააკაშვილი **გვარამიას** ეუბნება, **კარგი იქნება, თუ მომიტინგეების სპეცრაზმთან დაპირისპირების დროს ფეხმძიმე ჟურნალისტი დაიღუპება...**

როგორც ყოველთვის, მაშინაც **გვამი სჭირდებოდა ნაცბანდას** — თუნდაც **ერთი მომიტინგის გვამი!**

როგორც ყოველთვის, ახლაც **გვამი სჭირდება ნაცბანდას — თუნდაც ერთი მომიტინგის გვამი!**

**ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს...** — ვითომ ხელისუფლებას აფრთხილებს დეპუტატი და **გენერალი ჭანკოტაძე,** რომელიც არამხოლოდ ნაცია, არამედ ძველი პუტჩისტიც გახლავთ და სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების გამოცდილება უმაგრებს ზურგს.




ჰო, **გენერალ ჭანკოტაძეს** ახლა მოაქვს თავი რუსეთთან დაპირისპირებულ პროდასავლელად, თორემ გუშინ სწორედ რუსული ქვემეხიდან ესროდა რუსულ ჭურვებს ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ დემოკრატიულად არჩეულ **ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას.**

„მხედრიონის" ლიდერი **ჯაბა იოსელიანი** თავის წიგნში — **„სამი განზომილება"** — წერს:

> *„გია ყარყარაშვილთან ერთად პოდპოლკოვნიკი პაატა დათუაშვილია, არტილერისტი. აქვეა **დევი ჭანკოტაძე,** ესეც საკადრო ოფიცერი.*
>
> *— დღეს ჯობია, მთელი დღე ვბომბოთ, — ამბობს **ყარყარაშვილი** — და ხვალისათვის მოვიფიქროთ რამე.*
>
> *იწყება სჯა-ბაასი, საიდან დავიწყოთ დაბომბვა. **დევი ჭანკოტაძე** გვთავაზობს პირდაპირ იმელის წინ, რუსთაველის ქუჩაზე, ნაღმსატყორცნი დავამონტაჟოთ, პაატა კი კომკავშირის ხეივანს აძლევს უპირატესობას. გადაწყდა: ერთი — იქიდან, მეორე — აქედან.*
>
> ***დათუაშვილი** მიდის, რათა მოამზადოს იქ ყველაფერი, დევის კი უკვე გამოაქვს ნაღმსატყორცნი რუსთაველზე. მე რაღაცებში ვეხმარები, თანაც ჩვენს დაზვერვას ველოდები".*




**„დევის უკვე გამოაქვს ნაღმსატყორცნი რუსთაველზე"** — ეს იყო გუშინ!

**„ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს!"** — ამბობს დღეს დევი, რომელმაც გუშინ რუსთაველზე ნაღმსატყორცნი გამოიტანა.

ჯაბა იოსელიანის მონათხრობს ადასტურებს საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ყოფილი მოადგილე, 2016 წელს გარდაცვლილი გენერალ-ლეიტენანტი **თამაზ დუმბაძეც,** რომელიც თავის წიგნში — **„თქვენ გასაგონად, ბიჭებო"** — იხსენებს:

> *„სასწრაფოდ ჩამოვიდნენ **გია ყარყარაშვილი** და **დევი ჭანკოტაძე.** ბრძოლის ხელმძღვანელობა გიას დაევალა. დევიმ ზარბაზანი (100-მილიმეტრიანი კალიბრის საზენიტო ქვემეხი KC-19 შეიარაღებაში ჰქონდა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ჯარები — ეროვნულ გვარდიას) სასტუმროს („თბილისი") წინ დადგა, ჯორჯიაშვილის ქუჩაზე."*

დევიმ გუშინ ქვემეხი დადგა სასტუმრო „თბილისის" წინ, დღეს კი ამბობს — **„ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს..."**

**დევი ჭანკოტაძის** ნაცური აწმყო და პუტჩისტური წარსულია სწორედ ის ლექსიკონი, რომელიც მის ნათქვამს — **„ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს",** განმარტავს, როგორც **„ერთი ადამიანი მაინც უნდა დაიღუპოს"** ან **„ერთი გვამი მაინც გვჭირდება".**

კი, სწორედ ეს არის დევის დევიზი და ნაცბანდის სამოქმედო გეგმა!

ნაცბანდა თავის მიზნებს გვამებისა და სისხლის გარეშე მაშინაც კი ვერ აღწევდა, როცა განუზომელი ძალაუფლება ეპყრა ხელთ, დღეს კი ბოლომდე გაკოტრებულ და გამარგინალებულ ნაცბანდას მით უფრო არ ძალუძს, თავისი პოლიტიკური ამოცანები სისხლისა და გვამების გარეშე გადაჭრას.

ამდენად, ნებისმიერ მომიტინგეს, ვინც გასულ კვირას რუსთაველის გამზირზე იდგა და მომავალშიც აპირებს, საქართველოს „ევროპული არჩევანი" მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის წარმომადგენელთა მხარდამხარ დაიცვას, ნაცები განიხილავენ როგორც პოტენციურ ტარიგს, რომელიც მათი რევანშისტული მიზნების სამსხვერპლოზე უნდა იქნას მიტანილი.

აკი, კლინიკა „ვივამედის" გენერალურმა დირექტორმა **ნინო ნადირაძემ** რამდენიმე დღის წინათ ტელეეთერში მოყვა:

> *„ვზივარ სააკაშვილის პალატაში და ვუყურებ ტელევიზორს. გამოაცხადეს, რომ კიევი დაიბომბა და 7 ადამიანი, მათ შორის, 2 ბავშვი დაიღუპა. მე წამსკდა ცრემლები და სააკაშვილი მეუბნება — **რა გატირებს, ეს არის სტატისტიკა და დიდი პოლიტიკა ამას მოითხოვსო! მე ვუთხარი** — კი მაგრამ, შენ რომ ერთი გრადუსით აგიწევს სიცხე, ლამის ციხეში მსვამ ყოველ მეორე დღეს და ის დაღუპული ხომ ვიღაცის შვილია, ვიღაცის დედაა, ძმაა?! **ჩვენ, დიდ პოლიტიკოსებს, ეს ხალხი უნდა შეგვეწიროსო!** — მიპასუხა".*

აი, ასე ფიქრობს **სააკაშვილი** და ასე აზროვნებს **მთელი მისი ნაცბანდა,** რომელსაც ახლა **ერთი გვამი მაინც სჭირდება** იმ რამდენიმე ათას მომიტინგეს შორის, რომელიც არარსებულ „რუსულ კანონს" რუსთაველის გამზირზე აპროტესტებს!

ასე რომ, ფრთხილად, გვამობის კანდიდატებო, ემანდ, სააკაშვილის ბანდამ „დიდი პოლიტიკისათვის" აუცილებელ „სტატისტიკაში" არ ჩაგწეროთ!

**ჯაბა ხუბუა**

**„ორი გვამი მჭირდება!" – პირდაპირ ამბობდა ნაცმინისტრი ვანო მერაბიშვილი, ხოლო ნაცდეპუტატ დევი ჭანკოტაძის ნათქვამი – „ერთი ადამიანიც რომ დაიღუპოს", პირდაპირ ითარგმნება, როგორც „ერთი გვამი მაინც გვჭირდება!"**

## კვირგვინოსნები

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



რა თქმა უნდა, **საქართველოს მომავალი არის ევროპა!** ვინმე ამაზე კითხვის ნიშანს სვამს? თუ რაიმე წარმატებას მივაღწიეთ ევროინტეგრაციის გზაზე, **ქართული პასპორტით ევროპულ ქვეყნებში რომ თავისუფლად გადავადგილდებით ვიზის გარეშე, ეს „ქართული ოცნების" ხელისუფლების პირობებში მოხდა.** ხელი მოეწერა ასოცირების ხელშეკრულებას, მივიღეთ კანდიდატის სტატუსი. პირობას გაძლევთ, რომ **სწორედ „ქართული ოცნების" პირობებში შევალთ ევროკავშირში.**

„ფეისბუქი"

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



თქვენ რაც ბრძანეთ, რომ **ახლა იქ ვინმე მოკვდესო,** ეს ძალიან ცუდი მინიშნება იყო. **რას ნიშნავს, მოკვდეს? როგორ შეიძლება ვინმე მოკვდეს? ნაცები კი არ ვართ, „რობოკოპი" ვინმეს მოსაკლავად გვყავდეს.** ნაცის გარდა ამ კითხვას ვინ მოიფიქრებს — აბა, რატომ ჰყავთ რობოკოპებიო.

„რეზონანსი"

**გიორგი გამსახურდია**
*ზვიად გამსახურდიას შვილი*



პუტჩისტმა **ჭანკოტაძემ,** „ექსპერტმა" **ბარბაქაძემ,** კრიმინალმა **ჟორიკამ** ჯეროვანი პასუხი რომ არ მიიღეს **კანონიერი ხელისუფლების დამხობისთვის,** იმიტომ არიან დიდ გულზე.

„აიპრესი"

**გიორგი გახარია**
*პარტია „გახარია საქართველოსთვის" ლიდერი*



მოვიდა დრო, **ივანიშვილმა** ოფიციალურად აიღოს პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზე და **წარადგინოს თავი პრემიერად** — ეს სამარცხვინო მდგომარეობა უნდა დასრულდეს.

„ინტერპრესნიუსი"

სპორტული ჟურნალისტის სამი ვაკანსია გაზეთში

557 47 01 01

*„ეს ბრძოლა ჯობდა, ახლა გადაგვეტანა, ვიდრე არჩევნების დროს“,* **— აცხადებს გამჭვირვალობის კანონპროექტის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟთან დაკავშირებით დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი და პრიმიტიულად მოაზროვნე ელიტის წარმომადგენლებისთვის კიდევ ერთხელ დასძენს, რომ კანონის მხარდაჭერით ჩვენთვის ევროპის კარი არ იხურება:**





## მაია ნიკოლეიშვილი:

# ახლა კომპარტიის ცეკა არის ევროკავშირის ბიუროკრატია!

— სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა შემოდგომიდან აპრილში იქნა გადმოტანილი, არადა, არჩევნების წინ რომ მომხდარიყო, როცა ფინანსური რესურსები გაცილებით მეტი იქნებოდა, ქვეყნის გადატრიალების ალბათობაც გაიზრდებოდა.

ოპოზიცია წამოეგო გამჭვირვალობის თემას და რაკი შარშან კოლოსალურად დიდი აგრესია ჩადო ამ ყველაფერში, ახლა კანონპროექტის დამტკიცებას რეაქციის გარეშე ვერ გაატარებდა. უფრო მეტიც, საზოგადოებამაც დაინახა, რომ ასე გავეშებით ფულის გამო იბრძვიან. 2003 წლამდეც ზუსტად ასე იყო, დიდი ფული შემოვიდა და მოხდა ე.წ. „ვარდების რევოლუცია“. ჩემი თვალით ვნახე, რა გზებით შემოდიოდა და როგორ თეთრდებოდა შავი ფული ქვეყანაში. **დიდი ფულის გამტარი ძირითადად უცხოური არასამთავრობო ორგანიზაციების ფილიალები იყვნენ.**

**— მაინც რა ფაქტების მოყვანა შეგიძლიათ?**

— მე მაშინ ექსპერტიზის ცენტრის დირექტორი ვიყავი და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის „safe the children“-ის საბუღალტრო დოკუმენტაცია უნდა შემოწმებულიყო. ყველაფერი გააკეთეს, რომ დოკუმენტაცია არ მოეწოდებინათ. მინისტრის მოადგილემ პირადად მთხოვა, ექსპერტიზა დოკუმენტაციის წარმოდგენის გარეშე გამეკეთებინა. როდესაც უარყოფითი პასუხი მიიღო — თავს საფრთხეში ვერ ჩავიგდებ, ექსპერტს ასეთ დავალებას ვერ მივცემ-მეთქი, დამიკონკრეტა, რომ ეს იყო **სანდრა რულოვსის** ორგანიზაცია და ჩვენ მას ყველანაირად უნდა დავხმარებოდით. ცხადია, ეს ნაბიჯი მაინც არ გადავდგი. როცა დარწმუნდნენ, რომ პრინციპულად არ ვაპირებდით ექსპერტიზის გაყალბებას, საერთოდ შეწყვიტეს გამოძიება.

სწორედ ამგვარი ორგანიზაციებია, დღეს ისტერიკაში რომ ვარდებიან თავიანთ ლობისტებთან და პარტიებთან ერთად. მე მაინც ვფიქრობ, რომ **ამ კანონის შემოტანა არის გარკვეული ტესტი და გაფრთხილება დონორებისთვის — არჩევნების წინ შავ ფულს აქ ნუ გამოუშვებთ, ჩვენ ვიცით, ამ ბინძურ ფულს სახელმწიფო გადატრიალებისთვის და სამხრეთ კავკასიის აწეწვისთვის იყენებთ.** ყველა მშვენივრად ხვდება, რომ ამ ფულიდან ძალიან დიდი ნაწილი ჩვენს მეზობელ სომხეთში გადის, სადაც არეულობები იგეგმება. ბინძური ფულის შემოსვლით მხოლოდ საქართველოს უსაფრთხოება კი არ დგება კითხვის ნიშნის ქვეშ, არამედ მთლიანად რეგიონის უსაფრთხოება.

**— ანუ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება სწორად მოიქცა, როცა კანონპროექტი ხელმეორედ წარადგინა პარლამენტში?**

— რა თქმა უნდა! ცხადია, რისკებიც არის, რომ უმართავი პროცესები განვითარდეს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ — ეს რისკები იმასთან შედარებით, რაც შეიძლებოდა შემოდგომაზე მომხდარიყო, ბევრად ნაკლებია.

**— მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში უამრავი ახალგაზრდაა გამოსული კანონის გასაპროტესტებლად?**

— ქუჩაში ძირითადად დატრენინგებული ახალგაზრდობაა გამოსული. სამწუხაროდ, დღეს საგანმანათლებლო დაწესებულებები ნეოლიბერალების სამჭედლოდ არის გადაქცეული. მიმაჩნია, თანამდებობიდან უნდა განთავისუფლდნენ ლექტორები, რომლებიც ამ პროცესებში მონაწილეობენ და, საერთოდ, ნეტა იმათ ტვინში ჩამახედა, ვინც დღეს პარლამენტის წინ დგას და ამბობს, ევროპულ მომავალს ვიცავო. რა კავშირშია ეს ყველაფერი ევროპულ მომავალთან?!

**— ევროპელი ლიდერები პირდაპირ ამბობენ, რომ კანონის მიღება ხელს შეუშლის საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას.**

— ჯერ ერთი, ევროკავშირის გაფართოება 2030 წლამდე არ იგეგმება და მთელი პროცედურებია გასავლელი. ამასთანავე, **ორბანმა** უკვე ღიად განაცხადა, ევროკავშირის ლიდერები უნდა შეიცვალონ, რამდენიმე უმნიშვნელოვანესი პროექტი ჩააგდეს, ჩვენ ახალი ლიდერები გვჭირდებაო.

ევროკავშირის ის ლიდერები, რომლებიც ყოველთვის ნაცმოძრაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ, როდის იყვნენ საქართველოს მხარეს?! მაგრამ, საბედნიეროდ, იქ მხოლოდ **კრამონები, მიშელები, ბრუსკეტები და მარკეტები** არ არიან, გონიერი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც გადასარევად ხვდებიან, რომ ომის შედეგად უკრაინის შემდეგ ყველაზე მეტად ევროპა დაზარალდა. **ისიც კარგად იციან, რომ საქართველოზე გამავალი შუა დერეფანი ევროპისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.**

**ბრუსკეტები, კუბილიუსები** და ა.შ. არიან ჩვეულებრივი დაქირავებული ლობისტები.






**„ყირგიზეთიდან აგენტების კანონის მიღების შემდეგ გავიდა სოროსის ფონდი. როგორ გგონიათ, უბრალო დამთხვევა იყო ეს?!“**

მოიშველიებენ მათ განცხადებებს აბა, რა იქნება?! იმას ხომ არ იტყვიან, მე რომ აქედან ქრთამის სახით ფულს ვიღებ, გამოაქვეყნეთო? **ნინო ლომჯარია** მუშტებს რომ უბრახუნებს — ჩამოდით, 1921 წელიაო, — ეს მუშტის ბრახუნი იმას ნიშნავს, **თუ არ გინდათ, თქვენი ფულები გამოჩნდეს, გვერდით დაგვიდექით და იმოქმედეთო!**

რა ვქნათ, ვიყოთ ჩაკუზულები და დაველოდოთ, ხვალ პანჩურს როგორ ამოგვარტყამენ?! რატომ შეიძლება იყოს „ფარა“ ამერიკაში და არ შეიძლება იყოს საქართველოში? იმიტომ, რომ იქ სხვა საათობრივი სარტყელია?! თუ ისინი მაღალი ხარისხის ადამიანები არიან და ჩვენ დაბალი? დიდი ბოდიში რა. საქართველო უზარმაზარი ისტორიის მქონე სახელმწიფოა, დიდი გამოცდილებით, მათი თავში წამოსარტყმელი არავინ არის! პირდაპირ, ვამბობ, **ეს არის ბინძური, დამპლური პოლიტიკური თამაშები. ის, რაც დღეს**

## კვირგვინოსნები

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



გვეუბნებოდნენ, რომ, **თუ სააკაშვილს არ გავუშვებდით საზღვარგარეთ, დაიკეტებოდა გზა ევროკავშირისკენ** — სააკაშვილი ციხეშია, საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა.

„ინტერპრესნიუსი“

**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის“ გენერალური მდივანი*



**გამჭვირვალობის კანონი არის ქართული,** რომელიც ემსახურება საქართველოს უსაფრთხოებას, საზოგადოების ინტერესების დაცვას და **არა — ცალ ფეხზე დგომას.**

„იმედინიუსი“

**ეკა სეფაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



**არა რუსულ კანონს!** დიახ, **არა რუსულ კანონს!** ქართული პარლამენტი **რუსულ კანონს არ მიიღებს!** ეს კარგად შეიგნეთ და დაიმახსოვრეთ. **გამჭვირვალობის შესახებ კანონი ქართულია,** დაიწერა საქართველოში და ემსახურება ქართულ სახელმწიფოს.

„იმედინიუსი“

**სოზარ სუბარი**
*პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე*



პატივცემულ **მილერს** და ქართული სასამართლოს **„დაუძინებელ მეგობრებს“** ავიწყდებათ, რომ **მათ ქვეყანაში სასამართლოს მიმართ ნდობა მინიმალურია,** ქართული სასამართლო კი ნაბიჯ-ნაბიჯ წინ მიიწევს.

„ინტერპრესნიუსი“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



ქართველების გადასაწყვეტია, **რა კანონები ექნებათ** ქვეყანაში!

„საქართველოს რესპუბლიკა“




# „ნეტა იმათ ტვინში ჩამახედა, ვინც დღეს პარლამენტის წინ დგას და ამბობს, ევროპულ მომავალს ვიცავო!“

**ხდება, საქართველოს სუვერენიტეტისთვის დაახლოებით იმ მასშტაბის მოვლენაა, რაც იყო 1978 წლის 14 აპრილი.**

**— ამ მოვლენასთან აქციაზე მდგომი ადამიანებიც ავლენენ პარალელს, ოღონდ სულ სხვა კონტექსტში...**

— ტვინგადაბრუნებულები, ცხადია, უკუღმა ხედავენ ყველაფერს. რეალობა ის გახლავთ, რომ **ახლა კომპარტიის ცეკა არის ევროკავშირის ბიუროკრატია.** უბრალოდ, ოფისმა მოსკოვიდან ბრიუსელში გადაინაცვლა. მაშინაც ამბობდნენ, საქართველოში ქართული ენა უნდა გაუქმდეს, ყველგან რუსულია მთავარი ენა, როგორ შეიძლება თქვენთან ქართული იყოსო, მაგრამ ხომ არ გაუქმდა? ხომ შევინარჩუნეთ? **ახლა ბრიუსელის კომპარტიის ცეკა იმავეს აკეთებს, რასაც კომუნისტური პარტიის ცეკა აკეთებდა საბჭოთა კავშირის დროს.** რა ვქნათ, დავხაროთ თავი? ხვალ რომ გვითხრან, ინგლისური უნდა იყოს მთავარი ენაო, დავთანხმდეთ? სააკაშვილის დროს ხომ აქეთ მიდიოდა საქმე, ფილმებს ქართული სუბტიტრებით გვაყურებინებდნენ.

კიდევ ერთხელ ვკითხულობ — ბრიუსელში, ამერიკაში, საფრანგეთში თუ შეიძლება, რატომ არ უნდათ ამ კანონის მიღება საქართველოში? იმიტომ რომ, აქ სურთ არეულობა და არ უნდათ, ყველამ გაიგოს, როგორ ირეცხება შავი ფული? ყველა, ვინც ამ პროცესში მონაწილეობს, იდენტიფიცირებას უკეთებს საკუთარ თავს. **ყირგიზეთიდან აგენტების კანონის მიღების შემდეგ გავიდა სოროსის ფონდი. როგორ გგონიათ, უბრალო დამთხვევა იყო ეს?!**

## სოროსი რომ გადატრიალებებს აფინანსებს, ისედაც ყველასთვის ცნობილია და საქართველოდანაც თუ წაეთრევა, ძალიან კარგი იქნება. საიდანაც ის წავიდა, ყველა ქვეყანამ ამოისუნთქა.

**— დავიჯერო, ამ ყველაფერს ვერ ხვდებიან საზოგადოების ის ცნობილი სახეები, რომლებიც ხმას უწყობენ რადიკალებს — არა „რუსულ კანონსო“?!**

— ეს არის ცხვრის ფარის სინდრომი, ფიქრობენ, მათი მწირი გარემოცვის უმრავლესობა ასე ფიქრობს და ჩვენც არ ჩამოვრჩეთო. ზოგადად, ცნობილია, რომ ისინი სიღრმეებში არ შედიან, ეს არც მოეთხოვებათ, მარტივად რომ განუმარტა **ნინო ლომჯარიამ და ეკა ბიბაურმა,** ამიტომაც გამოდიან და ამბობენ — **ტანით ვგრძნობთო.** კანონი თხა და გიგოს ზღაპარი არ არის!

**— ხელისუფლებას არაფერს ეტყოდით?**

— გასაგებია, რომ „ქართულ ოცნებას“ საქართველოს მოსახლეობის 60 პროცენტამდე უჭერს მხარს, მაგრამ წვეთი ქვას ხვრეტსო. ამ პროცესებმა სუსტი ადგილები კიდევ უფრო გამოკვეთა. პრობლემები არის საზოგადოების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით. სერიოზული სამუშაოებია სახელოვნებო და სპორტულ წრეებში. **განათლების მინისტრისგან მოვისმინე, სკოლები გარემონტდებაო. სკოლების გარემონტება არაფრის მომცემი არ არის, თუ იქ ბავშვი საქართველოს სიყვარულით არ გაიზრდება.**

სააკაშვილმა ინტელექტუალური ელიტა თავისი ელიტით ჩაანაცვლა, სადაც ტრანსგენდერი, საშუალო ნიჭის მქონე მომღერლები, ლომჯარიები და ის ადამიანები შეიყვანა, ვინც მას სჭირდებოდა თავისი ინტერესების გასატარებლად. დღეს ბევრს ჰგონია, რომ ეს არის ელიტა და მათ უნდა ვკითხოთ ჭკუა. **არა, ბატონებო! სუხიშვილები კარგად რომ ცეკვავენ, იმას არ ნიშნავს, რომ კარგი პოლიტიკოსები არიან.** ნამდვილი საზოგადოებრივი, ინტელექტუალური ელიტა უნდა შეამჩნიონ და ჩრდილიდან გამოიყვანონ! არ შეიძლება, ამდენი მანიპულაციის მსხვერპლი და დაშტერებული ადამიანი იყოს ქვეყანაში, რომელსაც ჰგონია, რომ ამ კანონის მხარდაჭერით ევროპაზე ვამბობთ უარს.

დარწმუნებული ვარ, კანონპროექტის უკან გაწვევა არ მოხდება და არც უნდა მოხდეს. **მამუკა მდინარაძემ** იმხელა პროვოკაციის შემდეგ კანონზე მსჯელობა რომ გააგრძელა, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ბოლომდე იბრძვიან. პარლამენტმა ყველა ის კანონი უნდა მიიღოს, რაც დაანონსებულია — სიწმინდეების შეურაცხყოფის, ცილისწამების, ოჯახის დაცვის, ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ და ა.შ. **ეს მმართველ გუნდს საკმაოდ ბევრ მხარდამჭერს შეჰმატებს!**

*ესაუბრა*

***ნატო ფოცხიშვილი***

# მაყვალა ბერიანიძე:

## მე რომ ათი–თხუთმეტი კაცი მაინც დავასახელო, ვინც იმ აგენტების სიაში ვნახე, საქართველოში შესაძლოა, ომი დაიწყოს!



***ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე ე.წ. ოპოზიციის შავბნელ გეგმებს ამხელს და სპეცსამსახურებს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ დააპატიმრონ „ფრანკლინის კლუბი“:***

— ვიცნობ კაცს, რომელსაც ორი შვილი ჰყავს. ცოლმა მესამე ბავშვი სხვა კაცთან გააჩინა და ჩვილი სახლში ქმარს მიუყვანა. როცა ქმარმა ცოლს ჰკითხა — ბავშვი ვისიაო? — კაცს ეს ჩაუთვალეს მეუღლეზე ფსიქოლოგიურ ძალადობად და პატრულმა ორდერი გამოუწერა. **დღეს ის კაცი იმ მოღალატე ცოლთან და სხვის გაკეთებულ ბავშვთან ერთად ცხოვრობს და „ფსიქოლოგიური ზეწოლისა“ და, შესაბამისად, ციხეში წასვლის შიშით ხმას ვერ იღებს!** კი მაგრამ, „იმედისა“ და „პოსტივის“ ჟურნალისტებს, განსაკუთრებით **ნათია ბერიძესა და გიორგი აბაზაძეს**, ეს გავეშებული და ამაზრზენი ბრბო ამ დღეებში რასაც უკეთებდა, არ იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა? ნათია ბერიძესთან ვიღაც ზორბა მამაკაცი რომ მივიდა, თავი თავთან მიუტანა და ყურში რაღაც უთხრა, დარწმუნებული ვარ, დედა შეაგინა და ის კაცი დაჭერილი რატომ არ არის? **ნიკა გვარამიამ რომ მთვარისა ნავერიანზე იძალადა, პასუხი რატომ არ აგებინეს?** სადამდე შეიძლება გაგრძელდეს ეს უზნეობა? არასოდეს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ ვაპირებ, შევიდე ამ ორგანიზაციაში და ხელისუფლების წინაშე უმწვავესად დავაყენო სააკაშვილის სექტის მიერ ჟურნალისტებზე ფსიქოლოგიური ძალადობის საკითხი!

**— ფსიქოლოგიური ზეწოლა კი არა, „იმედისა“ და „პოსტივის“ ჟურნალისტებს 17 აპრილის ღამეს სექტანტებმა დანები გაუშალეს და დაჭრით ემუქრებოდნენ!**

— უკვე ითქვა, რომ საქართველოში 200 მილიონი დოლარი „შავი ფულის“ სახით შემოიტანეს და საარჩევნოდ კიდევ აპირებენ რამდენიმე მილიარდის შემოტანას, რათა გადატრიალება მოაწყონ! სწორედ ამიტომ დააინიცირა ეს კანონი ხელისუფლებამ თავიდან. რაც შეეხება **ალეკო ელისაშვილს,** ვთქვი და კიდევ ვიმეორებ: **ვინც ალეკო ელისაშვილი და მისი ორკაციანი პარტია ჯერ — საკრებულოში და მერე პარლამენტში შეათრია, კეთილი ინებოს და იმან აგებინოს ამ გარეწარს პასუხი!** ელისაშვილმა მამუკა მდინარაძეს კი არა, იმას დაარტყა, ვინც ის პარლამენტში შეათრია და ტრიბუნა მისცა! გადაახვიეთ და კარგად დააკვირდით **ალეკო ელისაშვილს,** რომელიც **სათენიკას** გვერდით იჯდა და თავდასხმამდე საშინლად ნერვიულობდა. ხან ყბებს გამობერავდა, ხან რას შვრებოდა და ხან — რას, რადგან **დავალება ჰქონდა, რომ მამუკა მდინარაძეს თავს დასხმოდა.**

**— უკაცრავად, სათენიკა ვინ არის?**

— **სათენიკა ე.წ. სალომე სამადაშვილია!** დანამდვილებით ვიცი, რომ ე.წ. სალომე სამადაშვილს სათენიკა ჰქვია! **ალეკო ელისაშვილი** ისეთი გარეწარია, შესაძლოა, ისიც კი თქვას — მამუკა მდინარაძეზე თავდასხმა „ქართულმა ოცნებამ“ დამიკვეთაო! გაიხსენეთ მისი სიტყვები — უდიდესი შეცდომა დავუშვი, შალვას ფანჩატურში რომ დავჯექიო! ასეთი არაკაცური არაფერი მინახავს. **იცით, რატომ გაბედა, რაც გაბედა? იმიტომ, რომ ნიკა გვარამია არ დაისაჯა, რო-**

გაგრძელება მე–6 გვერდზე



## „დანამდვილებით ვიცი, რომ ე.წ. სალომე სამადაშვილს სათენიკა ჰქვია!“

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადეგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



მას შემდეგ, რაც **„შაპიტოს“ ცირკი ვერ შედგა** ქუჩაში, პარლამენტში სცადეს აურზაურის მოწყობა — **ელისაშვილმაც** საკუთარ თავზე აიღო მთელი ნაგავი და ისე მოიქცა, როგორც **უკანასკნელი დონის ნაძირალა.**

„იმედინიუსი“

**თამთა მეგრელიშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



ახლახან **ელენე ხოშტარიასა** და მისი ოჯახის ანგარიშზე **მოსკოვიდან ლონდონის ერთ-ერთი ბანკის მეშვეობით 30 000 ფუნტი ჩაირიცხა.** ამ ფაქტმა არ დაგაბნიოთ, ეს ამჯერადაც **რუსული რუბლია,** უბრალოდ, სხვა ვალუტაში დათვლილი.

„იმედინიუსი“

**გურამ მაჭარაშვილი**
*„ხალხის ძალის“ წევრი*



საქართველოს მტრები, ქვეყნის შიგნიდან თუ გარედან, **პირდაპირ მოუწოდებენ რადიკალებს რევოლუციური შტურმისკენ.** საქართველოს სუვერენიტეტს ყველამ პატივი სცეს და **თქვან, გამჭვირვალობა რატომ არის არაევროპული.**

„პირველი არხი“

**გიორგი აბდალაძე**
*ფოტოგრაფი*



ესენი ცდილობენ, **ყველაფერს რუსული ეძახონ.** ეს იარლიყი ნაციონალების მიკერებულია. **ისინი ყველას აგენტებს არქმევდნენ — ფოტოგრაფებსაც, მეომრებსაც, ჯარისკაცებსაც.** დღეს ის რეჟიმი აღარ არის. თუ რამე გადაცდომა მოხდება, ამაზე სახელმწიფო რეაგირებს. იმედია, **ხალხი ამათ ოქტომბერში, არჩევნებზე გასცემს პასუხს.**

„კვირის პალიტრა“

*დასაწყისი მე-5 გვერდზე*

ცა მთვარისა ნავერიანს თავს დაესხა.

**— აშკარაა, რომ ნაცსექტა და მთელი მისი ლგბტ აგენტურა ცდილობენ სპეცრაზმისა და პოლიციის პროვოცირებას, რათა სისხლი დაიღვაროს. როგორ ფიქრობთ, პროცესი გამწვავდება?**

— საშიში ვითარებაა, რადგან მიტინგზე უკვე ცივი იარაღით შეიარაღებული სექტანტები გამოჩნდნენ. ჰკითხეთ სალომე ზურაბიშვილის მრჩეველს, გენერალ **დავით თევზაძეს**, 2003 წლის ე.წ. „ვარდების რევოლუციის" დროს ვინ მისცა შეიარაღებულ მომიტინგეებს იარაღი?

**— ვინ მისცა?**

— თევზაძე მაშინ თავდაცვის მინისტრი იყო, რომელმაც განაცხადა — მე გადავამოწმე და ბაზების დათვალიერება დავიწყე, ჩემგან ხომ არ გაიტანეს იარაღიო! არავინ ლაპარაკობს იმაზე, როგორ აღმოჩნდა იარაღი სააკაშვილისა და მისი ხროვის ხელში.

**— შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა კახა თარგამაძემ ჩემთან საგაზეთო საუბარში ოფიციალურად განაცხადა, რომ გენერალი დავით თევზაძე და ირაკლი ალასანია ამერიკული „ცერეუს" აგენტები არიან, რომლებსაც ფიცი საქართველოსთვის კი არა, „ცერეუსთვის" აქვთ მიცემული!**

— ამიტომაც მაშინებს ის ფაქტი, რომ მიტინგზე უკვე გამოჩნდა ცივი იარაღი; აქციაზე **ნიკა გვარამია** პოლიციას ეუბნებოდა — **ჩვენ ბევრი ვართო!** ხოლო **გიორგი ბარამიძე** ერთ ამბავში იყო — **სად არის სპეცრაზმი და პოლიციაო!** ნებისმიერ უბედურებაზე არიან წამსვლელი. გაგახსენებთ **ეროსი კიწმარიშვილის** ჩანაწერებს, სადაც ე.წ. „ვარდების რევოლუციის" დღეებში სააკაშვილისა და ამერიკის ელჩ **რიჩარდ მაილსის** შეხვედრის შესახებ არის ლაპარაკი. იქ ეროსი პირდაპირ აცხადებს — **რიჩარდ მაილსმა ჰკითხა სააკაშვილს — შევარდნაძე მაინც ცნობილი ფიგურაა, მასთან ასე ხელალებით ბრძოლა ძალიან ძნელია და რა არის საჭირო რევოლუციის მოსახდენად? — 20 გვამი! — უპასუხა სააკაშვილმა!**

თუ არ ვცდები, ამ ფაქტს დავით თევზაძეც ადასტურებდა. ვანო მერაბიშვილი ოციდან ორ გვამზე ჩამოვიდა, ხოლო მერე სააკაშვილი ნიკა გვარამიას ავალებდა — **„რუსთავი-2"-ის ეზოში ერთი ფეხმძიმე ქალი თუ მოკვდება, გვეშველებაო!** როგორც იტყვიან, ამათთან ყველაფერი მოსულა. ისე, ცნობისათვის, **გია ბარამიძისთვის** საქართველო სამშობლო არ არის, მისი სამშობლო **ბალტიისპირეთშია** და ეს ყველამ იცის.

სპეცსამსახურებო, დროზე მიხედეთ „ფრანკლინის კლუბს"! არადა, ძალიან კარგად იციან, ვინ ვისი აგენტია! კურიოზულ ფაქტს გავიხსენებ: როცა მოსმენებთან დაკავშირებით საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის საკითხი იხილებოდა, ისეთი მძლავრი კომისია შეიქმნა, ის მინისტრი გაუშვეს! უშიშროების მინისტრს მიაყოლეს გენერალური პროკურორიც. მოკლედ, საკითხები რომ იხილებოდა, ძველმა და ახალმა უშიშროების მინისტრებმა, რომლებიც ძალიან შეშინებული ჩანდნენ, აგენტების სია მოიტანეს თავისი ფსევდონიმებით. ამ დოკუმენტების გამომზეურებამ ისეთი შოკი გამოიწვია, მასალებს მაშინვე დავაწერე — „სოს!"

**— თქვენ ნახეთ აგენტების სია?**

— დიახ, აგენტების სიას გავეცანი და ისეთი შოკი მივიღე, ერთი თვის განმავლობაში ნორმალურად საჭმელი ვერ შევჭამე!

**— აქ ამერიკული „ცერეუს", რუსული „ფეესბესა" და ქართული სპეცსამსახურების აგენტებზეა საუბარი?**

— დიახ! **მე რომ ათი-თხუთმეტი კაცი მაინც დავასახელო, ვინც იმ აგენტების სიაში ვნახე, საქართველოში შესაძლოა, ომი დაიწყოს!** ისე, ვიღაც-ვიღაცები თუ არ გაჩერდებიან და ჩემს სამშობლოს რეალურ საფრთხეს შეუქმნიან, ვამხელ და, როგორც აგენტებს, დავასახელებ! ოპოზიციამ თავად განაცხადა — საქართველოში 35 ათასი არასამთავრობო ორგანიზაცია არისო!





**„ვინც ალეკო ელისაშვილი და მისი ორკაციანი პარტია ჯერ — საკრებულოში და მერე პარლამენტში შეათრია, კეთილი ინებოს და იმან აგებინოს ამ გარეწარს პასუხი!"**

## მაყვალა ბერიანიძე:

# ელისაშვილმა მამუკა მდინარაძეს კი არა, იმას დაარტყა, ვინც ის პარლამენტში შეათრია და ტრიბუნა მისცა!

### მოვუწოდებ იუსტიციის სამინისტროს, გამოაქვეყნოს ამ 35 ათასი არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფონდის სია და ხალხი თვითონ იტყვის, რომელია მათ შორის პატიოსანი ორგანიზაცია და რომელი – არა!

ხალხო, წელიწადში 85 მილიონი დოლარია შემოსული „ენჯეოებზე" და ამ ფულის 90 პროცენტზე მეტი, იმ 35 ათასი „ენჯეოდან" მხოლოდ შვიდსა თუ რვაზეა გადანაწილებული. ოპოზიციის მიტინგებზე გამოვიდა **გიორგი ქადაგიძე,** რომელიც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი იყო. ჰოდა, გამოაქვეყნოს ხელფასებისა და ბონუსების სახით რამდენი მიიღო და ხალხი თვითონ გადაწყვეტს, ვისკენ გაიხედოს! 30 წელზე მეტია, თბილისში, ყიფშიძის ქუჩის №5ბ-ში, ბინის მშენებლობის დაწყებას ელოდებიან, მაგრამ **გიორგი ქადაგიძის ძმამ,** რომელმაც საკონტროლო პაკეტი 20 ლარად იყიდა, ყველაფერი აურ-დაურია. ესენი ხალხისთვის გააკეთებენ რამეს? ბიძინა რომ მოდიოდა, სააკაშვილმა იცოდა, ამიტომაც იპუტავდა ყველაფერს. ნაცებმა რომ დაინახეს, გასაქცევად ჰქონდათ საქმე, დაიწყეს ფულების უცხოეთში გადაქაჩვა. ასე, მაგალითად, წასვლის წინ რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **ირაკლი ეზუგბაიამ** და სამმა-ოთხმა კაცმა სამ-სამი მილიონი გამოიწერეს და წაიღეს! ნაცმოძრაობა თავის ხალხს მილიონებს ახარჯავდა.

**— მაგალითად!**

— მაგალითად, ადეიშვილის მოადგილე **ოთო კახიძე** ჰარვარდის ბიზნეს-სკოლაში კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნეს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 95 ათას 57 ლარი გადაურიცხეს. ეს იყო ერთი პატარა კურსებისთვის საჭირო ფული. ნაცებს შექმნილი ჰქონდათ რაღაც კომისია, რომელშიც შეყვანილი ჰყავდათ **დიმიტრი შაშკინი, ნიკა რურუა, კახა ბაინდურაშვილი, ეკატერინე ზღულაძე, ვახტანგ ლეჟავა, დათო ტყეშელაშვილი...** ამ კომისიას დაარქვეს „ცოდნის კარი"... აი, მაგალითად, **თინა ბოკუჩავა,** რომელიც კონტროლის პალატის თავმჯდომარის მოადგილე იყო, სწორედ ამ „ცოდნის კარის" მეშვეობით ტაფტის უნივერსიტეტში გაგზავნეს და 42 455 ლარი გადაურიცხეს. რაღაც კურსების დასამთავრებლად **გიორგი ვაშაძეს** ბიუჯეტიდან 35 ათასი ლარი გადაუხადეს... **ნიკა გვარამია** განათლების მინისტრი იყო, როცა 162 155 ლარი გადაურიცხეს და ჯორჯიის უნივერსიტეტში ინგლისური ენის შესასწავლად გაუშვეს. **ნინო კალანდაძეს,** რომელსაც ყალბი დიპლომი აქვს და გერმანიაში ყვავილებს ყიდდა, 2010-2011 წლებში ჯერ 18 525 ლარი ჩაურიცხეს, მერე — 28 298 ლარი, შემდეგ დეპუტატი გახადეს, ხოლო სულ ბოლოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ გაამწესეს და ათქმევინეს — **გარეჯი ჩვენი არ არისო!** სააკაშვილის ყოფილი მრჩეველი **ოთარ ძიძიკაშვილი** რაღაც გაურკვეველ კურსებზე გაგზავნეს და 111 897 ლარი გადაუხადეს. **ვასილ სიხარულიძეს** ასევე „კურსებზე" აურაცხელი თანხები ჩაურიცხეს...

**— რას ელოდებით უახლოეს პერიოდში?**

— ამათ ხელში კარგს არაფერს ველოდები, მაგრამ, თუ საქართველოში 35 ათასი „ენჯეოა" და მიტინგზე ოთხი-ხუთი ათასი კაცის მეტი ვერ გამოჰყავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს გვერდით დგას. ბარამიძის განცხადება — რატომ არ არის სპეცრაზმი? რატომ არ არიან პოლიციელები?" — შემთხვევითი არ არის, რაღაც მზაკვრობისთვის ემზადებიან.

იცით, რატომ მეშინია? როცა **სააკაშვილმა 2003 წელს ამერიკის ელჩს იმის თქმა გაუბედა — 20 გვამი გვექნებაო!** — კაცმა არ იცის, ესენი რაზე წავლენ! უკრაინაში უმძიმესი ვითარებაა. როგორც ჩვენ არ დავთანხმდით და მთელი ამერიკისა და ნატოს ხელმძღვანელობა ფართხაფურთხით ჩამოვიდა საქართველოში, სწორედ ისე, უკრაინა არ თანხმდება, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე მიიღონ ნატოში! აი, ეს არის მიზეზი, უკრაინას რომ არ ეხმარებიან და ეუბნებიან — კრედიტი აიღეთო!

ამ ფონზე კავკასიასა და საქართველოში არეულობისა და სისხლისღვრის ახალი კერის შექმნა უკრაინისთვის ძალიან მომგებიანი იქნება. ამ საქმეში მთავარი ფუნქცია უნდა შეასრულოს იმ ათასობით მოქალაქემ, რომელიც 26 ქართველმა ცერეუშნიკმა გადაიბირა და ამერიკის აგენტად აქცია. 2013 წლის მაისში ამის შესახებ საგანგებოდ წერდა უჭკვიანესი ქართველი ჟურნალისტი **ხათუნა ელბაქიძე,** რომელმაც თავისი შეფასებებით ნამდვილად გაუსწრო დროს!



**„ჰკითხეთ სალომე ზურაბიშვილის მრჩეველს, გენერალ დავით თევზაძეს, ე.წ. „ვარდების რევოლუციის" დროს ვინ მისცა შეიარაღებულ მომიტინგეებს იარაღი?"**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***

## კვირგვინოსნები

**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



მივმართავ ოპონენტებს, **ნამდვილ „ქართულ ოცნებას" მაინც ვერ გაარუსებთ,** ბრძოლა საქართველოს ევროკავშირის წევრობამდე მისაყვანად დაწყებულია და ბოლომდე მივიყვანთ. „პირველი არხი"

**ალუდა ღუდუშაური**
*პარლამენტარი*



**სალომე ზურაბიშვილმა პირი კარგად გამოირეცხოს,** როცა საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესებზე საუბრობს.

„პირველი არხი"

**დავით მათიკაშვილი**
*პარლამენტარი*



**ელისაშვილის** საქციელი იყოს გაფრთხილება — **ერთ მუშტს მოიქნევთ?!** ათი მოგხვდებათ. ეს კარგად გაითვალისწინეთ და გაიგეთ. **ამ მზაკვრობას და ლაჩრობას არავინ არავის შეარჩენს!** „აიპრესი"

**რომან გოცირიძე**
*„ევროოპტიმისტების" თავმჯდომარე, პარლამენტარი*



როცა ამბობთ, **ერთი მუშტის მოქნევის შემდეგ ათი მოგხვდებათო,** მაშინ მე გეუბნებით თქვენ — **ვინც ქარს თესავს, ქარიშხალს მოიმკის!**

„ინტერპრესნიუსი"

**ბექა ოდიშარია**
*პარლამენტარი*



ნაციონალურ მოძრაობაში **დღესაც არიან დამფინანსებლები, რომელთაც რუსეთის ფედერაციაში აქვთ უზარმაზარი ბიზნესები.**

„რეზონანსი"

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



**ელისაშვილი** არის **პოლიტიკური მეძავი,** რომელიც „ლელოში" თუ ხუთპროცენტიან ბარიერთან ახლოს მყოფ სხვა ნაცპარტიაში **სიაში მოსახვედრად თავისიანებსაც კი დაალომბარდებს.** „რეზონანსი"

გიორგი მამაცაშვილი

# კი – გამჭვირვალობასა და ისეთ ევროპას, სადაც სულხან-საბას კარს არ მოუჯახუნებენ!



***1991 წლის დეკემბერში არც სახელმწიფო გადატრიალების და არც ე.წ. რევოლუციების მასშტაბები ჰქონდა ხალხს გააზრებული. მეტიც, რუსთაველის პროსპექტზე რამდენიმე ასეული კაცის გამოსვლა რევოლუციად წარმოაჩინა იმდროინდელმა ოპოზიციამ — ბეპაევისგან ნაყიდი შეიარაღებით გულმოცემულმა ინტელიგენციის ნაწილმა და „მხედრიონის“ ლეგენდომანიით შეპყრობილმა შეიარაღებულმა ახალგაზრდობამ. ასე დაამხეს პუტჩის გზით ქართველი ერის 87%-ის მიერ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და კანონიერად არჩეული უზენაესი საბჭო.***




მას შემდეგ იზრდებოდა თაობა იმ პროპაგანდით, რომ გამსახურდიამ ოქროს ზოდები მოიპარა და ქვეყნის ბიუჯეტი გაზიდა საზღვარზე.

ამ პროპაგანდით იზრდებოდა თაობა იმ დრომდე, ვიდრე მთელი ქართველი ერი არ დახვდა ლარსის საზღვარზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ნეშტს და დიდებით არ დაკრძალა მთაწმინდის მამულიშვილთა პანთეონში.

**ფერად რევოლუციად და სახალხო აჯანყებად შერაცხეს ე.წ. ვარდების რევოლუცია 2003 წელს და მხოლოდ წლების შემდეგ გახდა ცნობილი, რომ რევოლუციონერებს არც იარაღის ნაკლებობის პრობლემა გააჩნდათ და არც კარგად ორგანიზებული სახელმწიფო გადატრიალების სცენარი ჰქონდათ ჰაი-ჰარალეზე ნასწავლ-დაგეგმილი.**

მერე იყო და, წაგებული ომი აზეიმეს რუსთაველზე შეკრებილ ხალხს, ბიზნესები ღამის ნოტარიუსებთან გადაიფორმეს და მიცვალებულებზე მიბმული პატიმრების ყვირილი ასმენინეს ქვეყანას.

**თუმცა, ეს არ იცის თაობამ, ვინც ახლა ემოციებით აღსავსე დგას რუსთაველზე და ბრმად უკრავს ტაშს ღორების კოლტს!**

ამ ახალგაზრდებმა არც ის იციან, რომ ე.წ. „კასრების კადრები“ რეალურად არსებობდა და, ჩვენდა სამარცხვინოდ, შავ ლაქად წერია საქართველოს ისტორიაში!

ამ თაობამ არც ის იცის, რომ **მიხეილ სააკაშვილი** ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც რუს ტურისტებს პირადად ეგებებოდა ლარსზე.

ამ ახალგაზრდობამ არც ის იცის, რომ მათ გვერდით მდგარი **ელენე ხოშტარია** სწორედ რუსეთიდან ჩარიცხული რუბლებით უხდის ჯამაგირს ქვეყნის დასაქცევად დასაქმებული ახალგაზრდების ნაწილს და, როგორც ამბობენ, მისი ორგანიზაცია **„დროაც“** სწორედ რუსული სპეცსამსახურების ფინანსებით სულდგმულობს.

ამ თაობამ არც ის იცის, რომ ჯალათი **მეგის ქარდავას** იდეოლოგიის მატარებელმა და „მწერლად“ შერაცხილმა **ლაშა ბუღაძემ** წმინდა თამარ მეფე მეძავად გამოიყვანა თავის კრეტინულ ნაწარმოებში.

ამ ახალგაზრდებმა, ალბათ, არ იციან, რომ იმავე **ლაშა ბუღაძის** იდეური თანამებრძოლი **ზაზა ბურჭულაძე** ერთ-ერთ საკუთარ ნაწარმოებში ღვთისმშობელზე, გაბრიელ ბერზე და, რაღა შორს წავიდეთ, საკუთარ დედაზე ყველაზე უშვერი და ბინძური სიტყვებით წერს.

ამ თაობას არც ის აუდიოჩანაწერი აქვს მოსმენილი, სადაც მათი საფიცარი **კახა ბენდუქიძე,** თავად სააკაშვილი და ამ აქციების რამდენიმე „გმირი“ წმინდა გიორგის გამასხარავებაში ტოლს არ უდებენ ერთმანეთს.

**არ მოუსმენიათ ამ ახალგაზრდებს ეს სიბინძურეები და ამიტომ ამაყობენ თავლენჩი ჭიჭიკაშვილისა და პატრიოტი ბიჭების ტელეეთერში დაპატიმრების ინიციატორი ელისაშვილის გვერდით დგომით.**

ამ თაობას არც შვიდი ნოემბრის კადრები უნახავს და არც ოცდაექვსი მაისის სისხლიანი ღამის კოშმარი დასიზმრებია როდისმე. **არ იცის, ცივსისხლიანი გესტაპოელებივით როგორ ხოცავდნენ მერაბიშვილისა და ახალაიას ზონდერები ხალხს განსხვავებული აზრისათვის და მერე გვამებს ჯიხურების სახურავებზე მალავდნენ!**

ამ ახალგაზრდებმა არ იციან, როგორ შეიძლება ჯერ რამდენჯერმე დააპატიმრო და შემდეგ საჯაროდ დახვრიტო დიდი მეცნიერი **ზურამ შარაძე,** რათა ერთბაშად დააშინო ქართველი საზოგადოება!

სამწუხაროდ, ამ ახალგაზრდებს ხშირად არც იმ აუდიოჩანაწერს ვასმენინებთ, სადაც **მიხეილ სააკაშვილიცა** და მისი პირსისხლიანი ბიძა **თემურ ალასანიაც** ქართველებს „დედამოტ...ნულ“ ერად იხსენიებს.

მასეთებს არც უნდა ვუსმინოთ, მაგრამ ერთს ნამდვილად ვიტყვი: კაცთმოყვარეობისა რა ვთქვი, თორემ ქართველობას ცხენის ძუაზე გამობმული უნდა ეთრია რამდენიმე ნაძირალა და დღეს აღარ მოგვიწევდა ამ წერილის წერა ასეთი პათოსით.

ამ ნაძირალების სახელებისა და გვარების ჩამოთვლით დღეს აღარ მოგაცდენთ, „ლეგიონია“ მათი სახელი და დროშაზე **ზურაბ ჭიაბერაშვილისა** და **ლევან რამიშვილის** პორტრეტები აქვთ გამოსახული.

ჩემი მეგობრის მცირეწლოვან შვილს ამასწინათ სკოლაში, „მე და საზოგადოების“ საგანში ასეთი რამ აუხსნეს: **დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, თურმე, სააკაშვილს უხსნია საქართველო, დროშა და გერბიც მაშინ ღირსებია ჩვენს ქვეყანას... ვერ ვაფასებთ სააკაშვილის ამაგსო, — ჩურჩულით დაუყოლებია პედაგოგს.**

აი, ესაა უბედურება სწორედ!

ესაა სათავე ყველანაირი ბოროტებისა და უვიცობისა.

ისე იზრდებიან თაობები, არ იციან, რა მოხდა 1989 წელს ან რის საფუძველზე მიიღო საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1991-ში.

დიახ, არ იციან, რას ვზეიმობთ 26 მაისს!

საუბედუროდ, **რატი ამაღლობელის, ლაშა ბუღაძის** და პატრიარქის მაგინებელი რამდენიმე „უბორნიის პოეტის“ შემხედვარეებს, იოსებ გრიშაშვილისა და იოსებ ნონეშვილის სახელი არც კი გაუგიათ!

**ესაა სიმართლე და ნუ გვიკვირს, მარიხუანით გამძღარი და შუათითგაშეშებული ნაძირალების შემყურეთ, თუ სხვა აზრებითა და აღმატებული იდეებით ველარ ვხიბლავთ.**

აბა, ჩემს ბავშვობაში ტელეგადაცემები მერაბ ბერძენიშვილის „ალგეთის ლეკვების“ კადრებითა და „სამშობლოს“ ჰანგებით იწყებოდა და ასეთი იდეოლოგიით გაიზარდა ჩემი თაობა; ილიათი და ვაჟათი გაიზარდა, რაფიელ ერისთავის პოეზიით გაიზარდა... ამიტომაც —

**არა! – ნებისმიერ კანონს, რომელიც ელჩებისა და სენატორების კარნახით იწერება და არა აქვს მნიშვნელობა, რუსული იქნება ის თუ ამერიკული!**

**არა** — სააკაშვილის სისხლიან(!) რეჟიმს და **მერაბიშვილისა და კეზერაშვილის** დაბრუნებას!

**კი** — გამჭვირვალობასა და ევროპულ საქართველოს! ოღონდ ისეთ ევროპას, სადაც სულხანსაბას კარს არ მოუჯახუნებენ!

**და კიდევ:** დაე, მოგვასწრო იმ დღეს, როცა საქართველოს აღარ ეყოლება **ტერორისტი ლაზარეს შემწყალებელი პრეზიდენტი,** რომელმაც არცთუ შორეულ წარსულში დაწერა ქვემოთ წარმოდგენილი სტრიქონები.



" ზვიად გამსახურდია, როგორც დიქტატორი, დაამხო დემოკრატიულმა ძალებმა. ამისთვის თენგიზ კიტოვანს, ჯაბა იოსელიანს, თენგიზ სიგუას და მთელს ოპოზიციას–დიდი მადლობა"

სალომე ზურაბიშვილი.
1992 წლის 7 იანვარი.

## კვირგვინოსნები

**დავით მაღრაძე**
*პოეტი*



ვერ პატიობენ ამ ხელისუფლებას იმას, რომ **არც მეორე ფრონტი გახსნა, არც ეკონომიკურ სანქციებს შეუერთდა,** ამ ქვეყანამ საკუთარ განადგურებაზე ხელი არ მოაწერა.

„TV იმედი“

**რობერტ სტურუა**
*რეჟისორი*



ისტორიულად გრძელდება **ყველაზე დიდი კონფლიქტი** საქართველოში — **ნიჭიერ ხალხს ებრძვის უნიჭო ხალხი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**დავით ოქიტაშვილი**
*კულტურის პალატის პრეზიდენტი*



მინდა, მივმართო გულანთებულ ახალგაზრდებს, **ნუ გამოაყენებინებენ თავს!** ლიდერები გამოგიყენებენ და უკაცრავად ამ სიტყვისთვის, **მიგაგდებენ, როგორც ეს არაერთხელ გვინახავს.**

„აიპრესი“

**ბიძინა გიორგობიანი**
*ყოფილი პოლიტპატიმარი*



ეს არ არის ენთუზიასტების შეკრება — **ნაციონალური მოძრაობის დღევანდელი თავმჯდომარე, ყოფილი თავმჯდომარე, ზურაბ ჯაფარიძე, ნიკა გვარამია** — ეს ის ჯგუფია, რომელიც 2012 წლიდან ყოველწლიურად ცდილობს, **მოაწყოს სახელმწიფო გადატრიალება.**

„TV იმედი“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



ნაციონალურ მოძრაობას ვთხოვ, ბორდი შევქმნათ, **თავმჯდომარედ ჩემი კანდიდატურა განიხილონ,** მოადგილედ — **სოფო ჯაფარიძე.** კარგი იქნებოდა, ის იმ დელეგატებში პირველი ყოფილიყო, ვისაც **ოპოზიციური გაერთიანების სიაში** წარვადგენთ.

„ინტერპრესნიუსი“

# კრემლიანი პონჩიკები

## ნაციონალური მოძრაობისათვის

***რა თქმა უნდა, „პონჩიკი“ ქართულ ენაში დამკვიდრებული რუსული ბარბარიზმია და ჩვენებურად მას „ფუნჩულა“ შეესატყვისება, მაგრამ რაკიღა წინამდებარე წერილის თემატიკა სწორედ რუსეთს უკავშირდება, უპრიანი იქნება, სიტყვა „პონჩიკი“ გამოვიყენოთ, თანაც უბრჭყალებოდ.***

ჰოდა, ნაციონალურ მოძრაობას მოსკოვიდან კიდევ ერთხელ ჩაუტკბარუნეს პირი **კრემიანი,** უფრო სწორად, **კრემლიანი პონჩიკებით,** როცა რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნები ერთმანეთის მიყოლებით გამოვიდნენ და საქართველოში დიდი ვნებათაღელვის საგნად ქცეული **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“** კანონზე ზუსტად ისეთი კომენტარები გააკეთეს, როგორიც კოლექტიური ნაცმოძრაობის წისქვილზე ასხამს წყალს.

მაგალითად, რუსმა პოლიტოლოგმა და კრემლის პროპაგანდისტმა **ალექსანდრე დუგინმა** განაცხადა, რომ **საქართველო სწორ გზაზე დგას, როცა „უცხოური გამჭვირვალობის კანონის“ მიღებით საკუთარი სუვერენიტეტის დაცვასა და დასავლეთის „მეხუთე კოლონის“ განადგურებას ცდილობს.**

რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **დიმიტრი მედვედევი** საქართველოს ხელისუფლების მიერ **„უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონის** მიღების მცდელობას მიესალმა და აღნიშნა, რომ **თბილისში მიმდინარე საპროტესტო აქციების უკან „კარგად ნაცნობი ჰოლივუდური ხელი“ დგას.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი **სერგეი ლავროვი** აცხადებს, რომ **„უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტი,** რომელსაც ახლა საქართველოში განიხილავენ, **ამერიკაში, საფრანგეთსა და პოლონეთში მოქმედი მსგავსი ტიპის კანონებზე გაცილებით რბილი და ლოიალურია.**

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე **ვიაჩესლავ ვოლოდინის** განცხადებით, საქართველოში **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის** მოწინააღმდეგეები სხვა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ, მაგრამ ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს **„კანონი უცხოური გავლენების გამჭვირვალობის“** შესახებ.

მოკლედ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები ყველანაირად ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი სასპეკულაციო ბერკეტი ჩაუგდონ ხელში კოლექტიური ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს, რომლებიც გამჭვირვალობის კანონს **„რუსულ კანონს“** ეძახიან და გაჰკივიან, რომ ამ კანონის მიღებით საქართველოს ხელისუფლება ქვეყანას „რუსეთში მიაქანებს“.

კოლექტიური ნაცმოძრაობის წარმომადგენლებსაც მეტი რა უნდათ, **რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა განცხადებების კვალდაკვალ, კიდევ უფრო ხმამაღლა იწყებენ ყვირილს — აი, ხომ ვამბობთ, რომ ეს კანონი რუსულია და მხოლოდ პუტინს მოსწონს!**

კაცმა რომ თქვას, **კოლექტიური ნაცმოძრაობა** თავისი გადასახედიდან ძალიან სწორად იქცევა — ხელიდან არ უშვებს კრემლის მიერ გადმოგდებულ მაშველ რგოლს, რომელიც ეგზალტირებული მასის თვალში კიდევ უფრო დამაჯერებელს ხდის გამჭვირვალობის კანონის „რუსულობას“.













სხვანაირად რომ ვთქვათ, **კოლექტიური ნაცმოძრაობა დიდი სიამოვნებით მიირთმევს კრემლიან პონჩიკებს, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება უგზავნის!**

მაგრამ სად არის ელემენტარული ლოგიკა?

თუ საქართველოში **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის** მიღება რუსეთის ინტერესებში შედის, მაშინ კრემლის წარმომადგენლებმა, როგორც მინიმუმ, პირში წყალი უნდა ჩაიგუბონ, რათა კოლექტიური ნაცმოძრაობის მიერ დანთებულ ცეცხლზე ნავთი არ დაასხან!

ის კი არა, **თუ „ქართულ ოცნებას“ გამჭვირვალობის კანონის მიღება კრემლიდან აქვს დავალებული, რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნები, მეტი კონსპირაციისა და უფრო კარგად შენიღბვის მიზნით, ამ კანონის საწინააღმდეგო განცხადებებს უნდა აკეთებდნენ და კოლექტიურ ნაცმოძრაობას უკრავდნენ კვერს!**

ახლა კი რა გამოდის — **კრემლის წარმომადგენლები ლაპარაკობენ ზუსტად იმას, რაც გამჭვირვალობის კანონის მოწინააღმდეგეებს აძლევს ხელს და პირდაპირ ჯდება ნაცლიბერალური პროპაგანდის ნარატივში!**

სამაგიეროდ, მოსკოვიდან გამოგზავნილი გზავნილები კვანტს უდებს და საქმეს ურთულებს საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ცდილობს, დაამტკიცოს, რომ გამჭვირვალობის კანონი „რუსული“ არ არის!

**მაშ, რასთან გვაქვს საქმე და რატომ გზავნის რუსეთის ხელისუფლება კრემლიან პონჩიკებს კოლექტიური ნაცების გამოსაკვებად?**

იქნებ სწორედ **კრემლია** დაინტერესებული იმით, რომ საქართველომ **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი** არ მიიღოს?

**იქნებ სწორედ კრემლს ეშინია, ამ კანონის მიღების შემდეგ არ გაიშიფროს, რომ პროდასავლურ მანტიაში გახვეული მთელი რიგი არასამთავრობო ორგანიზაციები ევროპულად თუ ამერიკულად შეფუთული გრანტების სახით**

**კრემლის წარმომადგენლები ლაპარაკობენ ზუსტად იმას, რაც გამჭვირვალობის კანონის მოწინააღმდეგეებს აძლევს ხელს და პირდაპირ ჯდება ნაცლიბერალური პროპაგანდის ნარატივში!**

### კვირგვინოსნები

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი*



„ქართული ოცნების“ მიერ წარმოდგენილი კანონის გასვლა **რუსებს ხეირს არ აძლევს.** ერთადერთი, რაც რუსეთისთვის სასარგებლო და სასურველი შეიძლება მოხდეს, არის **საზოგადოებრივი ჯგუფების დაპირისპირება და ქაოსი.**

„კვირის პალიტრა“

**კახა გოგოლაშვილი**
*ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი*



ევროკავშირში იღებენ დირექტივას, რომელიც განსაზღვრავს, რომ **რეესტრში შეიყვანონ აუცილებლად ის ორგანიზაციები, რომლებიც ატარებენ სხვა ქვეყნის ინტერესებს** და შეიძლება დამაზიანებელი იყოს ევროკავშირისთვის.

„იმედინიუსი“

**ზაზა შათირიშვილი**
*ფილოსოფოსი*



უცხო ქვეყნის ლიდერები **ვერ და არ უნდა ბედავდნენ იმის კარნახს,** რომელი კანონი მიიღოს პარლამენტმა და რომელი — არა.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**შარლ მიშელი**
*ევროპული საბჭოს პრეზიდენტი*



მინდა, ნათლად ვთქვა: **კანონპროექტი საქართველოს ევროკავშირთან კი არ დააახლოებს, არამედ დააშორებს.**

„ახალი თაობა“

# კრემლი ძველებურად ცდილობს, ნაცმოძრაობას მაშველ რგოლად მოევლინოს!




## შემოვლითი გზით იღებენ რუსულ დაფინანსებას საქართველოში რუსული საქმეების საკეთებლად?

**იქნებ სწორედ კრემლია დაინტერესებული,** რომ საქართველოში მუდმივად იყოს პოლიტიკური დესტაბილიზაცია და პოლარიზებული გარემო, რისი მთავარი ხელშემწყობიც სწორედ კოლექტიურ ნაცმოძრაობაში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები არიან?

**იქნებ სწორედ კრემლია მოწადინებული,** რომ დაემხოს „ქართული ოცნების" ხელისუფლება, რომელმაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებით, ვიზალიბერალიზაციის მიღებითა და ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებით ქმედითი ნაბიჯები გადადგა საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე?

**იქნებ სწორედ რუსეთის ინტერესებში შედის,** ხელისუფლებაში დაბრუნდეს ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც 9-წლიანი მმართველობის განმავლობაში ყველაფერი გააკეთა საქართველოში კრემლის გავლენების გასაძლიერებლად? **გავიხსენოთ რუსეთისათვის კოდორის ხეობისა და ახალგორის რაიონის ჩაბარება, სტრატეგიული ობიექტების მიყიდვა, 2008 წლის ომის შემდეგ სავიზო რეჟიმის ცალმხრივად გაუქმება და ევროსაბჭოს იმ რეზოლუციაზე ხელმოწერა, რომელშიც 2008 წლის აგვისტოს ომის დამწყებად ქართული მხარეა დასახელებული...** გავიხსენოთ ისიც, რომ 2003 წლის ნოემბერში, ძალაუფლების ხელში ჩაგდების კულმინაციურ მომენტში, რუსთაველის გამზირზე სააკაშვილის გვერდით **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი** იდგა... გავიხსენოთ, რომ სააკაშვილი გაპრეზიდენტებისთანავე პირველი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში ჩავიდა, **რუსეთის პრეზიდენტთან** შეხვედრის შემდეგ კი განაცხადა — **პუტინს პატიოსანი ადამიანის თვალები აქვს და უფრო პროგრესულად აზროვნებს, ვიდრე ბევრი დასავლელი ლიდერიო!**

ჰოდა, **იქნებ სწორედ სააკაშვილისა და მისი ამქრის ხელისუფლებაში დაბრუნებაა დღეს კრემლის მთავარი ინტერესი საქართველოში?**

იქნებ სწორედ ამიტომ აგრძელებს მოსკოვი **კრემლიანი პონჩიკებით** ნაცმოძრაობის გამოკვებას?

აკი, ადრეც სწორედ ასე ხდებოდა — **როგორც კი თბილისში სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები დაიწყებოდა და ნაცმოძრაობას ძალაუფლების დაკარგვის საფრთხე დაემუქრებოდა, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები მაშინვე იწყებდნენ ქართული ოპოზიციის მხარდამჭერი განცხადებების კეთებას, რაც პირდაპირ კვებავდა და აძლიერებდა სააკაშვილის რეჟიმის პროპაგანდას „რუსეთიდან დაფინანსებული" და „პუტინის მიერ მართული" ქართული ოპოზიციის შესახებ!**

როგორც ჩანს, **კრემლის მეთოდიკა** არ იცვლება და რუსეთის ხელისუფლების მაღალჩინოსნები **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" ქართული კანონისათვის** ტაშის დაკვრით ცდილობენ, კოლექტიურ ნაცმოძრაობას „რუსული კანონის" წინააღმდეგ ბრძოლაში შეეხიდონ!

კრემლიდან გადმოგდებული მაშველი რგოლი სააკაშვილის რეჟიმს ძალაუფლების შენარჩუნებაში ბევრჯერ დაეხმარა, მაგრამ ახლა ნაცმოძრაობას **კრემლიანი პონჩიკების** ჭამა ვეღარ უშველის, რადგან მრავალწლიან პოლიტიკურ ბატალიებში გამობრძმედილი და დაბრძენებული ქართველი ხალხი ამ ფარსს აღარ „ჭამს"!

## ვიქტორია ნულანდის მიერ დარიგებული ორცხობილებით ნაკვებმა „კიევურმა მაიდანმა" უკრაინა კატასტროფამდე მიიყვანა, მაგრამ კრემლიანი პონჩიკებით გამოკვებილი ნაცები „თბილისურ მაიდანს" ვერ მოაწყობენ და საქართველოს ვერ დალუპავენ!

*ჯაბა ხუბუა*


ვიქტორია ნულანდი



# მოუსმინეთ ლარი ჯონსონს!



***ყველამ კარგად ვიცით, რა დამოკიდებულება აქვს კოლექტიური დასავლეთის ბიუროკრატიას საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებული კანონპროექტის მიმართ, რომელიც უცხოური გავლენების გამჭვირვალობას ითვალისწინებს — ევროპელი და ამერიკელი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების დიდი ნაწილი ცდილობს, საქართველოს მოსახლეობა დაარწმუნოს, თითქოს ეს კანონი „კრემლის მიერ არის შთაგონებული" და ხელს უშლის საქართველოს ინტეგრაციას ევროატლანტიკურ სივრცეში.***

ერთ-ერთი უცხოელი ბიუროკრატი, ვინც აქტიურად ამტკიცებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების დეკლარირება **„რუსული სტანდარტია"** და საქართველომ მსგავსი კანონი არ უნდა მიიღოს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერი **მეთიუ მილერი** გახლავთ, თუმცა, იგი, სხვა ამერიკელი თუ ევროპელი ბიუროკრატების მსგავსად, სულაც არ იწუხებს თავს, ქართულ სახელმწიფოსა და ქართველ ხალხს არგუმენტირებულად განუმარტოს — **რანაირად შეიძლება, გამჭვირვალობა, ღიაობა და საჯაროობა ეწინააღმდეგებოდეს დასავლურ დემოკრატიას, რომელიც სწორედ გამჭვირვალობას, ღიაობასა და საჯაროობას ქადაგებს?**

სამაგიეროდ, თავი შეიწუხა და საქართველოში **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის"** კანონთან დაკავშირებით ატეხილი ვაი-უის მთელი ანატომია ყველასათვის გასაგებად გაშიფრა **ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილმა ანალიტიკოსმა ლარი ჯონსონმა,** რომელიც დღეს ცნობილი პოლიტიკური მიმომხილველი და დაზვერვის საკითხების ექსპერტი გახლავთ.

**ლარი ჯონსონმა,** რომელიც ჯერ — ამერიკის ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურში, შემდეგ კი სახელმწიფო დეპარტამენტის კონტრტერორისტულ ოფისში მუშაობდა, „იუთუბის" ერთ-ერთი არხისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ **ის, რაც ახლა საქართველოს დედაქალაქის მთავარ გამზირზე ხდება, გულწრფელად აღშფოთებული ადამიანების ბუნებრივი პროტესტი კი არა, დასავლეთის მიერ დაფინანსებული „ფერადი რევოლუციის" მოწყობის მცდელობაა:**

*„დასავლეთი საქართველოში „ფერადი რევოლუციის" მოწყობას ცდილობს. რასაც ტელევიზორების მეშვეობით ვადევნებთ თვალს, არ გახლავთ ორგანული შიდა პროტესტის ტალღა, ეს არის პროტესტი ახალი კანონის წინააღმდეგ, რომელიც უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს რეგისტრაციის გავლას ავალდებულებს, დაახლოებით ისე, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედი უცხოელი აგენ-*

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## აშშ-ის ცენტრალური დაზვერვის ყოფილი თანამშრომელი საქართველოში გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ გაჩაღებული ბრძოლის ანატომიას შიფრავს!

## კვირგვინოსნები

**პეტრას აუსტრევიჩიუსი**
*ევროპარლამენტარი*



„ქართული ოცნების" რიგებში **რაღაც ფუნდამენტურად არასწორადაა,** ქვეყანა ლამისაა, უკან სსრკ-ში დაბრუნდეს.

„რეზონანსი"

**ვლადიმერ ბოჭაძე**
*თბილისის საკრებულოს უმრავლესობის წევრი*



წარმოიდგინეთ, ორგანიზაცია, რომელსაც ჰქვია **„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო",** ითხოვს, რომ **ქვეყანაში იყოს გაუმჭვირვალე ფინანსები.**

„TV იმედი"

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



გთავაზობთ შემდეგ რამეს — **გაიტანეთ ეს კანონპროექტი პლებისციტზე არჩევნებთან ერთად ან არჩევნებამდე.** ხალხს მიეცით შესაძლებლობა, გადაწყვიტოს, მოსწონს თუ არ მოსწონს. **თუ ხალხი გადაწყვეტს, ხმის ამომღები არ ვიქნებით არცერთი.**

„რეზონანსი"

**რამაზ საყვარელიძე**
*ანალიტიკოსი*



**აქციები უმართავ სახეს თუ მიიღებს,** საზოგადოებას ექნება უკურეაქცია და არჩევნებზე შეიძლება მოხდეს ისე, რომ **ე.წ. ჩამოუყალიბებელმა ამომრჩეველმა,** რომელიც უფრო მეტად აკვირდება პროცესებს და აანალიზებს, **მმართველ გუნდს მისცეს ხმა.**

„რეზონანსი"

**შოთა შალელაშვილი**
*ყოფილი პარლამენტარი*



არ ვიცი, **ეს კანონი რუსულია თუ ქართული,** აქციაზე ვიმყოფები, რადგან **უფრო მნიშვნელოვანი კანონებია მისაღები** და იქიდან უნდა დავიწყოთ ქვეყნის გაჯანსაღება.

„პირველი არხი"



# მოუსმინეთ ლარი ჯონსონს:

## დასავლეთი საქართველოში „ფერადი რევოლუციის“ მოწყობას ცდილობს! გარანტიას გაძლევთ, რომ ფული, რომელიც ქუჩაში გამოსულ პროტესტანტებში ტრიალებს, დასავლეთის სპეცსამსახურების წყაროებიდან მომდინარეობს!

*დასაწყისი მე-9 გვერდზე*

*ტების რეგისტრაციის აქტი. მსგავსი კანონები სხვა ქვეყნებშიც მოქმედებს“.*

ე.ი. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი თანამშრომელი ამბობს იმას, რისი აღიარებაც კოლექტიურ ნაცმოძრაობასა და მის უცხოელ ბატონ-პატრონებს ცოცხალი თავით არ სურთ — **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ქართული კანონი ამერიკული „ფარას“ კანონის** გამოძახილია, ოღონდ უფრო ლმობიერი და ლიბერალური, ვიდრე შტატებში მოქმედი **„უცხოელი აგენტის რეგისტრაციის აქტი“.**

**ლარი ჯონსონი** ინტერვიუში იმის შესახებაც საუბრობს, თუ რა მიზანი ამოძრავებს დასავლეთს, როცა ცდილობს, საქართველოში **გამჭვირვალობის კანონის** მიღება არ დაუშვას მაშინ, როცა მსგავსი ტიპის კანონები თავად დასავლეთის არაერთ ქვეყანაში მოქმედებს:

*„მიმდინარე პროცესები არამხოლოდ დასავლეთის ორმაგი სტანდარტებისა და ფარისევლობის ნათელი ილუსტრაციაა, არამედ გვაჩვენებს, რომ მას არ შეუძლია, თავი შეიკავოს სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევისგან. ინიცირებული კანონი საქართველოში მოქმედ უცხოეთიდან დაფინანსებულ ორგანიზაციებს, უბრალოდ, ავალდებულებს, დარეგისტრირდნენ და გამჭვირვალე გახადონ შემოსავლის წყაროები, თუმცა, გარკვეული ძალები მას წარმოადგენენ, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შემზღუდავ კანონს, რაც, უბრალოდ, წმინდა წყლის უაზრობაა. მიზეზი, თუ რატომ ეწინააღმდეგება დასავლეთი აღნიშნულ კანონს ასე სასტიკად, გახლავთ შემდეგი — **მათ იციან, რომ კანონი გამოააშკარავებს ამერიკული და ბრიტანული სპეცსამსახურების მიერ კონკრეტული ჯგუფებისათვის გადარიცხული დაფინანსების არხებს“.***

ასე და ამრიგად, აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და სახელმწიფო დეპარტამენტის კონტრტერორისტული ოფისის ყოფილი თანამშრომელი ადასტურებს იმას, რასაც საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ძალიან კარგად ხვდება და აცნობიერებს — **კოლექტიური დასავლეთი საქართველოში გამჭვირვალობის კანონის მიღებას გააფთრებით ეწინააღმდეგება, რადგან ამერიკულ და ევროპულ სპეცსამსახურებს არ სურთ, თბილისში მათი გავლენის აგენტურა და „მეხუთე კოლონა“ ოფიციალურად გაიშიფროს.**

და რისთვის სჭირდებათ დასავლეთის სპეცსამსახურებს საქართველოში გავლენის აგენტურა, ანუ რატომ აფინანსებენ ე.წ. გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს, რომლებიც ახლა გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ აგორებული პროტესტის ავანგარდში დგანან? **ლარი ჯონსონი** ამის შესახებ ამბობს:

*„ამ ჯგუფების მეშვეობით ისინი ცდილობენ, არსებული ხელისუფლება ჩაანაცვლონ ახალი, დასავლეთის კაპრიზებისადმი მორჩილი და მოწყვლადი ხელისუფლებით. **მათი მიზანია, რუსეთის გარშემო ჰყავდეთ მთავრობები, რომლებიც, მოკლედ რომ ვთქვათ, საფრთხეს წარმოადგენენ რუსეთისთვის.** გარანტიას გაძლევთ, რომ ფული, რომელიც ქუჩაში გამოსულ პროტესტანტებში ტრიალებს, დასავლეთის სპეცსამსახურების წყაროებიდან მომდინარეობს. **აღნიშნული ფული გამოყენებულია დემონსტრანტებისა და აგიტატორების დასაფინანსებლად, რომლებიც მთავრობის უსაფრთხოების სამსახურებთან კონფლიქტის გაღვივებას და ქვეყანაში სიტუაციის არევას ცდილობენ“.***

აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი თანამშრომელი **ლარი ჯონსონი,** რომელმაც, რასაკვირველია, შესანიშნავად იცის, რა მეთოდებს იყენებენ ამერიკული სპეცსამსახურები მათი ინტერესების სფეროში მოქცეულ ქვეყნებში ე.წ. ფერადი რევოლუციების მოსაწყობად და არასასურველი ხელისუფლებების ჩამოსაგდებად, თბილისში მიმდინარე საპროტესტო გამოსვლების შემხედვარე აცხადებს:

*„ჩემი გემოვნებისთვის ეს ძალიან ბანალურიც კი გახდა. **აშშ სისტემატურად არის და არაერთხელ ყოფილა ჩართული რეჟიმების ცვლილების მსგავს ოპერაციებში. ის ამჟამად ებრძვის და ეწინააღმდეგება კანონს, რომელიც თავად ამერიკის შეერთებულ შტატებში და დიდ ბრიტანეთში მოქმედებს.** ეს ფაქტი, ჩემი აზრით, დასავლეთის მორალურ და ზნეობრივ დაცემაზე მიუთითებს“.*

**ლარი ჯონსონმა** საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე უმრავლესობის ლიდერ **მამუკა მდინარაძესა** და ოპოზიციონერ დეპუტატ **ალეკო ელისაშვილს** შორის მომხდარი ინციდენტის შესახებაც ისაუბრა და აქაც დასავლეთის ხელწერა დაინახა:

*„საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში დიდი შეხლა-შემოხლა იყო. კანონის მიღების ერთ-ერთი ინიციატორი სიტყვით გამოდიოდა, როცა სხვა დეპუტატი მივარდა და მოულოდნელად და ფარულად მუშტი უთავაზა. **მსგავსი ხულიგნობა იმ ქცევის ტიპური გამოვლინებაა, რომელიც დასავლეთის მიერ არის მხარდაჭერილი. ისინი აცხადებენ, რომ მხარს უჭერენ დემოკრატიას, მაგრამ, სინამდვილეში, არ სურთ რეალური დემოკრატია, მათ უნდათ, სხვა ქვეყნები სრული კონტროლის ქვეშ ჰყავდეთ, რათა გააკეთებინონ ყველაფერი, რასაც თავად მოსთხოვენ და არა ის, რასაც საქართველოს ხალხი ითხოვს“.***

ცხადია, **ლარი ჯონსონი** ისეთს არაფერს ამბობს, რაც ქართველმა საზოგადოებამ არ იცის, მაგრამ სულ სხვა წონა და მნიშვნელობა აქვს, როცა კოლექტიური დასავლეთის პოლიტიკური მზაკვრობის ანატომიას რომელიმე ქოცი, ნაცი ან მათთან ასოცირებული ესა თუ ის ექსპერტ-ანალიტიკოსი კი არა, **აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურისა და სახელმწიფო დეპარტამენტის კონტრტერორისტული ოფისის ყოფილი თანამშრომელი შიფრავს.**

იქნებ **ლარი ჯონსონის** ინტერვიუმ ნაცლიბერალური პროპაგანდით ზომბირებული კლასტერების მცირე ნაწილი მაინც გამოაფხიზლოს, თორემ საღად, სახელმწიფოებრივად და პატრიოტულად მოაზროვნე ქართველმა საზოგადოებამ ისედაც კარგად უწყის, ვისთან და რასთან აქვს საქმე რუსთაველის გამზირზე თავშეყრილი, ე.წ. კლუბური ნარკოტიკებით, მარიხუანითა და უცხოეთიდან დაფინანსებული ტრენინგებით „მოხოდილი“ დემონსტრანტების სახით, რომლებიც ხან ბენზინის ბომბებით ცდილობენ ქართველი პოლიციელების ცოცხლად დაწვას, ხან კი სახეში აგურის სროლით — ქართველ სპეცრაზმელთა დასახიჩრებას!

ჰო, **იქნებ ამერიკელ ლარი ჯონსონს მაინც მოუსმინონ და დაუჯერონ როგორც რუსული, ისე მეგრული მნიშვნელობით „მოხოდილმა“ ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა მომიტინგეებმა,** რომლებიც შესაძლოა, ვერ ხვდებიან, რომ მათი ხელით საქართველოს ევროკავშირში კი არა, კვლავ იმ საწამებელ ბუნაგში უპირებენ შეთრევას, სადაც **სააკაშვილის რეჟიმის ყავარჯნიანი ჯალათი თემურ უბირია** მაგიდაზე დაბმულ ქართველ კაცებს 35 ლარის საფასურად „ხოდავდა!“

***ჯაბა ხუბუა***




## როგორც რუსული, ისე მეგრული მნიშვნელობით „მოხოდილმა“ ახალგაზრდა თუ ძველგაზრდა მომიტინგეებმა იქნებ ამერიკელ ლარი ჯონსონს მაინც დაუჯერონ!

## კვირგვინოსნები

**ბაკურ ბაკურაძე**
*პროდიუსერი*



სხვადასხვა განწყობის იურისტებს ვესაუბრე და პრინციპში ყველასგან მივიღე ერთი პასუხი, რომ **არცერთი პუნქტი არ ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპებს, რადგან არ შეიძლება გამჭვირვალობა იყოს არადემოკრატიული.**

„TV იმედი“

**სიმონ ჯანგულაშვილი**
*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი*



მე თუ უნდა შევავსო დეკლარაცია, **ლომჯარიამ, ხოშტარიამ და ბიბაურმა** რატომ არ უნდა შეავსონ? არ შეიძლება **რეფერენდუმი ჩატარდეს,** რომ გირგვლიანის, 7 ნოემბრისა და 26 მაისის მომწყობ პოლიტიკურ ძალას, მის წარმომადგენლებს **აეკრძალოთ პოლიტიკაში და ჩვენი ბედის გადაწყვეტაში მონაწილეობის მიღება?!**

„TV იმედი“

**ირაკლი ფავლენიშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდული მდივანი*



„ოცნებას“ და **ივანიშვილის** ბანდას შევახსენებ, რომ რამდენჯერაც **ევროპული ინტეგრაციის პროვოკაციულად შეჩერება სცადეს,** იმდენჯერ არ გაუვიდათ და არც ახლა გაუვათ.

„ინტერპრესნიუსი“

**ბექა დავითულიანი**
*პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ ხშირად სცოდავდა, როცა **ელჩებს გამშველებლის როლში ვიწვევდით ხოლმე** — შიგნით მე რა ცვლილება მაქვს, არც ერთი ელჩის საქმე არ არის.

„ინტერპრესნიუსი“

# დახედეთ ამ ფოტოს!

## ეს პროევროპელობა კი არა, პროადამიანობაც არ არის!

***რომ ჰკითხო, ქუჩაში დასავლური ფასეულობების დასაცავად არიან გამოსული და საქართველოს ევროპული მომავლის სადარაჯოზე დგანან, მაგრამ ისეთებს სჩადიან და ლაპარაკობენ, იმას დასავლურ დემოკრატიასთან და ევროპულ ღირებულებებთან საერთო არაფერი აქვს.***

მარტო საერთო არა აქვს კი არა, დასავლურ ფასეულობებსა და ევროპული ცივილიზაციის საფუძვლებს რადიკალურად ეწინააღმდეგება ის, რასაც რუსთაველის გამზირზე თავშეყრილი ვითომდა მშვიდობიანი დემონსტრანტები აკეთებენ.

ცხადია, ყველას ერთ ქვაბში ვერ ჩავყრით, მაგრამ იმ მასაში ურევია **ეგზალტირებული რადიკალების რამდენიმე ჯგუფი,** ძირითადად, თინეიჯერული ასაკისა და მათზე ოდნავ უფროსი ახალგაზრდები, რომლებიც ტრენინგებზე დასწავლილი მეთოდებით ცდილობენ სამართალდამცველებთან დაპირისპირებას, დაძაბულობის კერების შექმნას, საპროტესტო მუხტის ხელოვნურად აწევას და სხვა ამისთანებს, რაებიც აკერმანისა თუ სხვა უცხოელი პოლიტტექნოლოგების სახელმძღვანელოებშია გაწერილი ე.წ. ფერადი რევოლუციების მოსაწყობად.

ჯერ ერთი, **რომელ ევროპულ ღირებულებებს იცავ და რომელ რუსეთს უპირისპირდები იმ ნიკა გვარამიას მხარდამხარ, რომელმაც საქართველოში ზურაბ ადეიშვილთან ერთად შექმნა ყველაზე ანტიევროპული და ყველაზე რუსული მართლმსაჯულების სისტემა, რეპრესიული პროკურატურისა და პოლიტიზებული, პარტიულ ინტერესებს დამორჩილებული სასამართლოს სახით?!**

ან რომელი დასავლური ფასეულობებისა და ანტირუსული მოძრაობის ადეპტი გამოდიხარ იმ **გიგი უგულავას** გვერდით, რომელიც ყველაზე ანტიდასავლური და ყველაზე პრორუსული მოვლენის — სახელმწიფო ბიუჯეტის ძარცვისა და კორუფციის ცოცხალი სახე-სიმბოლოა?!

იმაზე აღარაფერს ვამბობთ, რომ **სახეში აგურის სროლა პოლიციელისათვის, რომელიც კი არ გარბევს, უბრალოდ, დგას და წესრიგს იცავს, პროევროპელობა კი არა, პროტერორისტობაა...** ისიც ცხადია, რომ აგრესიული და ეგზალტირებული მომიტინგეები მსგავს დანაშაულს **სალომე ზურაბიშვილის იმედით** სჩადიან — **თუ დამიჭირეს და პასუხი მაგებინეს, „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელი ლაზარეს შემწყალებელი პრეზიდენტი ციხეში არც ჩვენ დაგვტოვებსო!**

მოკლედ, ევროპისა და ევროპულობის გარდა ყველაფერს ვხედავთ იქ, სადაც კოლექტიური ნაცები და მათი „ჰიტლერიუგენდი“ ევროპისა და ევროპულობის სახელით დგანან...

**თქვენ წარმოიდგინეთ, ევროპისა და ევროპულობის სახელით ადამიანის სიკვდილსაც კი ნატრობენ ძველი და ახალი გენერაციის კოლექტიური ნაცები!**

ნატრობენ განა გულში, განა თავისთვის, განა ჩუმად და მალულად, არამედ პირდაპირ ტრანსპარანტებზე უწერიათ: **„სექსი ყველაფერზე მაგარია, მაგრამ ახლა ბიძინა ივანიშვილის სიკვდილი მირჩევნია“.**

ფოტოზე რასაც ხედავთ, ეს ტელეკადრია — **პროევროპელმა მომიტინგეებმა ტელეკომპანია „იმედის“ კორესპონდენტს პირდაპირი ჩართვის დროს სახეზე ააფარეს ნაჭერი წარწერით — „სექსი ყველაფერზე მაგარია, მაგრამ ახლა ბიძინა ივანიშვილის სიკვდილი მირჩევნია“.**



**საქართველოში ფაშიზმი არასოდეს ყოფილა, მაგრამ, თუ ახლა მოვა, მას ნაცლიბერალი პროევროპელის სახე ექნება!**

ამის გარდა, პროევროპელი მომიტინგეები ყვირილით, ხელის კვრით, ზეაშვერილი შუათითის სახესთან მიტანითა და სხვა ასეთი ევროპული მეთოდებით უშლიდნენ ხელს ჟურნალისტს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში.

მაშ, როგორ — **პროდასავლელობა და ევროპული ღირებულებები ხომ თავისთავად გულისხმობს განსხვავებული აზრის დევნას, სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას და მედიის ტერორს?!**

თუმცა, მთავარი მაინც ეს ტრანსპარანტი გახლავთ — **„სექსი ყველაფერზე მაგარია, მაგრამ ახლა ბიძინა ივანიშვილის სიკვდილი მირჩევნია“.**

ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტად ევროპული განწყობა და დასავლური ფასეულობების გამოძახილია, ინატრო ადამიანის სიკვდილი!

ამ პროევროპელებს, ამ დასავლური დემოკრატიის ერთგულ გუშაგებს, ამ ლიბერალებსა და ჰუმანისტებს ბიძინა ივანიშვილი ხელში რომ ჩააგდებინა, თავიანთ გაცხადებულ ნატვრას თვალის დაუხამხამებლად აისრულებდნენ და ღვთისგან ნაჩუქარ სიცოცხლეს ევროპულობის, დემოკრატიისა და ლიბერალიზმის სახელით წაართმევდნენ!

არადა, **როცა შენი მორალი, შინაგანი კონსტიტუცია, მენტალობა და ფასეულობათა სისტემა უფლებას გაძლევს, ადამიანის სიკვდილი არამხოლოდ ინატრო, არამედ ეს ნატვრა ტრანსპარანტად ააფრიალო, პროევროპელი კი არა, პროადამიანიც არა ხარ!**

ერთხელ **რონალდ რეიგანმა** თქვა — თუ ამერიკაში ოდესმე ფაშიზმი მოვა, მას ლიბერალიზმის სახე ექნებაო... **საქართველოში ფაშიზმი არასოდეს ყოფილა, მაგრამ, თუ ახლა მოვა, მას ნაცლიბერალი პროევროპელის სახე ექნება!**

ან იქნებ უკვე მოვიდა კიდეც?!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**არმაზ ახვლედიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



მივმართავ **ბიძინა ივანიშვილს:** გონს მოეგეთ! **ხელი აიღეთ რუსული კანონისგან!** თავი დაანებეთ ამ ბინძურ თამაშს საქართველოს წინააღმდეგ — ამას არავინ გაპატიებთ — არც მტერი და არც მოკეთე!

„ახალი თაობა“

**ლევან ალაფიშვილი**
*კონსტიტუციონალისტი*



**შავი და უკონტროლო ფული** თუ ქვეყანაში შემოდის, ამაზე პასუხისმგებლები თვითონ არიან და არა — ხალხი. თუ სახელმწიფო **შავი ფულისა და ტერორიზმის** სავანედ არის ქცეული, მაშინ სახლში უნდა წავიდნენ.

„ახალი თაობა“

**პეტრე მამრაძე**
*„მართვის სტრატეგიული ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი*



**შარლ მიშელის სამარცხვინო ხელშეკრულება** ყველას გვახსოვს, „ქართულმა ოცნებამ“ გადაახია თავზე **შარლ მიშელს** ეს დოკუმენტი და **მიშელმაც** თვითონვე აღიარა — **არასწორი იყო, რადგან, პირველ რიგში, ნაცები არ ასრულებდნენო.** ახლახან სტრასბურგის სასამართლომ არ მიიღო **გვარამიას** სარჩელი, არადა, **გვარამიას** რომ გამოუტანა განაჩენი, ის მოსამართლე დასანქცირდა ამერიკის მხრიდან. ასე რომ, **სუვერენობა იმაში მდგომარეობს, დაიცვა შენი სიმართლე, როცა მართალი ხარ და ეს შესაძლებელია.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მაია ბითაძე**
*პარლამენტარი*



ამდენი იმიტომ არ გვიბრძოლია **დამოუკიდებლობისა და ევროინტეგრაციისთვის,** რომ ვინმე უცხოელმა ჩემს ქვეყანას ისევ **„ვარდების რევოლუციისკენ“** მოუწოდოს.

„პირველი არხი“



# თამაზ მოლაშვილი:

## თუ ჩვენი მთავრობა მაგრად დადგება და ამ კანონს მიიღებს, ქვეყანა გადარჩება, თუ არადა, ჩვენი საქმე წასულია!




***საკაშვილის კვაზიფაშისტური და გარყვნილი რეჟიმის მიერ მოკლული კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის მამა***

***თამაზ მოლაშვილი***

***ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებს ეხმიანება და აცხადებს, რომ იმ თავზეხელაღებულ გარეწრებთან, რომლებიც ბოლო დროს გამართულ მიტინგებზე სამარცხვინოდ გამოიყურებიან და იქცევიან, ლმობიერების გამოჩენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რადგან მათ გადატრიალების მოწყობა და ქვეყნის აყირავება უნდათ:***

## „ვუსურვებ ჩვენს სახელმწიფოსა და პოლიციას, მაგრად დადგნენ და საქართველო გაიმარჯვებს!“

— ხანდახან ცხოვრებაში ისე ხდება, რასაც კაცი ფიქრობ, რაც გეიმედება, რასაც არ ელოდები, სუყველაფერი უკუღმა შემოგიტრიალდება ხოლმე! აი, სწორედ ასე დაგვემართა ქართველებს სალომე ზურაბიშვილთან მიმართებაში. **არ მაქვს იმედი, რომ სალომე ზურაბიშვილს ხალხისკენ და ქვეყნისკენ შემოვატრიალებ, მაგრამ ეს გამწარებული და მოხუცი კაცი მზად ვარ, ე.წ. პრეზიდენტთან მივიდე, დავუჩოქო და ვუთხრა — ქალბატონო სალომე, გონებას მოუხმე და სიმართლის მხარეს დადექი, თორემ მთელი საქართველო ხომ დედ-მამის სულს გაგინებს, დამერწმუნე, მალე საქართველოში ვერ იცხოვრებ!**

**— ხალხი ისეა გამწარებული, სალომე ზურაბიშვილს შესაძლოა, გინება არ აკმაროს და სასახლეშიც მიუვარდეს!**

— ჰოდა, ეს რომ არ მოხდეს, იმიტომაც ვაფრთხილებ ამ ქალს, იქნებ ჭკუაზე მოვიდეს! ხალხი მზად ვიყავით, სალომე ზურაბიშვილს გვერდით დავდგომოდით, მაგრამ ე.წ. პრეზიდენტი უღირსი და ნაძირალა ქალი აღმოჩნდა! მასზე ხელი მაშინ ჩავიქნიე, როცა პირველად ხმა გავარდა — სალომე ზურაბიშვილი სააკაშვილს იწყალებსო! მაშინ საპრეზიდენტო რეზიდენციასთან მივედით ყველანი — მე, ქალბატონი **ია მეტრეველი,** ყველა გამწარებული და დაზარალებული, ვისაც სააკაშვილმა სიცოცხლე მოგვისპო და შვილები დაგვიხოცა. ცოტა ხანში ვიღაც კაცი მოვიდა და გვითხრა — პრეზიდენტმა შემოგითვალათ, მანდ რას დგახართ, ეზოში შემობრძანდითო! გააღეს რკინის ჭიშკარი და შევედით რამდენიმე ადამიანი... გამოვარდა ეს სულელი ქალი და გვითხრა — **აქ რას მომივარდითო!** არ არის ეს ქალი ამის შემდეგ პროვოკატორი და გარეწარი?

**— როგორ ფიქრობთ, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი მისაღებია თუ არა?**

— ასანურთან, სადაც მამაჩემი ცხოვრობდა, ახლოსაა ბოდბისხევი, რომელიც აწ განსვენებული **ავლიპი ზურაბიშვილის** სოფელია. ახალგაზრდობაში ბატონ ავლიპისთან მისაუბრია კიდეც, ბრწყინვალე კაცი იყო, საოცარი იუმორის პატრონი. ერთხელ ვკითხე — **ბატონო ავლიპი, თუ ვინმე გააფრენს, აუცილებლად თავის ქალა უნდა ახადოთ და თავში ჩახედოთ-მეთქი?** ამაზე ბევრი ვიცინეთ. ეს კანონი არის ჩვენი ხსნა და ვინც ამ კანონის მიღებას ასე სამარცხვინოდ აპროტესტებს, იმათ თავში რომ ჩაახედა, ავლიპი ზურაბიშვილი აუცილებლად ხელებს გაასავსავებდა და იტყოდა, რომ არაფერი ამათ არ ეშველებათ! ესენი ოცდაათ ვერცხლად კი არა, 2 ლარად არიან გაყიდული! რას გავხართ, რა ოჯახებში გაიზარდეთ? ყველაზე უფრო საზიზღრები, იცით, ვინ არიან? ის უცხოელები, რომლებიც ამ გაყიდულებს ფულებს აძლევენ!

**— რას იტყვით იმის შესახებ, რომ ზურაბ ადეიშვილსა და გიგა ბოკერიას, რომლებიც აწ განსვენებული თქვენი ვაჟის — სულხან მოლაშვილის წამებაში მონაწილეობდნენ, ხან ჰააგაში დაატარებენ, როგორც დიდ ექსპერტს, ხანაც ადამიანის უფლებების დასაცავად დროშას აფრიალებინებენ?**

— სულხანი რომ კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დაინიშნა, ერთი კარგი თანამშრომელი ჰყავდა, გვარად **ბოკერია.** მოხუცი კაცი იყო და სულხანს სთხოვა — მე მოვხუცდი, წავალ და, თუ შეიძლება, ჩემი შვილი მიიღეთ ჩემ ადგილზეო! სულხანმა მართლაც მიიღო სამსახურში შესანიშნავი ახალგაზრდა **ლევან ბოკერია,** რომელიც, თუ არ ვცდები, ამერიკაშიც კი გაგზავნა სასწავლებლად. გიგა ბოკერიამ და მისმა ბანდამ ქუჩაში სირბილი და სულხანის ლანძღვა-გინება რომ დაიწყეს, სულხანმა **ლევან ბოკერია** გიგა ბოკერიასთან გაგზავნა და დაავალა — **შენი მოგვარე კაცია და ჰკითხე ერთი, ჩვენგან რა უნდა მაგ შობელძაღლსო!** ის ბიჭი წავიდა, უკან დაბრუნდა და სულხანს უთხრა — **გიგა ბოკერიამ სია მანახა და მითხრა: ჩვენ რომ ხელისუფლებაში მოვალთ, ეს ხალხი უნდა დავიჭიროთ!** დასაჭერთა სიაში თქვენც ხართ, ბატონო სულხანო! ჩემმა შვილმა გიგა ბოკერიასა და ზურაბ ადეიშვილს ხელი დაადო და თქვა, რომ სულხანი მათ ციხეში აწამეს. არასოდეს ბოკერიას ეს ბრალდება არ გაუპროტესტებია. მან ვერ გაბედა სულხანთან დაპირისპირება, რადგან ბოკერიას პირზე დაადგებოდა და ჩაი...და (ცენზურა ჩვენია. რედ.) ეს შობელძაღლი!

**— რაც შეეხება ზურაბ ადეიშვილს, მასზე რას იტყვით?**

— სულხანი რომ დააპატიმრეს, ჩემმა მეორე ვაჟმა — **თორნიკემ,** რომელიც პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო, დაწერა განცხადება და სამსახურიდან წამოვიდა. ცოტა ხანში თორნიკემ მითხრა — **მამა მანქანებით დამყვებიან, მითვალთვალებენ, ან იარაღს ჩამიდებენ, ან — ნარკოტიკსო!** მან ამის შესახებ სახლში მეუღლეს ვიდეოჩანაწერიც კი გააკეთებინა. სანამ ეს მოხდებოდა, თორნიკე დაიბარა მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა, ნაძირალა **გიორგი ბარამიძემ** და უთხრა — **სულხანმა სტრასბურგიდან სარჩელი გამოიტანოს და ახლავე ვაწერ ბრძანებას ხელს, სამმართველოს უფროსად დაგნიშნავო!** თორნიკემ ბარამიძეს უთხრა — სულხანმა სარჩელი რომ გამოიტანოს, ვენებს გადავიჭრი, ჩემი გულისთვის ზის ციხეშიო! მოკლედ, მალე თორნიკეც დაიჭირეს. ამ დროს გამოჩნდა ვიღაც შუამავალი, რომელმაც მე და თორნიკეს ცოლი სადღაც პლეხანოვზე დაგვიბარა და გვითხრა — დავალება მაქვს, სულხანმა სტრასბურგიდან სარჩელი გამოიტანოს და თორნიკეს მაშინვე გამოუშვებენ ციხიდანო! ავიღე ყურმილი და დავურეკე სულხანს — ასე და ასეა საქმე-მეთქი! სულხანმა მითხრა — ეგ კაცი დამალაპარაკეთ, მიპასუხოს თორნიკეს როდის გამოუშვებენო! იმ კაცმა მაშინვე დაურეკა **ადეიშვილ**ს და მოახსენა — როგორც კი სულხანი სარჩელს გამოიტანს, მაშინვე ითხოვენ თორნიკეს გათავისუფლებასო! ადეიშვილმა იმ კაცს უთხრა — იმ დღეს ვერ მოესწრებაო! ცხადია, ჩვენს მოტყუებას აპირებდნენ ეს ნაძირალები, რაც არ გამოუვიდათ...

**— თბილისში, რუსთაველზე, განვითარებულ მოვლენებს რომ უყურებთ, რისი თქმა შეგიძლიათ?**

— **თუ ჩვენი მთავრობა მაგრად დადგება და ამ კანონს მიიღებს, ქვეყანა გადარჩება, თუ არადა, ჩვენი საქმე წასულია!** ამ თავზეხელაღებულ გარეწრებთან ლმობიერების გამოჩენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამათ გადატრიალების მოწყობა და ქვეყნის აყირავება უნდათ. ვუსურვებ ჩვენს სახელმწიფოს და პოლიციას, მაგრად დადგნენ და საქართველო გაიმარჯვებს!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***







**„თორნიკე დაიბარა ნაძირალა გიორგი ბარამიძემ და უთხრა — სულხანმა სტრასბურგიდან სარჩელი გამოიტანოს და ახლავე სამმართველოს უფროსად დაგნიშნავო!“**



## „ე.წ. პრეზიდენტი უღირსი და ნაძირალა ქალი აღმოჩნდა!“

## ჯამბულ გამცემლიძე:

# ახალგაზრდებო, თქვენ ჩემი შვილის მკვლელების გვერდით დგახართ!



***— ახალგაზრდები, რომლებიც ვითომ რუსულ კანონს აპროტესტებენ, ჩემი შვილის მკვლელების გვერდით დგანან! — აცხადებს სააკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული გიორგი გამცემლიძის მამა ჯამბულ გამცემლიძე და ჩვენი გაზეთის საშუალებით მათ მშობლებს მიმართავს:***

— უპირველეს ყოვლისა, მადლობა „ასავალ-დასავალს", რომ ყოველთვის სიმართლის მხარეს დგახართ და არ გავიწყდებათ სააკაშვილის რეჟიმის მიერ განადგურებული ადამიანები. სამწუხაროდ, მკვლელები დღესაც არხეინად დანავარდობენ და თავზეც წამოგვასხდნენ — თურმე, როგორ მოხვდა აქციაზე პოლიციელის ხელი პროტესტანტს, რომელიც წესრიგს არღვევდა! არადა, „რუსული კანონის" ძახილი არის საბაბი იმისა, რომ ქუჩაში გამოვიდნენ და ძალადობის გზით ისევ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.

**— აქციაზე არ არიან მხოლოდ ნაციონალები, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონს სტუდენტებიც აპროტესტებენ.**

— სამწუხაროდ, მათ წესიერად არც იციან, საკანონმდებლო ორგანომ რას უნდა უყაროს კენჭი. ბრმად იმეორებენ, რასაც ნაციონალები და მათ უკან მდგომი ძალები ჩასძახებენ. ეს არის ქვეყნის ასარევად კარგად დაგეგმილი სცენარი იმ ახალგაზრდების გამოყენებით, რომლებსაც გულწრფელი აგრესია აქვთ ოკუპანტი ქვეყნის მიმართ.

პირდაპირ გეუბნებით, ვინც დღეს აქციაზე დგას და ვითომ „რუსულ კანონს" აპროტესტებს, ყველანი არიან ნაციონალური მოძრაობის ფეხსაცმლის თასმები!

**— ის ცნობილი სახეებიც, რომლებმაც საჯაროდ დააფიქსირეს პოზიცია ე.წ. კანონთან დაკავშირებით?**

— ყველანი! **ეს ხალხი ქვეცნობიერში მაინც ამართლებს სააკაშვილის რეჟიმის სისასტიკეს, ჩემი შვილის მკვლელობას, ათასობით ადამიანის წამებას, ქონებების წართმევას, გაუპატიურებას და ა.შ.**

### როგორ შეიძლება, ვინმემ დასახარჯად მოგცეს ფული და მრცხვენოდეს იმის გამხელა, რისთვის დავხარჯე ეს ფული?! თუ კარგ საქმეში ხარჯავენ, რატომ არ უნდათ თქმა? რომელ „რუსულ კანონზე" საუბრობენ, საერთოდ, წაკითხული აქვთ?

ბავშვები, რომლებიც დღეს პარლამენტის წინ დგანან, ზოგი დაბადებულიც არ გახლდათ ან ძალიან პატარა იყო სააკაშვილის მმართველობის დროს. მათ არ იციან, როგორ კლავდა რეჟიმი ახალგაზრდა, საჯიშე ბიჭებს, არ იციან, როგორ ართმევდნენ ქონებას ხალხს, როგორ არბევდნენ აქციებს და მოკლულ გვამებს სახურავებზე ყრიდნენ. ამიტომ, პირველ რიგში, ამ ახალგაზრდების მშობლებს მინდა, მივმართო: **სად უშვებთ შვილებს? თქვენ ხომ მაინც იცით, ვინ დგას ქუჩაში თქვენი შვილების უკან? როგორ შეიძლება მკვლელებმა და მოძალადეებმა სიმართლე ილაპარაკონ და ახალგაზრდები ღირებული იდეის ირგვლივ გააერთიანონ? როგორ აქცევთ საკუთარ შვილებს ნაციონალების და მათ უკან მდგომი ძალების სათამაშო თოჯინებად?** რატომ არ ეუბნებით მათ, რომ სწორედ ამ რეჟიმმა ბეღურასავით მომიკლა ანგელოზივით შვილი? ქუჩაში ჩაცხრილა **ბუტა რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი, სანდრო გირგვლიანი?** შუაგულ თბილისში შუბლში ტყვია დაახალა **ზურამ შარაძეს?!** ამ ქვეყნიდან გაისტუმრა **გია ქრიალაშვილი?!** არ გეშინიათ? ეს ადამიანები ისე გაიმეტებენ თქვენს შვილებსაც, თვალსაც არ დაახამხამებენ. ნახეთ, რა წამოსცდა ნაციონალების გენერალს **დევი ჭანკოტაძეს** — შეიძლება, მსხვერპლიც იყოსო... არ მინდა, კიდევ ერთმა მშობელმა ჩაიცვას ძაძები. გაუფრთხილდით საკუთარ შვილებს!

მიხეილ სააკაშვილი — ეს გარეწარი და ყოვლად გათახსირებული ადამიანი მზად არის ყველაფრისთვის, ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდეს. **მე მეცოდება ყველა ის ადამიანი, ვინც დღეს ამ ნაძირალა სააკაშვილის ხროვის გვერდით დგას. გაახილეთ თვალები!**




„არ მინდა, კიდევ ერთმა მშობელმა ჩაიცვას ძაძები. გაუფრთხილდით საკუთარ შვილებს!"

# «გაახილეთ თვალები!»

**— ისინი ასე არ ფიქრობენ. მიიჩნევენ, რომ სააკაშვილის კი არა სიმართლის მხარეს დგანან, თავისუფლებას იცავენ!**

— სააკაშვილის დროს იყო თავისუფლება და დღეს არ არის? მედიასაშუალებებია შეზღუდული თუ ციხეებში აწამებენ და აშანტაჟებენ ადამიანებს?! მაქვს იმდენი განათლება, რომ დაწერილი სწორად წავიკითხო და გავაანალიზო. სად წერია, რომ ეს „რუსული კანონია"? იხვეწება პრემიერ-მინისტრი, ერთი არგუმენტი მაინც დადეთო და ვერავინ დებს.

მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მივაწვდინო ხმა იქ მდგომ ბავშვებსაც — **თქვენ ჩემი შვილის მკვლელების გვერდით დგახართ, თქვენ შორის არის ჩემი გიორგის მკვლელის ადვოკატიც!**

შოთა უტიაშვილის მითითებით შემოალაგეს მაღაზიის თავზე გვამები და დღეს მისი ცოლი მეგაფონით ხელში ვითომ „რუსულ კანონს" აპროტესტებს. ეს თავისუფლება და ევროპულობა კი არა, ხალხის დაცინვაა!



დეპუტატი ელისაშვილი ცდილობს, გაარღვიოს პოლიციის კორდონი მთავრობის ადმინისტრაციის შენობასთან

გულზე მჯიღს რომ იცემს **ელისაშვილი** და მაგარი ბიჭი ჰგონია თავი, ჩემი გიორგი რომ მოკლეს, კავკასიის ტელევიზიაში მუშაობდა, თოქ-შოუ მიჰყავდა. რამდენჯერმე დავურეკე, მაგრამ ყურმილი ვერ ავაღებინე. მერე ესემესის საშუალებით ვუთხარი, ერთი სიტყვა მათქმევინე შენს გადაცემაში ამ მკვლელებზე-მეთქი. **ახლოსაც არ გამიკარა მაგ ნაძირალა ბერბიჭაშვილმა.** დღეს თავისი საქციელით კიდევ ერთხელ ესროლა ჩვენს შვილებს. არავის ვუსურვებ სიკვდილს, დიდხანს იცოცხლოს, მაგრამ ხალხმა უნდა იცოდეს, რა გველი და არაკაციც არის!!!

დღეს რომ „მოლოტოვის კოქტეილის" მსროლელ **ლაზარე გრიგორიადისის** გათავისუფლებაზე ერთი ამბავი ატეხეს, ჩვენთან სამძიმარზეც კი არავინ მოსულა. რატომ არ იღებდა ხმას? თუ ასეთი გულანთებული ევროპელია და ადამიანის უფლებების დამცველი, დასვას შეკითხვა, ვინ და რატომ მოკლა **გიორგი გამცემლიძე, სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე, ზურამ შარაძე?** მაგრამ ამას არ იზამს, რადგან უცხო ქვეყნის ინტერესების გამტარებელია, იმ ძალებს ემსახურება, ვინც მკვლელ სააკაშვილს დემოკრატიის შუქურას უწოდებდა!

ეს მკვლელები ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ, 2003-2011 წლები მონაგონი იქნება. მათი გადასაყირავებელი ქვეყანა ჩვენ არ გვაქვს. სააკაშვილის რეჟიმის მიერ გამწარებული ადამიანები ჯერ ჩუმად ვართ, მაგრამ თუ ვიხუვლეთ, თავბედს ვაწყევლინებთ!

**„გულზე მჯიღს რომ იცემს ელისაშვილი და მაგარი ბიჭი ჰგონია თავი, ჩემი გიორგი რომ მოკლეს, „კავკასიის" ტელევიზიაში მუშაობდა, თოქ-შოუ მიჰყავდა. რამდენჯერმე დავურეკე, მაგრამ ყურმილი ვერ ავაღებინე. მერე ესემესის საშუალებით ვუთხარი, ერთი სიტყვა მათქმევინე შენს გადაცემაში ამ მკვლელებზე-მეთქი. ახლოსაც არ გამიკარა მაგ ნაძირალა ბერბიჭაშვილმა!"**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

# დასავლური ფონდები უკვე შუა აზიიდანაც გააპანღურეს!

**დასაწყისი იხილეთ „ასავალ-დასავალი“ №14-17**

***ახლახან სოროსის დაჯგუფებამ ყირგიზეთსა და ყაზახეთში საქმიანობის შეწყვეტის შესახებ განაცხადი გააკეთა, თუმცა, თბილისში ხელისუფლების დამხობის მიზნით დასავლეთიდან მორიგი დესტაბილიზაცია ხორციელდება. როგორ განვითარდება მოვლენები? ვაგრძელებთ პუბლიკაციათა ციკლს ადვოკატთან და უფლებადამცველთან ირაკლი ზაქარეიშვილთან:***



## ირაკლი ზაქარეიშვილი:

# ბარაქალა ყირგიზებსა და ყაზახებს – საქართველოს დაასწრეს!

— ის არეულობა, რაც ამჟამად თბილისის ქუჩებში ხდება, სათავეს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იღებს, როცა საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთელ პლანეტაზე გლობალისტური დასავლური დიქტატურა დაამყარა. ამა თუ იმ ხელისუფლების კონტროლის ნაცადი ხერხი — ე.წ. არასამთავრობო სექტორის დაფინანსება კონკრეტული მიზნების მისაღწევად — ამჟამადაც მუშაობს და გადატრიალების მოსაწყობად იყენებენ. რა თქმა უნდა, თბილისში მიმდინარე მოვლენებიც პირდაპირ კავშირშია უკრაინასთან.

**— რაში მდგომარეობს კავშირის არსი?**

— **უკრონაცისტები რუსებთან ომს აგებენ.** აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა **უილიამ ბერნსმა** პირდაპირ განაცხადა, რომ უკრაინა 2024 წლისთვის ომს წააგებს და თავის ხელისუფლებას მოუწოდა, დაამტკიცონ მრავალათეულმილიარდიანი დახმარება, რათა საომარი მოქმედებები მცირე ხნით მაინც გახანგრძლივდეს. ამერიკას გამოსავლად რჩება რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში ამიერკავკასიის ჩართვა, რასაც დაემატება მოლდოვა და პოლონეთი. უკრაინის მოვლენების პარალელურად შეეცდებიან რუსეთის წინააღმდეგ რკალის შევიწროებას. ამ გეგმის შესრულების მიზნით ამერიკელებმა სომხეთში თავიანთ **რეზიდენტ ფაშინიანზე** დაყრდნობით შეძლეს სიტუაციის დაძაბვა, მაგრამ გეგმა ვერ ამოქმედდება, თუ მოვლენებში საქართველო არ ჩააბეს. შარშან 7-8 მარტის აქციებზეც იყო ამის მცდელობა და დღესაც 100-200 ლარს ურიგებენ მიტინგზე მომსვლელებს. როგორც ვიდეოკადრებში გამოჩნდა, უხვად გასცემენ ნარკოტიკებსა და მოსაწევსაც. მე მთაწმინდაზე ვცხოვრობ და თავად შევსწრებივარ დარიგების პროცესს.

**— რით ავხსნათ ხელისუფლების არნახული მონდომება, რომ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტი დამტკიცდეს?**

— ხელისუფლება ვეღარ უმკლავდება ფინანსურ ნაკადებს, რომელიც საქართველოში უცხოეთიდან შემოდის სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად. მოგეხსენებათ, ჩვენს დამშეულ ქვეყანაში ისედაც ძალიან ადვილია ადამიანების მოსყიდვა, მაგრამ მე მმართველი პარტიისაც მიკვირს — დაჩქარებული წესით უამრავი კანონი მიუღიათ, ამჯერად კი ძალზე საეჭვოდ აჭიანურებენ დროს, ხოლო თბილისში აქციები დუღილის ტემპერატურას უახლოვდება. **ვვარაუდობ, რომ ხელისუფლებაში ჩაბუდებული დასავლეთის აგენტურა შეგნებულად აძლევს დესტრუქციულ ძალებს საშუალებას, მოვლენები გადატრიალებაში გადაზარდონ.** არადა, დგას გადამწყვეტი მომენტი: ან საქართველო ვერ გაუძლებს წნეხს და დასავლურ ფერხულში ჩაებმება, რაც რუსეთთან სამხედრო დაპირისპირებამდე და, შესაბამისად, ფიზიკურ კატასტროფამდე მიიყვანს, ანდა ჩვენ შევძლებთ, ამ მდგომარეობას თავი მინიმალური ზიანით დავაღწიოთ. უფრო, მეტიც






**„ხელისუფლება ვეღარ უმკლავდება ფინანსურ ნაკადებს, რომელიც საქართველოში უცხოეთიდან შემოდის სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად!“**



### გლობალისტურ დასავლეთსა და მის რეზიდენტ ძალებს, დამარცხების შიშით, გადაწყვეტილი აქვთ, ყველა ღონე იხმარონ, რათა შემოდგომით დაგეგმილი არჩევნების ჩატარება ვერ მოხერხდეს.

იმ შემთხვევაში, თუ დასავლელი პატრონების საშუალებით რეზიდენტები მმართველ პარტიასა და ბიძინა ივანიშვილს გაურიგდებიან, რათა ხმების გარკვეული რაოდენობა სუბიექტურად დაუწერონ, გამორიცხული არ არის, მმართველი პარტია ასეთ გაყალბებას კიდეც დათანხმდეს იმის სანაცვლოდ, რომ წინასაარჩევნოდ დასავლეთმა საქართველოში მდგომარეობა კვლავ არ დაძაბოს. **რამდენადაც ვფლობ ინფორმაციას, საუბარი მიდის კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბებაზე და თუ მმართველი პარტია ამას დათანხმდება, ყველაფერი იმით დასრულდება, რომ კოალიციური მთავრობა შექმნიდან ერთ კვირაში დაიშლება, ხოლო ნაცები ხელისუფლებას სრულად დაიბრუნებენ!**

**— პარადოქსია, მაგრამ ხელისუფლება და ლიბერასტი ოპოზიცია ერთსულოვანნი არიან მოსაზრებაში, თითქოს ქართველი ხალხის 80 პროცენტი დასავლეთთან ინტეგრაციის მომხრეა.**

— ვინ გამოთვალა ეს 80 პროცენტი ან საიდან მოიტანეს? უახლოეს პერიოდში ამ საკითხთან დაკავშირებით არც რეფერენდუმი ჩატარებულა, არც პლებისციტი. სააკაშვილის პერიოდში ამერიკელებმა გაითამაშეს ფარსი, თითქოს მოსახლეობის უმრავლესობამ პლებისციტზე დასავლეთში ინტეგრაციის პოზიცია გამოავლინა, მაგრამ სინამდვილეში ამ გამოკითხვაში მხოლოდ ამომრჩეველთა მესამედმა მიიღო მონაწილეობა და აქედან ნახევარმა დასავლეთის წინააღმდეგ მისცა ხმა, თუმცა, გამოკითხვის შედეგები რეჟიმმა გააყალბა!

### მე პირიქით მგონია – საქართველოს მოსახლეობის 80 პროცენტი ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის მოწინააღმდეგეა!

ქართული ტელევიზიები მიმდინარე აქციებზე დასავლეთის მხარდასაჭერად მოზიდულ 5 ათასამდე მომიტინგეს 45 ათასად წარმოაჩენენ, ხოლო სალომე ზურაბიშვილმა, ფაქტობრივად, გადატრიალებისკენ მოუწოდა მომიტინგეებს, როდესაც **„ქართულ ოცნებას“ ქართული ჭირი** უწოდა! მისი აზრით, „ოცნება“ რუსული ძალაა, ხოლო მიტინგის ორგანიზატორი არასამთავრობოები, სექსუალური უმცირესობა და ნაციონალური მოძრაობა დასავლური ორიენტაციის ყოფილან!

**— მაშ, რაში მდგომარეობს გამოსავალი?**

— **დროა, ხელისუფლებამ დასავლეთთან ინტეგრაციის მოწინააღმდეგე მოქალაქეები ობიექტურად დათვალოს და მსოფლიოს რეალური მდგომარეობა გააგებინოს!** დროა, შეწყდეს ერთი მუჭა არასამთავრობოების ორგანიზებული 5-ათასკაციანი მიტინგის გამოცხადება „მოსახლეობის უმრავლესობად“ და, ხელისუფლებამ საპირისპირო პოზიციაზე მყოფ ასეულათასობით ადამიანსაც მისცეს პოზიციის გამოხატვის საშუალება!

**„ზურაბიშვილმა, ფაქტობრივად, გადატრიალებისკენ მოუწოდა მომიტინგეებს, როდესაც „ქართულ ოცნებას“ ქართული ჭირი უწოდა!“**

**— ვიდრე საქართველოში რეზიდენტები „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ კანონს აპროტესტებენ, შუა აზიის მოსახლეობამ ქვეყნიდან „სოროსის ფონდი“ გააპანღურა.**

— **ბარაქალა ყირგიზებსა და ყაზახებს — საქართველოს დაასწრეს!** ამის შესახებ რამდენიმე დღის წინ განცხადებები თავად ფონდების **„სოროსი-ყირგიზეთი“** და **„სოროსი-ყაზახეთის“** ხელმძღვანელებმა გაავრცელეს. განცხადებებში ნათქვამია, რომ ახალი კანონის მიღებასთან დაკავშირებით, რომელიც არაპროპორციულ შეზღუდვებს უწესებს საერთაშორისო საზოგადოების მიერ დაფინანსებულ ადგილობრივ ორგანიზაციებს, სოროსის ფონდი წყვეტს მოქმედებას ამ ქვეყნებში! **მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში სოროსის ფონდის ოფისებს მოსახლეობა ბოქლომებს ადებს, რადგან მათი პროგრამით გათვალისწინებული იყო ქვეყნების დაკაბალება და ხალხის გამოთაყვანებას, რასაც დღემდე ახდენენ საქართველოში!**

**— როგორ განვითარდება მოვლენები, თუ თქვენი განცხადების თანახმად, დასავლეთის ინტერესებში არ შედის შემოდგომაზე საქართველოში არჩევნების ჩატარება?**

— ნაცლიბერასტებს არჩევნებამდე კიდევ ექნებათ შეიარაღებული გადატრიალების მცდელობა, რაც უშუალოდ ხალხის მონაწილეობით აილაგმება და ამის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას აუცილებლად მოუწევს ქვეყნის განვითარების პოლიტიკური ვექტორის 180 გრადუსით კორექცია! თავის დროზე თურქეთის მიერ ბიზანტიის მართლმადიდებელი იმპერიის დამხობას უნებურად ქართველებმა შეუწყვეს ხელი, რასაც პატარ-პატარა სამეფოებად საქართველოს დაქუცმაცებაც მოჰყვა. ამჯერად ლიბერასტებმა მტრის ხატად რუსეთი და ყოველივე რუსული გამოგვიცხადეს და იმაზე არ ფიქრობენ, რუსეთი მართლა რომ დაიშალოს, საქართველო ერთ კვირაში პოლიტიკური და გეოგრაფიული რუკიდან საერთოდ წაიშლება! მეფე ერეკლეს ეპოქაში ნახევარი მილიონი ქართველიღა მოითვლებოდა და მას მერე, რაც რუსეთმა შეგვიფარა, საუკუნენახევარში მოსახლეობამ 5 მილიონს მიაღწია, რუსეთმა შეგვიქმნა ეკონომიკა, აგვიშენა ფაბრიკა-ქარხნები, მეტროპოლიტენი, ჰესები... დასავლეთმა კი, ბოლო 30 წლის განმავლობაში, რაც საქართველო მისი კოლონია გახდა, დაგვლუპა და მიწასთან გაგვასწორა: მოსახლეობის უმრავლესობა ქვეყნიდან გადაიხვეწა, შობადობამ კატასტროფულად იკლო და მაინც დასავლეთისკენ ვიქაჩებით... **ისტორიამ რაღაც ხომ უნდა გვასწავლოს?!** თუ საქართველო კვლავ დასავლეთის ზურნაზე ცეკვას გააგრძელებს, არნახული საფრთხე ელის. არადა, რუსეთი ჩვენგან ერთადერთს ითხოვს — არ შევიდეთ მის მტერთან გარიგებაში! დგება მომენტი, როდესაც საქართველომ უნდა შეძლოს საკუთარი პოლიტიკური ვექტორის სწორად განსაზღვრა!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

*მსოფლიო ცეცხლის ალში გახვეული: იქით — ისრაელ-ირან-პალესტინის კონფლიქტი, აქეთ — რუსეთ-უკრაინის გაჭიანურებული ომი, დაძაბულობის კულმინაცია ჩინეთ-ტაივანისა და ორი კორეის საზღვარზე, მოახლოებული არჩევნები აშშ-სა და ევროკავშირში. და აი, ამ დროს თითქმის მთელმა მსოფლიომ მოიცალა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ კანონპროექტის დასაწუნებლად.*

№22 (258) ★ 2024 წლის 22 აპრილი ★ გამოდის 2003 წლიდან

# ომის პარტია ცოფებს ყრის!




*„არასოდეს დავბრუნდებით საბჭოთა კავშირში“ — ტრანსპარანტი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის საწინააღმდეგო აქციიდან. თბილისი, 2024 წლის აპრილი.*

**გერმანიის კანცლერმა** გამონახა დრო, საქართველოს პრემიერის გერმანიაში შეხვედრაზე დასაბარებლად.

**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და ევროსტრუქტურების ხელმძღვანელები** თითქმის ყოველდღე წიოკისა და ლამის ლანძღვა-გინებაზე გადასულები, გვეუბნებიან — არ მიიღოთ ეგ კანონი, თორემ დედას გიტირებთო.

ეს ყველაფერი იმდენად უცნაურია, რომ კაცი ძალაუნებურად იფიქრებს,

**საქართველოს ხელისუფლებამ, მგონი, მართლა კუდზე დააბიჯა ფეხი გლობალური ომის პარტიას და ერთბაშად მორთო ყვირილი – გვეტკინა, ფეხი აიღეთო!**

არადა, მართლა ძაღლის თავი თუ არ არის ამ კანონპროექტის მიღებაში დამარხული, რა მოხდება, თუ რამდენიმე ათეულ არასამთავრობო ორგანიზაციას კანონით დაევალება წელიწადში ერთხელ ფინანსური ანგარიშის გასაჯაროება?

ამის პასუხად ოპონენტები ამბობენ — ჩვენ იმაზე ვდარდობთ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და მალე, როგორც რუსეთში, საქართველოშიც ამოქმედდება სხვა შემზღუდავი კანონები და ჩვენ მიერ გაწვრთნილ მესამე სექტორს მთლიანად გააქრობენ, მის წარმომადგენლებს დააპატიმრებენ ან ლაგამს ამოსდებენო.

შეუძლებელია, „ქართული ოცნების“ მმართველობა რუსეთში დღეს არსებულ მმართველობას შეადარო და არც ქართველი საზოგადოება შეეგუება ხელოვნურად შემოტანილ შეზღუდვებს.

მაშ, რაშია საქმე?

**ისევ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ გლობალური ომის პარტიისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია საქართველოში საკუთარი მონა ხელისუფლების ყოლა.** ამის მიზეზი საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა გახლავთ და მსოფლიო პოლიტიკის გიგანტების მიერ დაგეგმილი გეოსტრატეგიული და ეკონომიკური ძვრები. უფრო მეტიც, შესაძლებელია, ეს ყველაფერი ხდება რეგიონში რუსეთთან პირდაპირი დაპირისპირებისა და საქართველოს უკრაინიზაციის მიზნით.

როგორც ჩანს, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამ გეგმებს თავიდან ბოლომდე უნგრევს გლობალურ ძალებს, ვინაიდან წინა პლანზე აყენებს არა უცხოელების, არამედ საკუთარი ხალხის ინტერესებს.

სხვა ახსნა ნამდვილად არა აქვს მთელი მსოფლიოს ასეთ გაცოფებას 3-მილიონიანი ქვეყნის პარლამენტის მიერ დაინიცირებულ ერთ რიგით კანონზე!

**ვერავინ გაიხსენებს, კონკრეტულ ქვეყანაში ლამის მთელი მსოფლიოს ასე ორგანიზებულად დარაზმვას რომელიმე კანონპროექტის წინააღმდეგ.**

ამიტომაც უფრო მეტი ყურადღებით და სიღრმისეულად უნდა შევისწავლოთ, ამ კანონის მიღებით რომელ ძალებს და, რაც მთავარია, ამ ძალების რა სახის ქმედებებს ეკვეცება ფრთები. და, საერთოდ, **რა ისეთი კოლოსალური შავი ფულია ჩადებული საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების აყირავებაში, რომ მათი ჩრდილიდან გამოყვანის მცდელობა ასეთ გაცოფებულ წინააღმდეგობას იწვევს?**

*ნანა კაკაბაძე*

## მართალს ვიტყვი... ★









*თამთა კოსტავა*
*მერაბ კოსტავას შვილი*

# მამაჩემი კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიებთან კი არ უნდა გაერთიანებულიყო, არამედ სტალინის გზა უნდა გაეგრძელებინა!

ჩემთვის **სტალინი** ქრისტეს მახვილი იყო, საბჭოთა კავშირი იმიტომ შექმნა, რომ დასავლეთისა და აშშ-ისთვის წინააღმდეგობა გაეწია, ორივე მათგანი ჩვენს ქვეყანაშია შემოჭრილი და სიტუაციას ურევს. **მამაჩემს თავისი ენერგია და გამძლეობა უნდა გამოეყენებინა სტალინის საქმის გაგრძელებაში.** საქართველო ვერ მოუგებს დასავლეთსა და ამერიკას, მაგრამ ისეთი ერთობა, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, მათ ნამდვილად მოუღებდა ბოლოს. უბრალოდ, **სტალინის შემდეგ ვერ მოვიდა მისნაირი ადამიანი. სტალინი კომუნისტების იმ შავ სამყაროში თეთრი წერტილი იყო, ის არ გასვრილა; ქართველი სამღვდელოების დამსახურებაა, რომ სტალინი კრემლში გაუშვეს.** მამაჩემიც რომ წასულიყო, მთლიანობაში ქვეყანა უფრო მეტს მოიგებდა.

**მე რუსეთი მომწონს და მინდა, რაღაც ისეთი მოხდეს, მეორე სტალინი გამოჩნდეს რუსეთში. მე არ მივილტვი ამერიკისკენ. ამერიკა კარგია ამერიკელებისთვის, კოლონისტები არიან და ძალიან ცუდ დღეში აგდებდნენ კოლონიებს.** მამაჩემი რუსულმა სპეცსამსახურებმა შეიწირა, მაგრამ ამერიკა უარესია. პატარა დემონი გერჩიოს დიდ ეშმაკს. **არანაირი სურვილი არ მაქვს ევროპასა და ნატოში შესვლის, ისევ რუსეთთან ყოფნა მირჩევნია.** ისე კი, ჩვენი მიზანია, ჩვენი იდენტობა შევინარჩუნოთ.

**მე მამაჩემის იდეოლოგიას არ ვიზიარებ. მე სტალინისტი უფრო ვარ იდეით, ვიდრე ზვიადისა და მერაბის მიმდევარი.**

*«კვირის პალიტრა»*

## ციტატა ★

*ჩვენ ძველებურად ცოტა რამ ვიცით ბოლშევიკური იმპერიის ამ ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეთქმულების შესახებ, რომელზეც საკუთარ ვერსიას გვთავაზობს* ***სერგო ბერია — ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი, გამოჩენილი მეცნიერი, საბჭოთა სარაკეტო ტექნიკის აღიარებული სპეციალისტი, ჭეშმარიტი ინტელიგენტი და შესანიშნავი პიროვნება, რომლის თავზეც, როგორც იტყვიან, მარტო წისქვილის ქვა არ დატრიალებულა.*** *1953 წლის ივნისის მიწურულს ოცდაცხრა წლის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ინჟინერ-პოლკოვნიკი, ლენინის ორდენის კავალერი, სტალინური პრემიის ლაურეატი, მსხვილი საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელი* ***სერგო ბერია*** *საკუთარ დედასთან ერთად ლეფორტოვოს ციხის ტუსაღი გახდა. წოდებებჩამორთმეული, უფლებებაყრილი და მოღალატის შვილის იარლიყმიწებებული ვაჟკაცურად შეხვდა ბედის სასტიკ განაჩენს, არ გატყდა, არ დაჰყვა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა ნებას, რომლებსაც მისგან მამაზე აუგის მოსმენა სურდათ. ეს სიჯიუტე მას ურალში ათწლიან გადასახლებად დაუჯდა, მაგრამ მამაშვილობის დაუწერელი კანონისთვის წუთითაც არ უღალატია.*

***სერგო ბერიას საოცარ ნებისყოფაზე და დიდ სამეცნიერო პოტენციალზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან ორმოცი წლის ასაკში ნულიდან დაიწყო თავისი კარიერა და კვლავ შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია.*** *ამით მან გააქარწყლა მოარული მითი, რომ თითქოს მამის კალთას იყო ამოფარებული, თორემ თავად არცთუ ბევრი რამ შეეძლო.*

*თავისი სიცოცხლის ბოლო ათი წლის მანძილზე ბატონ სერგოს საშუალება მიეცა, პირადად მოეთხრო საკუთარ თავზე და იმ სასტიკ დროზე.* ***ჩემს პირად ფონოტეკაში ინახება ათობით აუდიოკასეტა, რომლებზეც აღბეჭდილია ჩვენი ხანგრძლივი საუბრები, ბატონი სერგოს განუმეორებელი ხმა.*** *მისი მონაყოლი დაედო საფუძვლად ჩემს ორ წიგნს* ***„ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს“*** *და* ***„მოკლეს საკუთარ სახლში“*** *(სერგო ბერიას მტკიცედ სწამდა, რომ მამამისი საბჭოთა სპეცსამსახურებმა შინ მუხანათურად მოსპეს). მეორე წიგნის სასიგნალო ცალი რომ მივუტანე, დიდად გაიხარა და მითხრა: კიდევ იმდენი მაქვს მოსაყოლი, არაერთი ტომის მასალად გამოდგებაო. და მართლაც კაცს, რომელიც ლავრენტი ბერიას ოჯახში გაიზარდა, რომელიც სტალინის ბინაში ისე დადიოდა, როგორც მეგობართან დადიან ხოლმე (იგი სვეტლანასთან ერთ სკოლაში სწავლობდა), რომელიც თეირანის კონფერენციაზე ბელადის საიდუმლო დავალებას ასრულებდა, რომელიც პირადად იცნობდა პოლიტბიუროს ყველა წევრს, რომ არაფერი ვთქვათ საბჭოთა ტექნიკური მეცნიერების ელიტაზე, მართლაც უამრავი სათქმელი ჰქონდა. გული მწყდება, რომ შეკითხვაზე:* ***„ბატონო სერგო, შეიძლება, გამოგიაროთ?“*** *ამიერიდან ვეღარ გავიგონებ მის ტკბილქართულ პასუხს:* ***„რავა არა, მოდი!“***

*მიუხედავად იმისა, რომ სერგო ბერიამ ნახევარ საუკუნეზე მეტი სამშობლოს გარეთ გაატარა, იგი მშვენიერი მოქართულე იყო. პენსიაზე გასვლის შემდეგ სულ შინ დაბრუნებაზე ფიქრი ჰქონდა აკვიატებული, თბილისში ქარხნის აშენებას აპირებდა, სურდა, ძნელბედობის ჟამს საქართველოს მხარში ამოსდგომოდა. ვერ აისრულა გულის წადილი, ვერ მოასწრო. ცელშემართული ბებრუხანა 2000 წლის 10 ოქტომბერს უცაბედად დაადგა თავზე და მიიმეთში უხმო.*



რაულ ჩილაჩავა

## საუბრები იმპერიის ნანგრევებზე ★

# ლავრენტი ბერიას ვაჟი

## შესავალი

დღეს წმინდა სამებაა... ნათელი ქრისტიანული დღესასწაული. სარკმელს მიღმა ხმაურობს თავსხმა და უმოწყალოდ ფერთხავს წაბლის გადამჭკნარ ყვავილებს. აივნის ღია კარებში შემოჭრილი ზაფხულის გრილი სიო ოთახს ოზონით ავსებს. მარტოხელა მასპინძელთან ჩემს საუბარს თან ერთვის ჭექა-ქუხილი, როგორც კანონადა გარდასული ეპოქისა, სადაც იმდენი მღელვარება, შიში და ტანჯვა-ვაება დარჩა. **ამასწინათ იგი სამუდამოდ გამოეთხოვა დედას, რომელიც მისთვის მშობლის გარდა უახლოესი მეგობარიც იყო. დედასთან ერთად მან იწვნია მრავალწლიანი გადასახლების ძირმწარე გემო, გამოსცადა საზოგადოებისგან მოკვეთის მთელი სიმძიმე.** დედა ოთხმოცდაშვიდი წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ ბოლომდე შეინარჩუნა უწინდელი სათნოება და ადამიანებისადმი რწმენა. ამბობენ, ყმაწვილქალობაში ენით აუწერელი მზეთუნახავი იყო და მომავალმა მეუღლემ, სხვებს რომ არ დაესწროთ, მოიტაცაო. გათხოვებისთანავე ვეება ტვირთი დააწვა მხრებზე **ნინო გეგეჭკორს.** ხუმრობა საქმე როდი იყო — მეუღლეს **ლავრენტი ბერია** ერქვა!

მათი ერთადერთი პირმშო, რომელთანაც არცთუ იოლი საუბრები მელის, უკვე ხანში შესული კაცია, მაგრამ დედის გახსენებაზე ცრემლებს ვერ მალავს. **ანდერძის თანახმად, მან დედა თბილისში დაასაფლავა. მამის საფლავი კი არ არსებობს. მისგან საერთოდ არაფერი დარჩა: არც ნივთები, არც წიგნები, არც საბუთები, არც სახელი და გვარი.** თუმცა, ჩემ წინ ზის ლავრენტი ბერიას ღვიძლი შვილი, პასპორტის მიხედვით, **სერგო ალექსის ძე გეგეჭკორი.** ასე მოუნათლავთ სუკის ხელისუფალთ „ხალხის მტრის“ ვაჟი ათწლიანი გადასახლებიდან განთავისუფლებისას. აქაოდა, საყოველთაო რისხვისგან გიცავთო! სერგო ჯიუტობდა, თურმე, არ სურდა თუნდაც დედის გვარზე გადასვლა, მაგრამ მას არწმუნებდნენ: სადაც არ უნდა წახვიდე, სადაც არ უნდა იმუშაო, სულ ერთია, მაინც ამ პასპორტს მოგცემენ, ამიტომ გიჯობს, მიიჩვიოო. და ისიც იძულებული გამხდარა, თავი მოეჩვენებინა, სინამდვილეში კი ვერ შეეჩვია, რადგან მისთვის უცხო იყო საკუთარი მამის დამსმენი პავლიკ მოროზოვის ფსიქოლოგია.

●

დიდი ხანია, ვიცოდი, რომ ჩვენ ერთ ქალაქში ვცხოვრობთ, მაგრამ რამდენჯერაც ვცადე მისი მოძებნა, იმდენჯერვე გადავიფიქრე: მოისურვებს კი „საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტის“ შვილი, შეხვდეს თანამემამულე მწერალს, რომელსაც მის ოჯახზე წიგნის დაწერა განუზრახავს? ბერიას სახელზე მაშინ საერთოდ ტაბუ იყო დადებული, მას არსად ახსენებდნენ. დრამატიზმითა და ადამიანური ტრაგედიებით აღსავსე მრავალსერიიან ბოლშევიკურ ეპოპეაში **ლავრენტი ბერიას** ელოდა ოლიმპოს დამპყრობლისა და დამხობილი კერპის როლი, რომელსაც შემდგომ კომუნისტური რეჟიმის ყველა დანაშაულებს მიაწერენ. ამჟამად ცხადია, რომ ეროვნებით ქართველი სტალინის ოცდაათწლიანი დიქტატურის შემდეგ ბერიას, ასევე ქართველს, უბიწო კრავიც რომ ყოფილიყო, არ დაინდობდა პოლიტბიუროში თავმოყრილი მგლების ხროვა, რადგან თითქმის უკლებლივ ყველა უმაღლესი ხელისუფლებისაკენ თანამებრძოლთა გვამებზე გავლით მიიწევდა. **ყველა ნაჯალათარი იყო და ლავრენტი ბერიაზე უკეთ ეს ვის უნდა სცოდნოდა? ხროვას ესმოდა: სტალინის სიკვდილი ის მიჯნაა, რომელიც შეიძლება მისთვის საბედისწერო გამოდგეს, თუ არ მოიშორებს უსაშიშრეს მეტოქეს, მიცვალებული „ხაზეინივით“ უცხოტომელს.**



**„ალბათ, გაოცდებით, როცა გეტყვით, რომ მამას ყოველთვის უნდოდა როგორც ჩეკას, ასევე ცეკას დატოვება!“**

***ლავრენტი ბერია და მისი ვაჟი – სერგო***

●

**მე მესმის, რომ საბჭოთა კავშირში რეპრესიების ობიექტურ ისტორიას ვერ დაწერენ როგორც რეპრესირებულთა, ასევე რეპრესიების ჩამტარებელთა შვილები. ერთნიც და მეორენიც შეპყრობილნი არიან საკუთარი მშობლების საუკეთესოდ წარმოჩენის სურვილით, მაშინ როცა ჭეშმარიტება სადღაც შუაშია.**

ჩემი თანამოსაუბრე დაინტერესებული, მიკერძოებული პირია, მაგრამ მის მონაყოლს მაინც აქვს გარკვეული მნიშვნელობა იმ საგრძნობი სიცარიელის შესავსებად, რომელიც „ბერიას საქმეში“ დღემდე არსებობს. მითუმეტეს, რომ ეს საქმე ჩვეულებრივი, სამართლებრივი გაგებით, დღემდე არ განხილულა. **სერგო ბერია დარწმუნებულია: მამამისის სასამართლო საერთოდ არ შემდგარა. ხრუშჩოვისა და ძმათა მისთა ფარსი, სადაც ბრალდებული არ იმყოფებოდა, ანგარიშში ჩასაგდები არაა.**

●

**— ბატონო სერგო, მე ვიცი, რომ მამათქვენი დაიბადა 1899 წლის 30 მარტს ღარიბი გლეხის ოჯახში. ხომ არ მოგვიყვებოდით უფრო ვრცლად, ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები?**

— ბაბუაჩემმა **პავლე ბერიამ** სიჭაბუკე სამეგრელოში გაატარა, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლებასთან უთანხმოების გამო იძულებული გახდა, სახლ-კარი მიეტოვებინა და აფხაზეთის მიყრუებულ სოფელ მერხეულში გადასახლებულიყო. წარმოშობით იგი მარტვილის მახლობელი სოფლიდან გახლდათ, სადაც ცხოვრობდნენ და ახლაც ცხოვრობენ ჩემი მოგვარეები, მათ შორის, ბიძაშვილმამიდაშვილები, ახლობელი და შორეული ნათესავები. ბევრ მათგანს, რომლებმაც გაჭირვების ჟამს ზურგი არ შემაქციეს, დღესაც ვხვდები. მამაჩემის დედა — **ბებია მართა — ჯაყელის** ქალი იყო. ჩვენი ოჯახის მოსკოვში გადასვლამდე იგი ჩვენთან ცხოვრობდა და მე მზრდიდა. გარდაიცვალა 1955 წელს, მას შემდეგ, რაც მე და დედაჩემი ციხიდან გამოვედით. მთელი წელი ვეძებდით ბებიებს (როგორც მამის, ასევე დედის მხრიდანაც), რომლებიც ბინებიდან გაესახლებინათ და სადღაც გორის შემოგარენში მოხუცთა სახლში გაემწესებინათ. ნათესავთაგან არავის, მათ შორის, შვილებსაც, არ მისცეს მათი შინ წაყვანის ნება.

**— მამას და-ძმა ჰყავდა?**

— დიახ, ღვიძლი და ანეტა. ისიც ჩვენთან ცხოვრობდა, მაგრამ მოსკოვს ვერ შეეგუა და ერთი წლის მერე ბებია მართასთან ერთად თბილისში დაბრუნდა. ეს განათლებული ქალი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ყრუ-მუნჯი გახდა. ქმარშვილთან ერთად აბაკანში სასჯელის მოხდის შემდეგ მამიდა გარდაიცვალა, ხოლო მისი ქალიშვილი თბილისში ცხოვრობს. მამას ჰყავდა აგრეთვე ნახევარძმა **კაპიტონ კვარაცხელია,** რომელიც ჯერ კიდევ რევოლუციამდე ბიძასთან, ბებიაჩემის ძმასთან ერთად მანჯურიაში გაემგზავრა საშოვარზე და საბჭოთა კავშირში 1935 თუ 1936 წელს დაბრუნდა. ერთხანს იგი ჩვენთან ცხოვრობდა, მაგრამ მოგვიანებით სოხუმში გადასახლდა, სადაც ნავთობბაზას განაგებდა.

**— მე მსმენია, ბებია მართა მეტად ღვთისმოსავი ქალი იყოო...**

— სწორს ბრძანებთ. ბებია ეკლესიაში დადიოდა და ქრისტიანული ცხოვრების წესს იცავდა.

***— როგორ უყურებდა ამას შვილი?***

— ერთ ამბავს მოგიყვებით. სკოლაში ჩვენ გვქონდა **ოქტომბრელ უღმერთოთა** წრე. მე როგორც ამ წრის წევრმა, პირველი „აქცია“ ასე ჩავატარე: გავაფუჭე ძველი ხატი, რომელსაც ბებია კარადაში ინახავდა. სამსახურიდან დაბრუნებულმა მამამ შენიშნა, რომ ბებია ნაწყენი იყო და მიზეზი ჰკითხა. ბებიამ გაჩუმება არჩია, მე კი სიამაყით მოვუყევი, თუ როგორ ავუგე წესი ბებიას რელიგიური თაყვანისცემის საგანს. მამამ გაფუჭებული ხატი მომატანინა, ხოლო დედაჩემს პოზირება სთხოვა. იგი ორი საათი ხატავდა. მერე თავისი ნამუშევარი ჩარჩოში ჩასვა და ბებიას გადასცა ამ სიტყვებით: „ბავშვს, აბა, რა უნდა მოსთხოვო? იგი ჩვენი დროის აღზრდილია“. მე მერე მოსვენებას არ ვაძლევდი ბებიას: „გამაგებინე, როგორ ლოცულობ ამ ხატზე? შენ ხომ იცი, ღვთისმშობელი კი არა დედაჩემია გამოსახული?“ ბებია პასუხად მეტყოდა: „შვილო, როცა გაიზრდები, მიხვდები, რომ ეს ნახატი ჩემთვის წმიდათაწმიდაა!“

**— პირველად მესმის, რომ ლავრენტი ბერია ხატავდა...**

— იგი ძალიან კარგად ხატავდა და ამ გატაცებაში აქსოვდა მთელ თავის შთაგონებას. მუშაობდა ზეთით, აკვარელით, ნახშირით. თავის ნამუშევრებს ირონიულად უყურებდა, მაგრამ მხატვრებთან მეგობრობდა და ფერწერის სიყვარულსაც არ მალავდა. უფრო მეტიც, გულით ეწადა, რომ თვითონაც მხატვარი გამოვსულიყავი. მე კი ტექნიკა ავირჩიე. სხვათაშორის, ისიც მისი ლოცვა-კურთხევით.

**— თავად მამათქვენს რა განათლება ჰქონდა?**

— როცა მამას ექვსი წელი შეუსრულდა, ბაბუამ გაყიდა თავისი ერთი მუჭა ქონება და შვილი სოხუმის უმაღლეს დაწყებით სასწავლებელში გაგზავნა. მასთან გაჰყვა **ბებია მართაც,** რომელიც რამდენიმე წელიწადი შვილიშვილთან ერთად ნაქირავებ ოთახში ცხოვრობდა. ქართული სკოლები მაშინ თითქმის არ არსებობდა, მშობლიურ ენას დევნიდნენ, სწავლა რუსულ ენაზე მიდიოდა. მე მინახავს მამაჩემის ატესტატი: მასში მხოლოდ ფრიადები ეწერა. როცა სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა, მამა განათლების გაგრძელებაზე დაფიქრდა. მას ძალიან იტაცებდა არქიტექტურა და სამშენებლო საქმე. ამ პროფესიების ასათვისებლად საჭირო იყო პეტერბურგში ან ბაქოში გამგზავრება, სადაც შესაბამისი ფაკულტეტები არსებობდა. არჩევანი ბაქოზე შეჩერდა. ბაბუამ დარჩენილი ავლა-დიდებაც გაყიდა, გზის ფული მოაგროვა და ვაჟს გზა დაულოცა. მამა თხუთმეტი წლის იყო, როცა ბაქოს მექანიკურ-სამშენებლო სასწავლებლის სტუდენტი გახდა. 1917 წლის ზაფხულში იგი რუმინეთის ფრონტზე გაემგზავრა, როგორც ტექნიკოს-პრაქტიკანტი, ხოლო მისი სამხედრო ნაწილის დაშლის შემდეგ ბაქოში დაბრუნდა. 1919 წელს მამამ სასწავლებელი ფრიადზე დაამთავრა და არქიტექტორ-მშენებელი ტექნიკოსის დიპლომი მიიღო.

**— ცნობილია, რომ ლავრენტი ბერია 1922 წლის ნოემბრამდე ცხოვრობდა აზერბაიჯანში, სადაც საიდუმლო-ოპერატიული ნაწილის უფროსისა და ჩეკას თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობას ასრულებდა. რას გვეტყოდით მამის მოღვაწეობაზე ბაქოში?**

— ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ქართულმა სათვისტომომ მამა რსდპ (ბ) უჯრედის ბიუროს მუშაობაში ჩააბა. რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად იგი მუსავატებთან შეგზავნეს, რათა მათი სტამბის ადგილსამყოფელი და შეხვედრის ადგილები დაედგინათ. არალეგალური სამუშაოს ამ უბანს **ანასტას მიქოიანი** განაგებდა და მამაჩემის იქ საქმიანობაზე მას უამბნია ჩემთვის. ბაქოს 26 კომისრის დაღუპვის შემდეგ მამა საქართველოში გაგზავნეს მენშევიკებთან საბრძოლველად. მთავრობის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის იგი დააპატიმრეს და მოათავსეს ქუთაისის ციხეში, საიდანაც მალე გაანთავისუფლეს **სერგეი კიროვის** დაჟინებული მოთხოვნით. დღეს ათასგვარ მონაჭორს გაიგონებთ: ბერიამ ციხეში შიმშილობა ჩაშალაო, თუმცა, სინამდვილეში იგი ამ შიმშილობის ორგანიზატორი იყო. მე სხვა რამეს გეტყვით: მამამ უარი თქვა ციხიდან გაქცევაზე, რომლის მოთავეც იყო **შალიკო წერეთელი,** საბრძოლო ოფიცერი, გიორგის ჯვრის კავალერი. მაშინ **სერგეი კიროვი** უკვე აწარმოებდა მოლაპარაკებას მამის განთავისუფლების თაობაზე და გაქცევას მხოლოდ შემდგომი დევნა შეეძლო, გამოეწვია. წერეთელი მამას არ დაუწყნია და გასაბჭოების შემდეგ ჩეკაში სამუშაოდ მიიწვია. სამწუხაროდ, 1953 წელს იგი დახვრიტეს, როგორც **ბერიას** თანამზრახველი.

**— ამჟამად ბევრს წერენ და ლაპარაკობენ ბერიას როლზე საქართველოში 1924 წლის კონტრრევოლუციური ამბოხების ჩახშობაში...**

— მამამ (მაშინ მას საქართველოს ჩეკას ოპერატიული ნაწილის უფროსისა და ჩეკას თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა) იცოდა მენშევიკების მზადების შესახებ. ჩეკა იმდენად იყო ინფორმირებული მომავალ აქციაზე, რომ მას იმთავითვე დამარცხება ეწერა.

**— ასე უნიათოდ მოქმედებდნენ მენშევიკები თუ პირიქით, ყოჩაღად მუშაობდა ჩეკა?**

— მე ვიტყოდი, რომ უნიათოდ მოქმედებდნენ. მათ შორის, რა თქმა უნდა, პროფესიონალებიც ერია, მაგრამ შეცდომა ის გახლდათ, რომ მენშევიკებმა კონსპირაციულ საქმიანობაში ბევრი ადამიანი ჩააბეს, რომლებიც მერე ვერ გააკონტროლეს. სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად (ორჯონიკიძის თანხმობით) მამამ შეგნებულად გაავრცელა





# მოგვითხრობს!

ინფორმაცია, რომ ჩეკასთვის ცნობილია ყველაფერი: გამოსვლის თარიღიც, არსენალის ადგილსამყოფელიც, იარაღის შემოზიდვის მარშრუტიც და ა.შ. მენშევიკების ხელმძღვანელთა უმრავლესობამ ეს არ დაიჯერა და საქართველოში გამოგზავნა **ვალიკო ჯუღელი,** ეროვნული გვარდიის მეთაური, ჭკვიანი პიროვნება და ნამდვილი რაინდი. მისი გამოჩენა მამამ მაშინვე გაიგო და სანდო პირის მეშვეობით ერთხელ კიდევ გააფრთხილა იგი ამბოხების უაზრობაზე. მამა სთავაზობდა **ვალიკო ჯუღელს** თანამზრახველნი გარდუვალ მარცხში დაერწმუნებინა და სასწრაფოდ დაეტოვებინა საქართველო. ჯუღელმა გაფრთხილება ყურად არ იღო. პირიქით, თბილისის ცენტრში, პლეხანოვის პროსპექტზე, გასეირნება გადაწყვიტა, სადაც რომელიღაც ქალმა იცნო და ჩეკას შეატყობინა. მისი აშკარად გამოქომაგება მამას არ შეეძლო. უკვე ციხიდან ჯუღელმა თავისიანები გააფრთხილა, მაგრამ ეს სიყალბედ ჩათვალეს. ამბოხება დამარცხდა, ხოლო საქართველოს სასტიკი რეპრესიების ტალღამ გადაუარა. მოგეხსენებათ, რესპუბლიკას მაშინ მართავდა არა **ლავრენტი ბერია...**

**— დიმიტრი ვოლკოგონოვი თავის წიგნში „ტრიუმფი და ტრაგედია“ გადმოგვცემს ბერიას სტალინთან გაცნობის საკუთარ ვერსიას. თითქოს მათ ერთმანეთი გაეცნოთ 1929 ან 1930 წელს წყალტუბოში. ა. ანტონოვ-ოვსეენკოს მიაჩნია, რომ ისინი ერთმანეთს გაეცვნენ 1924 წელს, როცა გენერალურმა მდივანმა საქართველოს ცეკასა და გეპეუს ხელმძღვანელი მუშაკები მიიღო, ასე ვთქვათ, პუტჩისტებზე გამარჯვების შემდეგ. ბელადთან შეხვედრა იყო მიჯნა, რომელმაც განსაზღვრა ლავრენტი ბერიას მთელი მომავალი ცხოვრება. იგი უთუოდ მოგიყვებოდათ თქვენ ამის შესახებ...**

— საოჯახო გადმოცემიდან ვიცი, რომ მამა, როგორც პერსპექტიული მუშაკი, სტალინს პირველად წარუდგინა ორჯონიკიძემ 1921 წელს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე. მაშინ, როგორც ცნობილია, **სტალინი** საქართველოს ეწვია.

**— ეს შეხვედრა შეიძლებოდა მნიშვნელოვანი ყოფილიყო ბერიასთვის, მაგრამ თვითონ სტალინს თუ დაამახსოვრდა იგი?**

— ვფიქრობ, დაამახსოვრდა. 1924 წლის ამბოხების ანალიზის დროს ცნობილი გახდა ფაქტები, რომლებიც ადატურებდნენ გამოსვლის აღსაკვეთად ბერიას მიერ მიღებულ ენერგიულ ზომებს. სტალინს სწორედ მაშინ გაახსენდა ახალგაზრდა ჩეკისტი, რომელსაც პოლიტიკური ალღოც ჰქონია.

**— 1931 წლის ნოემბერში ლავრენტი ბერია ხდება სკპ(ბ) ამერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მეორე მდივანი და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ერთი წლის მერე კი ამიერკავკასიის კპ(ბ) და საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. ასე დაიწყო მისი პარტიული კარიერა. როგორ ფიქრობთ, რით აიხსნება მამათქვენის მსგავსი სამსახურებრივი აღმასვლა?**

— ალბათ, გაოცდებით, როცა გეტყვით, რომ მამას ყოველთვის უნდოდა როგორც ჩეკას, ასევე ცეკას დატოვება. მას სურდა, ინჟინერი გამხდარიყო და წარმატებისთვის ამ სფეროში მიეღწია. სასწავლებლის მერე მან ექსტერნად დაამთავრა ბაქოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სამი კურსი. დედა იგონებდა, რომ მამა ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმების მერეც, როცა იგი ცეკას მდივანი იყო, სწავლის გაგრძელებას ითხოვდა. მაგრამ იმ დროისთვის მას უკვე გამოცდილ საკადრო მუშაკად თვლიდნენ და, ცხადია, თხოვნა არ შეუსრულეს. აღსანიშნავია, რომ მამამ საქმით გატაცება იცოდა და უთუოდ ღრმად უნდა ჩასწვდომოდა ყველაფერს, რასაც აკეთებდა. მაგალითად, როცა კოლხეთის ჭაობების დაშრობა და იქ ციტრუსების დარგვა დაიწყეს, მან სპეციალურად შეისწავლა ყველაფერი, რაც მათ მოვლა-გაშენებას შეეხებოდა. მე თვითონ ვიყავი მოწმე, რა ცოდნას დაეუფლა მამა რაკეტათმშენებლობის, ატომური და წყალბადის ბომბის წარმოების სფეროში, რა პროფესიულად კამათობდა იგი დიდ მეცნიერებთან ამა თუ იმ საკითხის ტექნიკურ წვრილმანთა გამოკვლევისას. მამამ დამოუკიდებლად შეისწავლა ინგლისური, ფრანგული და გერმანული ენები. ამ ენებზე მას ნებისმიერი ლიტერატურის წაკითხვა შეეძლო. რუსულად იგი ქართული აქცენტით ლაპარაკობდა, მაგრამ უშეცდომოდ წერდა.

დილით ორი-სამი საათი აუცილებლად მუშაობდა, კითხულობდა სხვადასხვა მასალებს. საკდესისა და დაზვერვის მასალების ჩათვლით დღეში 300-400 გვერდი გამოსდიოდა. კითხულობდა ჩვეულებისამებრ ფანქრითა და ბლოკნოტით ხელში. ამით იმის ხაზგასმა მინდა, რომ **ლავრენტი ბერია** არც ისეთი უწიგნური და უბირი ყოფილა, როგორადაც მას ხშირად წარმოგვიდგენენ ხოლმე. მამის დაწინაურებისას უთუოდ იყო გათვალისწინებული მისი საქმიანი თვისებები.

**— ლავრენტი ბერიასთვის საეტაპო გახდა 1935 წლის 21-22 ივლისს თბილისის პარტაქტივის კრებაზე წაკითხული მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. ხელისუფლების მწვერვალზე ლავრენტი ბერიას ასვლას უკავშირებენ სწორედ ამ მოხსენებას, რადგან მასში ხოტბაშესხმული იყო იოსებ სტალინის რევოლუციური წარსული. ამავე დროს იმასაც ამბობენ, რომ მოხსენება, რომელიც მერე წიგნად და პარტიულ ბესტსელერად იქცა, სულაც არ დაუწერია ლავრენტი ბერიას და, რომ მისი ნამდვილი ავტორები სულ მალე გაანადგურესო.**

— თუ საუბარია მწვერვალზე, მამა მაშინ უკვე იქ იმყოფებოდა...

**— მე მხედველობაში მაქვს მისი მოსკოვში გადაყვანა უფრო დიდ თანამდებობაზე, ბელადთან დაახლოება, პოლიტბიუროში შეყვანა...**

— იმედი უნდა გაგიცრუოთ: ის, რომ წიგნი რამდენიმე კაცის დაწერილი იყო, არც არავის დაუმალავს.

**— მაშინ რატომ მოსპეს მისი ავტორები?**

— დახვრიტეს, სამწუხაროდ, **ერიკ ბედია,** მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის დირექტორი, მეტად სიმპათიური და ნიჭიერი კაცი. მახსოვს მისი გახსნილი და მხიარული სახე. იგი ხშირად მოდიოდა ჩვენს სახლში, საუბრობდა მამასთან. მოდიოდნენ სხვა თანაშემწეებიც — მოხსენება ხომ კოლექტიური ნაშრომი იყო. მას ერთად წერდნენ, აჯერებდნენ მასალებს, მსჯელობდნენ. მოხსენება კეთდებოდა ცეკას სახელით, ჩვენში ხომ ავტორად დღემდე მომხსენებელს თვლიან და ამაში რაიმე სათაკილოს ვერ ხედავენ. ასე იყო მაშინაც.

**— არსებობს ვარაუდი, რომ მოხსენება სტალინის დაკვეთით დაიწერა...**

— არა მგონია, რომ პირდაპირი დაკვეთა იყო, თუმცა, საიდუმლოს არ წარმოადგენდა სტალინის უკმაყოფილება **ბუდუ მდივანისა** და **ფილიპე მახარაძის** საქციელით, რომლებიც ცდილობდნენ, შეელამაზებინათ თავიანთი რევოლუციამდელი დამსახურებანი და დაეჩრდილათ ახალგაზრდა **ჯუღაშვილი,** ვისაც ოქტომბრამდე პარტიაში არ ჰქონია ისეთი ავტორიტეტი, შემდგომ რომ შეიძინა. ამ თვალსაზრისით მოხსენება მართლაც უსვამდა ხაზს **სტალინის** როლს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნაში. მე ვიცი, რომ **ძმები სტურუები,** რომლებიც **ბუდუზე** არანაკლები რევოლუციონერები იყვნენ, დიდად აფასებდნენ იმ პერიოდში **სტალინის** მოღვაწეობას.

**— როგორ მოხდა, რომ ერიკ ბედია, რომელსაც თქვენ ასე თბილად იხსენებთ, დახვრიტეს? ნუთუ ლავრენტი ბერიას არ შეეძლო მისი გადარჩენა?**

— რეპრესიების დასაწყისში განკარგულებები მხოლოდ და მხოლოდ ცენტრიდან მოდიოდა. ყველაფერს წყვეტდნენ სკპ(ბ) ხელმძღვანელი ორგანოები და არა **იაგოდა, ეჟოვი,** შინსახკომი საერთოდ.

**— ნუთუ მათ იცოდნენ, ვინ რას აკეთებდა რესპუბლიკებში?**

— იცოდნენ. მათ იქ ჰქონდათ ინფორმაციის საკუთარი არხები, რომელთა მეოხებითაც იღებდნენ ცნობებს და გადასცემდნენ დირექტივებს. მამაჩემი, როცა საქმე ახლობელ ადამიანს ეხებოდა, პირდაპირ სტალინს მიმართავდა ხოლმე. უფრო, ალბათ, წერილობით, რადგან მასთან ტელეფონით დალაპარაკება არცთუ ადვილი იყო. მამა ბელადს რამდენჯერმე ჰხლებია კიდეც, რათა უბრალოდ დაპატიმრებულებს გამოსარჩლებოდა. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო **სერგო ორჯონიკიძე,** რომელმაც ხელი შეუწყო მამაჩემის პარტიულ სამუშაოზე გადასვლას. სწორედ ორჯონიკიძეს უთქვამს მამაჩემისთვის: **იჯექი შენთვის და ნუ გამოეჩრები. შენზე კიდევ უფრო უარესი სამხილები არსებობს და თუ სამართლიანობისთვის ბრძოლას დაიწყებ, უპირველესად თვითონ ამოყოფ თავს ვირის აბანოშიო.** მე ეს დედამ მიამბო, რომელიც იმ საუბარს შესწრებია. **სერგო** ემოციური კაცი იყო და ძალიან განიცდიდა შექმნილ ვითარებას. გული მწყდება, რომ მას ამჟამად ქართველი ერის მტერს ეძახიან. რატომღაც გულუბრყვილოდ მსჯელობენ: ორჯონიკიძე რომ არა, მე-11 არმია საქართველოში ვერ შემოვიდოდაო. **შემოვიდოდა და თანაც როგორ! ივანოვის, პეტროვის, სიდოროვის მეთაურობით...** სულ ერთია, მაინც შემოვიდოდა. სხვა საქმეა, რომ **სერგომ** სტრატეგიული შეცდომები დაუშვა...

**— მომიტევეთ, მაგრამ თბილისის აღებისთვის მოსკოვის მიერ ნაბოძები ორდენიც შეცდომაა? ქართველი კაცის მკერდს როგორ უნდა ამშვენებდეს ასეთი საშინელი ჯილდო?**

— სწორი ბრძანებაა, მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ **სერგო** ცდილობდა დადებითი როლის შესრულებას, ქვეყანაში მიმდინარე მწვავე პროცესების შენელებას. ეს ჩემი პირადი აზრი გახლავთ.

**— როგორ გაიმეტა ლავრენტი ბერიამ, რომელიც ორჯონიკიძისგან თურმე დავალებულიც კი იყო, საციხოდ და დასახვრეტად მისი ძმა პაპულია?**

— **პაპულია ორჯონიკიძე** ჩვენს სახლში ცხოვრობდა, ამიტომ მას კარგად ვიცნობდი. იგი მუდამ მნიშვნელოვან თანამდებობებზე იყო, მაგრამ მოქეიფის, მონადირისა და დარდიმანდის სახელი ჰქონდა გავარდნილი. სერგოს, უკაცრავად პასუხია და, მხოლოდ ძღ...ერს (ცენზურა ჩვენია. რედ.) ეძახდა, სოციალიზმს კი მიწასთან ასწორებდა...

**— უწინდელ კითხვას მინდა დავუბრუნდე: მოსკოვში ვინ იცოდა, რომ სადღაც არსებობს ვინმე ერიკ ბედია, რომელიც უსათუოდ უნდა დაიხვრიტოს?**

— საგანგებო აგენტურას შეეძლო, ცენტრისთვის ეცნობებინა **ბედიას** კერძო, არასახარბიელო გამონათქვამები პარტიის პოლიტიკაზე, რაც სავსებით საკმარისი იყო უმკაცრესი განაჩენისთვის. უნდა შევნიშნო: ჩვენი ინტელიგენციის უბედურება არის ის, რომ იგი ბევრს ლაპარაკობს და ცოტას აკეთებს.

**— 1937 წელი ქართული კულტურისთვის (და არა მარტო კულტურისთვის) ტრაგიკულ წლად იქცა: დახვრიტეს მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, სანდრო ახმეტელი, ევგენი მიქელაძე, თავი მოიკლა პაოლო იაშვილმა... როგორ გესახებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის როლი ამ ეროვნულ უბედურებაში?**

— იცით, მე მაშინ სრულიად პატარა ვიყავი...

**— სხვათაშორის, რომელ წელსა ხართ დაბადებული?**

— 1924 წელს.

**— მაშინ მართლაც პატარა ყოფილხართ, მაგრამ მერე ხომ ბევრი რამე გახდა თქვენთვის ცნობილი!**

— ვერ ვიტყვი, შეეძლო თუ არა მამას მოსკოვის მიერ პროვოცირებული პროცესების შეჩერება. ვიცი, რომ იგი ცდილობდა იმ მეცნიერთა გადარჩენას, რომლებსაც განათლება გერმანიაში ჰქონდათ მიღებული და ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა. დედაჩემის თქმით, მამა მათ ურჩევდა — დასჯერდით რაიმე უწყინარ თანამდებობას, თქვენ მომავალ საქართველოს სჭირდებითო. სწორედ მამის წყალობით გადარჩა ზოგიერთი მწერალი და მეცნიერი. ვთქვათ, **კონსტანტინე გამსახურდია, შალვა ნუცუბიძე...**

**— ნუცუბიძე ხომ იჯდა ციხეში?**

— იგი „იჯდა“ მოსკოვში და, მამაჩემის რჩევით, რუსულად თარგმნიდა „ვეფხისტყაოსანს“. მამა არწმუნებდა ბატონ შალვას: თარგმნე პოემა, შენ ხომ ბრწყინვალე პოეტი ხარ. მერე შენი ნაშრომი სტალინს ვაჩვენოთ — შეუძლებელია, მის წაკითხვაზე ქართველს გული არ შეუტოკდესო. და მართლაც, **სტალინი ცხოვლად დაინტერესდა ნუცუბიძის თარგმანით და მისი ფაქტიური რედაქტორიც გახდა...** მოგვიანებით **შალვა ნუცუბიძე,** გონებამახვილი და ენამოსწრებული კაცი, გამუდმებით აღნიშნავდა — სტალინი „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის თარგმნაში დამეხმარაო, ოღონდ სტროფს არასოდეს ასახელებდა. **კრიტიკოსებს ეშინოდათ, ვაითუ სტალინის თარგმანს ცუდად შევეხოთო და ამიტომ ხოტბას ასხამდნენ მთელ ნაშრომს.** თუმცა, იგი ამ მცირე ეშმაკობის მიუხედავადაც იმსახურებდა ქებას.

**— თქვენს ბიბლიოთეკაში მე ვხედავ კონსტანტინე გამსახურდიას წიგნებს. თქვენ უყვებოდით, იგი ხშირად სტუმრობდაო ჩვენს ოჯახს, მეგობრობდაო მამაჩემთან. რაღა დასამალია და ზოგ-ზოგნი ოცდაჩვიდმეტში გამსახურდიას გადარჩენას ბერიას მეგრულ პატრიოტიზმს მიაწერენ...**

— ის, რომ მამაჩემი სამეგრელოსადმი გულგრილი არ იყო, უდავოა. **დედას იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მეგრულად ელაპარაკებოდა. ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილება იყო.** უდავოა ისიც, რომ მამას აინტერესებდა კოლხების, ლაზების, მეგრელების ისტორია. საფიქრებელია, რომ **კონსტანტინე გამსახურდიას** იგი აფასებდა, უპირველესად, როგორც ამ ისტორიის უბადლო მცოდნესა და შთაგონებულ მომღერალს. **საერთოდ მამა ე.წ. მეგრული სეპარატიზმის წინააღმდეგი იყო. მე კარგად მახსოვს თეთრწვერა ისაკ ჟვანია, სამეგრელოს ავტონომიის იდეით შეპყრობილი პიროვნება.**

**— იგი მეგრულად გაზეთსაც კი უშვებდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი „ყაზაყიში გაზეთით“ გაწებილი სამზადი სოფელში.**

— ჩვენ ის გაზეთი შინ მოგვდიოდა. ერთხელ მთელი ოჯახით შევიარეთ ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. ეს იყო კოლხეთის ჭაობების დაშრობასთან დაკავშირებით მამაჩემის დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას, სადაც პირველად ვნახე **ისაკ ჟვანია.** იგი ჯიუტად კამათობდა მამასთან და გაგონებაც არ სურდა იმისა, რომ სამეგრელოს ავტონომიას შეეძლო, საქართველოს ერთიანობისთვის ზიანი მოეტანა. როგორც ახლა ვხვდები, **50-იან წლებში შეთითხნილი „მეგრული საქმე“ დაიწყო სწორედ ასეთი გულუბრყვილო, თავისებურად პატიოსანი და ალალმართალი ხალხის პროვოცირებით.** გაცილებით ადრე საქართველოს ჩეკაში იყო **იაგოდასთან,** შემდგომ კი **ეჟოვთან** დაკავშირებული ხალხი, ვისაც მამის გზიდან ჩამოშორება სურდა. სამხილთა შეგროვების შემდეგ ისინი ბერიას წინააღმდეგ გაილაშქრებდნენ. ამ „საქმეს“ აქტიურად აკოწიწებდა, როგორც მერე გამოირკვა, შინსახკომის უფროსი **ქილაძე.**

**— დავუბრუნდეთ კვლავ ლავრენტი ბერიას როლს ქართული ინტელიგენციის ტრაგედიაში...**




პროლეტარეფქ ირი ქიყანაშიქ, შიართით!
ყაზაყიში გაზეთი
№ 58 (184) ჟუმაშხა, 11 მესი 1932 წანა.
15 მესიშე ზღვაში სააგენტოში გონწყუმა ანარქიას

ისაკ ჟვანია და მისი მეგრულენოვანი პერიოდული გამოცემა „ყაზაყიში გაზეთი“

**„საერთოდ მამა ე.წ. მეგრული სეპარატიზმის წინააღმდეგი იყო. მე კარგად მახსოვს თეთრწვერა ისაკ ჟვანია, სამეგრელოს ავტონომიის იდეით შეპყრობილი პიროვნება!“**

*გაგრძელება იქნება*

## გთხოვთ, მოგვითხროთ, კონკრეტულად რაში დაადანაშაულეს ხრუშჩოვმა და მისმა ბანდამ ბერია, პირველად სად ჩამოყალიბდა ეს ბრალდებები და როდის გახდა ისინი ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის?

ოფიციალური ვერსიის თანახმად, **ლ. ბერია** სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის (პოლიტბიუროს) სხდომაზე დააპატიმრეს **1953 წლის 26 ივნისს.** სინამდვილეში ის ამავე დღეს **კაჩალოვის ქუჩაზე** მდებარე მისი სახლის შტურმისას მოკლეს (სავარაუდოდ, ამ შტურმის ხელმძღვანელმა გენერალმა ბატიცკიმ).

მის წინააღმდეგ ბრალდებები პირველად ცკ-ის პლენუმზე ჩამოყალიბდა, რომელიც **1953 წლის 2-7 ივლისს** ჩატარდა. მოხსენება **„ლ. პ. ბერიას ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის შესახებ“** პლენუმზე სსრკ მინისტრთა საბჭოს მაშინდელმა თავმჯდომარემ **გ. მალენკოვმა** წაიკითხა. კამათში 24 ადამიანი გამოვიდა. პლენუმის მუშაობის ხუთივე დღის განმავლობაში ადგილიდან ვრცელ რეპლიკებს ისროდა ცკ-ის მაშინდელი მდივანი **ნ. ხრუშჩოვი,** მანვე **„შეაჯამა“** პლენუმის მუშაობა.

რაში გამოიხატებოდა **„ანტიპარტიული და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობა“?**

მომხსენებლის და კამათში გამოსულთა სიტყვების მიხედვით, ძალზე მოკლედ, ის შემდეგში მდგომარეობდა:

**1. ბერია სთავაზობდა, ნორმალური ურთიერთობა დაემყარებინათ იოსიფ ბროზ ტიტოს „ფაშისტურ“ რეჟიმთან იუგოსლავიაში;**

**2. ბერია იყო ამნისტიის გატარების ინიციატორი, რომლის შედეგად ქვეყანა ბანდიტი რეციდივისტებით აივსო;**

**3. ბერია სთავაზობდა გერმანიის ერთიან, მშვიდობისმოყვარე ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გაერთიანებას;**

**4. ბერია ხელს უწყობდა ეროვნული შუღლის გაღვივებას, ადგილობრივ კადრებს აწინაურებდა და მოკავშირე რესპუბლიკებში საქმეთწარმოების ეროვნულ ენებზე გადაყვანის წინადადებას აყენებდა;**

დაბოლოს,

**5. ბერია ყველანაირად ამუხრუჭებდა ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარებას.**


ნიკიტა ხრუშჩოვი

აი, პლენუმის ძირითადი ბრალდებები. ბრალდებას, რომ ბერია მსოფლიოს ყველა დაზვერვის აგენტი იყო, წინა რიცხვით მოგვიანებით წამოაყენებენ.

აქვს თუ არა აზრი მთელი ამ ხრუშჩოვისეული ბოდვის კომენტირებას? განსაკუთრებით, საბჭოთა კავშირი-იუგოსლავიის ურთიერთობის მოწესრიგების პუნქტის (2 წლის შემდეგ თავად **ხრუშჩოვი** ეწვევა მონანიების ვიზიტით ბელგრადს) ან იმის, რომ **ბერია** სოფლის მეურნეობაში მავნებლობდა? ბერიას არასოდეს ჰქონია საქმე სოფლის მეურნეობასთან, ამ დარგის კურატორები სხვადასხვა დროს სწორედ **მალენკოვი** და **ხრუშჩოვი** იყვნენ.




Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Коммунистическая партия Советского Союза

ПРАВДА

Орган Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза

Пятница, 10 июля 1953 года

ИНФОРМАЦИОННОЕ СООБЩЕНИ

о Пленуме Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза

В Президиуме Верховного Совета ССС


გიორგი მალენკოვი

მაგრამ ყველა ეს „ბრალდება“ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი იყო. **ლ. ბერიას** დამხობის ამბავი ხალხმა მხოლოდ **1953 წლის 10 ივლისს** შეიტყო **„პრავდაში“** გამოქვეყნებული მოკლე საინფორმაციო შეტყობინებიდან მისი პარტიიდან გარიცხვის და დაპატიმრების შესახებ, როგორც **„ხალხისა და საბჭოთა ხელისუფლების მტრის“,** რომელიც **„სახელმწიფო გადატრიალების“** მოხდენას აპირებდა. **ივლისის პლენუმის** მასალები კი მხოლოდ **90-იანი წლების** დასაწყისში გამოქვეყნდა ჟურნალ **„სკკპ ცკ-ის მოამბეში“.**

## როგორ და რა ვითარებაში გაიქცა დასავლეთში სტალინის ქალიშვილი?

**სვეტლანა ალილუევას** გამგზავრება, რომელიც დასავლეთის პრესამ **„წითელი პრინცესას გაქცევად“** მონათლა, ასე მოხდა. **31 ოქტომბერს** მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **სვეტლანას** მესამე ქმარი, ინდოელი კომუნისტი **ბრაჯეშ სინგხი,** რომელიც მოსკოვში თარჯიმნად მუშაობდა, **ალილუევამ** ცოტა ხნით ადრე კრემლის საავადმყოფო-პოლიკლინიკაში გაიცნო და ქორწინება გააფორმა. ცხედარს კრემაცია გაუკეთეს. **3 ნოემბერს** ქვრივმა წერილით მიმართა მაშინდელ გენმდივან **ბრეჟნევს,** რომელშიც **„უკანასკნელი ვალის მოხდაში — გარდაცვლილის ნეშტის ინდოეთში გადასვენებაში“** დახმარებას სთხოვდა. **ს. ალილუევა** არწმუნებდა გენმდივანს, რომ **„მგზავრობას 7-10 დღეზე მეტი არ დასჭირდება“ და რომ „პოლიტიკური თვალსაზრისით საჩოთირო არაფერი მოხდება.“**


სვეტლანა ალილუევა და იოსებ სტალინი

ეს საკითხი ცკ-ის პოლიტბიუროს წევრებმა გამოკითხვის გზით განიხილეს. ამ განხილვის შედეგად შეიქმნა შემდეგი დოკუმენტი:

**„ამხ. ალილუევა (სტალინა) სვეტლანა იოსების ასულმა სკკპ ცკ-ს მიმართა ქმრის დასაკრძალად ინდოეთში გამგზავრების ნებართვის თხოვნით.**

**საკითხს კენჭი უყარეს ამხ. ამხ. ბრეჟნევმა, ვორონოვმა, კირილენკომ, კოსიგინმა, პელშემ, პოდგორნიმ, პოლიანსკიმ, შელეპინმა.**

**გადაწყდა — დაკმაყოფილდეს ამხ. ალილუევას თხოვნა 7 დღით ინდოეთში გამგზავრების შესახებ.**

**დაევალოს ამხ. სემიჩასტნის, გამოყოს თანმხლებნი ამხ. ალილუევასთან ერთად გასამგზავრებლად.**

**ამხ. ბენედიქტოვს — დახმარება აღმოუჩინოს ამხ. ალილუევას ინდოეთში ყოფნის დროს“.**

**სემიჩასტნი** იმ დროს **КГБ**-ს თავმჯდომარე იყო, **ბენედიქტოვი** — საბჭოთა ელჩი დელიში.

შემდგომი მოვლენები ასე განვითარდა. ქმრის ნეშტის მის მშობლიურ სოფელში დაკრძალვის შემდეგ **სვეტლანა** მთელი თვით დაყოვნდა ინდოეთში. ის საბჭოთა საელჩოს სასტუმროში ცხოვრობდა. ბოლოს გამგზავრების თარიღი განისაზღვრა — **1967 წლის 6 მარტი.** მოსკოვამდე ბილეთიც შეიძინეს. წინა დღეს, **5 მარტს** (მამის გარდაცვალების წლისთავზე), **სვეტლანა** უკანასკნელად შეხვდა **ბენედიქტოვს** და გამოემშვიდობა. იმავე დღეს მან თავის ნომერში სარეცხის რეცხვის იმიტაცია მოაწყო, თეთრეული გაფინა, ჩუმად, ნივთების გარეშე დატოვა სასტუმრო და ახლომდებარე ამერიკის საელჩოში გასხლტა. ღამით **ალილუევა** საიდუმლოდ მიიყვანეს აეროპორტში და შვეიცარიაში გადააფრინეს, სადაც მან პოლიტიკური თავშესაფარი ითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს. მაშინ იტალიაში გაემგზავრა, საიდანაც ასევე უარით გამოისტუმრეს. საბოლოოდ ის გფრ-ში ამერიკის სამხედრო ბაზაზე მოხვდა, საიდანაც აშშ-ში გადაიყვანეს. იქ კი ხელისუფლებამ პოლიტიკური თავშესაფრის თაობაზე მისი თხოვნა დააკმაყოფილა.




სვეტლანას მესამე ქმარი, ინდოელი კომუნისტი ბრაჯეშ სინგხი

**ამას მოჰყვა „წითელი პრინცესას“ მთელ მსოფლიოში ხეტიალი, რომელიც 90-იან წლებში ლონდონის გარეუბანში მდებარე მოხუცებულთა თავშესაფრით დასრულდა.**


ასავალ-დასავალი
2024 წლის 22 აპრილი. №22 (258)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ИГОР***

***ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ იგორ კვესელავას განცხადებით, არსებობს ირიბი მინიშნებები იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიას მოსკოვში 1991 წლის 19-21 აგვისტოს მომხდარი „გეკაჩეპეს“ გადატრიალების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ჰქონდა:***



# იგორ კვესელავა:

# საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამერიკის სახელმწიფო მდივანი და შევარდნაძის ახლო მეგობარი ჯეიმს ბეიკერი ჩაუდგა სათავეში!



ედუარდ შევარდნაძე და ჯეიმს ბეიკერი

— ზვიად გამსახურდიას, როგორც პოლიტიკური ფიგურისა და სახელმწიფო მოღვაწის, შესაფასებლად ძალიან საინტერესოა 1991 წლის ივლისში ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნილი ე.წ. **„მამხილებელი წერილი“**, სადაც მან ამერიკის პრეზიდენტი **ჯორჯ ბუში** მიხეილ გორბაჩოვთან საიდუმლო ხელშეკრულების გაფორმებაში დაადანაშაულა. უფრო მეტიც, 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ გაავრცელა „საგანგებო განცხადება“, სადაც ნათქვამი იყო, რომ ჯორჯ ვაშინგტონის, აბრაამ ლინკოლნისა და თომას ჯეფერსონის მემკვიდრე ჯორჯ ბუში (უფროსი) ჩავიდა მოსკოვში, *„აგიტაცია გაუწია სამოკავშირეო ხელშეკრულებას და მოუწოდა დამონებულ ერებს, თავი გაყონ იმპერიის ყულფში, ხელი მოაწერონ მარადიულ მონობაზე, უარი თქვან თვიანთ წმიდათაწმიდა უფლება-თავისუფლებაზე!“*

საქმე ის გახლავთ, რომ 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე ჯერ მოსკოვსა და მერე კიევში ჩასული **პრეზიდენტი ბუში** სამარცხვინოდ მოიქცა და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ ცეცხლი პირველმა გახსნა. მართალია, მას სიტყვაში ზვიადი არსად უხსენებია, მაგრამ ყველა ხვდებოდა, რომ უზარმაზარი იმპერიის ხელმძღვანელს, რომელსაც გორბაჩოვი უკვე ჰყავდა დამონებული, საქართველოს პირველი პრეზიდენტიც ნიშანში ამოეღო.

**— რას გულისხმობთ?**

— ვიმეორებ: პრეზიდენტი ბუში მოიქცა სამარცხვინოდ, როცა უკრაინაში ვიზიტის დროს უკრაინელებს განუცხადა — შეერთებული შტატები რესპუბლიკებს ცენტრის ხარჯზე მხარს არ დაუჭერსო! ეს ზვიად გამსახურდიასთვის კენჭის სროლას ნიშნავდა. ბუში უფრო შორსაც წავიდა და კიევში გორბაჩოვს ასეთი რამ უთხრა: *„ჩვენ არ ჩავერევით თქვენს საშინაო საქმეებში. ზოგიერთები მოუწოდებენ შეერთებულ შტატებს, არჩევანი გააკეთოს პრეზიდენტ გორბაჩოვსა და მთელ საბჭოთა კავშირში დამოუკიდებლობისკენ მსწრაფველ ლიდერებს შორის. მიმაჩნია, რომ ეს არასწორი არჩევანია!“* სწორედ კიევში თქვა ბუშმა: *„უკრაინაში, რუსეთში, სომხეთსა და ბალტიაში ყვავის თავისუფლების სული! ამერიკელები მხარს არ დაუჭერენ მათ, ვინც დამოუკიდებლობას ესწრაფვის იმით, რომ შორიდან თავს მოხვეული ტირანია შეცვალოს ადგილობრივი დესპოტიზმით!“* მოკლედ, თავისუფლების სული, თურმე, ყვაოდა ყველგან, გარდა საქართველოსი. აი, სწორედ ეს არის გასაღები იმ დაპირისპირებისა და მტრობისა, რასაც შეერთებული შტატების მაშინდელი ადმინისტრაცია ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების მიმართ იმთავითვე ამჟღავნებდა. მოგეხსენებათ, ამ ყველაფერს საბოლოო ჯამში ის შედეგი მოჰყვა, რომ **საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ამერიკის სახელმწიფო მდივანი და შევარდნაძის ახლო მეგობარი ჯეიმს ბეიკერი ჩაუდგა სათავეში,** რომელმაც თბილისში შევარდნაძის ჩამოყვანა და კორონაცია უზრუნველყო!

**— რა გამოდის, ბუში და გორბაჩოვი გარიგებული ყოფილან, რათა საბჭოთა კავშირის მოდერნიზაცია მოეხდინათ, ოღონდ იმპერიის ერთიანობა შეენარჩუნებინათ, მაგრამ ზვიად გამსახურდიამ მათი გეგმები აჭრა, როცა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა ააფრიალა?**

— დიახ, აბსოლუტურად გეთანხმებით, ზვიად გამსახურდიამ **ბუშისა და გორბაჩოვის** გარიგება ჩაშალა, რის გამოც მას რუსეთიც და ამერიკაც მტრად მოეკიდნენ! ის ფაქტი, რომ მოსკოვსა და კიევში მყოფმა ამერიკის პრეზიდენტმა საქართველო არ მოიხსენია იმ ქვეყნებს შორის, სადაც თავისუფლების სული ყვაოდა, იმის აშკარა დასტური იყო, რომ ამერიკის ადმინისტრაციას 1991 წლის ივლის-აგვისტოს მიწურულს საქართველოს ეროვნული ხელისუფლებისთვის განაჩენი გამოტანილი ჰქონდა. არსებობს ირიბი მინიშნებები იმის შესახებ, რომ ზვიად გამსახურდიას მოსკოვში 1991 წლის 19-21 აგვისტოს მომხდარი „გეკაჩეპეს“ გადატრიალების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ჰქონდა!

**— ეს თქვენ საიდან იცით?**

— ამის შესახებ ბათუმში ყოფნისას **ასლან აბაშიძემ** მიმანიშნა! მას სერიოზული ინფორმაციები ჰქონდა მოსკოვიდან. არ ვიცი, ზვიად გამსახურდია საიდან იღებდა ცნობებს მოსალოდნელი გადატრიალების შესახებ, მაგრამ, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, საგარეო საქმეთა მინისტრად **მურმან ომანიძის** დანიშვნა ზვიად გამსახურდიას მხრიდან იყო ერთგვარი პრევენცია, რათა „გეკაჩეპეს“ გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს როგორმე თავი გადაერჩინა!



„ზვიად გამსახურდიას არ ჰყავდა კადრები!“

გოგი ხოშტარია და ზვიად გამსახურდია

**— მურმან ომანიძე გადაარჩენდა საქართველოს?**

— გადაარჩენდა ის კავშირები და ურთიერთობები, რომლებიც, როგორც მარწმუნებენ, **მურმან ომანიძესა და რამაზ გოგლიძეს** ჰქონდათ. კერძოდ, **მურმან ომანიძეს** დიდი ხნის და ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა „გეკაჩეპეს“ ლიდერ **იური იანაევთან.** მოკლედ, ახლა ძალიან ძნელია ამ ყველაფრის შესახებ იმპერატიული საუბარი, მაგრამ **გამსახურდია,** რომელიც ძალიან ფრთხილი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი იყო, ყველა ხერხსა და გზას მიმართავდა, რათა საქართველოს უსაფრთხოება და დაცულობა უზრუნველეყო. საქვეყნოდ ცნობილი ფაქტია, რომ 1991 წლის 19-21 აგვისტოს პუტჩის დღეებში თბილისში ჩამოფრინდა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, **გენერალი შურავლიოვი,** რომელმაც ზვიად გამსახურდიას „შინაგანი ჯარი — ეროვნული გვარდიის“ დაშლა მოსთხოვა. უმკაცრესი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში შურავლიოვი გამსახურდიას თბილისის დაბომბვით და მიწასთან გასწორებით დაემუქრა, რაზეც გამსახურდიამ უპასუხა — **მაგას ვერ გაბედავთო!** მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ქვეყანა საშინელი განსაცდელის წინაშე იდგა და ამ დროს ჩასაფრებული ოპოზიცია ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა საქართველოსთვის ევნო!



თენგიზ კიტოვანი

**— ჩვენ არაერთგზის გვისაუბრია ამ თემაზე და გვითქვამს, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში ზვიად გამსახურდიას გამარჯვებას მოსკოვიდან ვიღაცები მფარველობდნენ! ვინ იყო ეს ხალხი?**

— საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნოდარ ჭითანავამ** ეს ფაქტი ჩემთან საუბრისას არაერთგზის დაადასტურა და მითხრა, რომ 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების წინ კრემლიდან მართლაც იყო მითითებები, ზვიად გამსახურდიას გამარჯვებისთვის ხელი არ შეეშალათ! ბატონი ნოდარი არასოდეს აკონკრეტებდა, ვინ დაურეკა მოსკოვიდან და ვისგან მიიღო მსგავსი დავალება. ერთ-ერთი შეხვედრის დროს ვკითხე — მოსკოვიდან ამ თემაზე თუ ვინმე დარეკავდა, ალბათ, ისევ და ისევ შევარდნაძე-მეთქი... მინდა, გითხრათ, რომ, ფაქტობრივად, დამეთანხმა, **ანუ შევარდნაძეს შემუშავებული ჰქონდა გრძელვადიანი გეგმა საქართველოში დაბრუნების შესახებ, რომელიც შედგებოდა რამდენიმე კომპონენტისგან — ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას მოსვლა; გამსახურდიასა და მისი გუნდის დისკრედიტაცია; ზვიად გამსახურდიას დამხობა; შევარდნაძის, როგორც მხსნელისა და მესიის, საქართველოში დაბრუნება და საქართველოს დამხობა!**

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ითქვას, რომ, საუ-

გაგრძელება მე-20 გვერდზე



ლოთი ქობალია

**„ზვიად გამსახურდიას ჩვენ უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ისეთი ოდიოზური ფიგურების დანიშვნა თანამდებობებზე, როგორებიც თენგიზ კიტოვანი, ლოთი ქობალია, გოგი ხოშტარია და სხვები იყვნენ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა!“**



იწერა პირადად **ედუარდ შევარდნაძისა** და ადგილობრივი ხელისბიჭების მიერ, რომლებიც იკვებებოდნენ მისი ფულით. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ **ზვიად გამსახურდიას** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობაზე ერთმანეთის მიყოლებით უთხრეს უარი **რეზი თვარაძემ, მარიკა ლორთქიფანიძემ** და სხვა ცნობილმა მეცნიერებმა. **ზვიად გამსახურდიას** ჩვენ უნდა ვუსაყვედუროთ, რომ ისეთი ოდიოზური ფიგურების დანიშვნა თანამდებობებზე, როგორებიც **თენგიზ**

ამისთვის მათ სჭირდებოდათ პროკურორის სანქცია, რომელიც **ვახტანგ რაზმაძეს** უნდა გაეცა. მაშინ მან ეს არ გააკეთა და რუს კაგებეშნიკებს „ურჩია“, ქალაქის პროკურორისთვის მიემართათ. სანამ კაგებეშნიკები ქალაქის პროკურორთან მივიდოდნენ, მანამდე **ვახტანგ რაზმაძემ** ქალაქის პროკურორს დაურეკა და უბრძანა — არავითარ შემთხვევაში ზვიადისა და მერაბის დაპატიმრების სანქცია არ გასცეო! ზვიად გამსახურდიამ ამის

# იგორ კვესელავა:

# ზვიად გამსახურდიას დამხობის ამბავი, ფაქტობრივად, 1991 წლის აგვისტოს მიწურულს გადაწყდა!

*დასაწყისი მე-19 გვერდზე*

ბედუროდ, შევარდნაძემ ეს გეგმა შეასრულა. სხვათაშორის, ჩემი მეგობარი და ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი, უზენაესი საბჭოს დეპუტატი **რობერტ პეტრიაშვილი** ჩემთან საუბარში იხსენებდა, რომ ზვიად გამსახურდია 28 ოქტომბრის არჩევნებში ასეთ შთამბეჭდავ გამარჯვებას არ ელოდა. იგი საქართველოს უზენაეს საბჭოში, მაქსიმუმ, 30 კაცის გაყვანას ვარაუდობდა, მაგრამ მოხდა ისე, რომ საარჩევნო ბლოკმა **„მრგვალი მაგიდა — თავისუფალმა საქართველომ“** ქვეყნის ამომრჩეველთა ხმების 53,99 პროცენტი მოიპოვა. გამსახურდიას ხმა მისცა 1 მილიონ 248 ათას 111 კაცმა მაშინ, როცა მეორე ადგილზე გასულ „კომუნისტურ პარტიას“ მხოლოდ 683 ათას 824 კაცმა დაუჭირა მხარი და, შესაბამისად, კომპარტიამ ხმათა 29,58 პროცენტი მიიღო.

**— როგორ ფიქრობთ, სწორად მოიქცა თუ არა ზვიად გამსახურდია, როცა უზენაესი საბჭოს კომუნისტი დეპუტატები უზენაესი საბჭოდან გააძევა?**

— **გამსახურდია** იძულებული გახდა, ეს გაეკეთებინა. საქმე ის გახლავთ, რომ უზენაეს საბჭოში მოკალათებულმა კომუნისტებმა „გეკაჩეპეს“ დაუჭირეს მხარი. აქედან გამომდინარე, მათი პარლამენტში გაჩერება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა! ზვიადმა მათ შესთავაზა, უარი ეთქვათ კომპარტიაზე და გაეგრძელებინათ პარლამენტში მუშაობა, მაგრამ უზენაესი საბჭოს კომუნისტი დეპუტატები თავიდან ბოლომდე იმართებოდნენ **შევარდნაძის** მიერ, რის გამოც **გამსახურდიას** წინადადება მათ უარყვეს! ჩვენ ერთი რამ უნდა ვიცოდეთ: **ზვიად გამსახურდიას არ ჰყავდა კადრები!** 1991 წლის 15 ნოემბერს პრეზიდენტი გამოვიდა და განაცხადა — კომუნისტურმა რეჟიმმა კადრები გახრწნა, კადრების უმართებულო შერჩევამ სავალალო შედეგები მოიტანაო! ზვიადი ეხვეწებოდა ყველას, რომ მოეძიებინათ კომპეტენტური კადრები. მას მოჰყავდა **სვიმონ ხეჩინაშვილის** მაგალითი, რომელიც კომუნისტი იყო, მაგრამ გახლდათ უდიდესი პროფესიონალი. გამსახურდია აცხადებდა — **რა შუაშია კომუნისტობა?! ჩვენ უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს და კომპეტენტური კადრებით საქართველო ერთად ავაშენოთო!** ამის მიუხედავად, კომუნისტები ზვიად გამსახურდიასთან თანამშრომლობაზე უარს აცხადებდნენ! კომპარტიის საარჩევნო სია და-

**კიტოვანი, ლოთი ქობალია, გოგი ხოშტარია** და სხვები იყვნენ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა! არც **ვახტანგ რაზმაძის** დატოვება შეიძლებოდა თანამდებობაზე! მართალია, პროფესიონალი გახლდათ, მაგრამ მიუღებელი იყო იმ თავისუფალი საქართველოსთვის, რომელსაც **ზვიად გამსახურდია** აშენებდა. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილება ვახტანგ რაზმაძესთან დაკავშირებით მან პიროვნული მადლიერების გრძნობიდან გამომდინარე მიიღო.

**— რას გულისხმობთ, გამსახურდია ვახტანგ რაზმაძეს რაში ემადლიერებოდა?**

— საქმე ის გახლავთ, რომ 1975 წელს საკავშირო ცეკას ჰქონდა მცდელობა, **ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა** დაეპატიმრებინა. ამ მიზნით მოსკოვიდან ჩამოვიდნენ რუსეთის „კაგებეს“ წარმომადგენლები, რათა „კოლხურ კოშკში“ არალეგალური ლიტერატურის აღმოსაჩენად ჩხრეკა ჩაეტარებინათ!



*გენერალი ანზორ მაისურაძე:*

**ე.წ. ინტელიგენციის, ზვიად გამსახურდიას ოპოზიციისა და უზენაესი საბჭოს დეპუტატების უმრავლესობა „კაგებეს“ თანამშრომელი იყო!**

შესახებ იცოდა და **ვახტანგ რაზმაძის** მადლიერი იყო. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ მას, როგორც საბჭოთა საქართველოს გენერალურ პროკურორს, არ შეეხო და თანამდებობა თავისუფალ საქართველოშიც შეუნარჩუნა, მაგრამ... მოგეხსენებათ, 1975 წლის 17 ივლისს გარდაიცვალა დიდი ქართველი კლასიკოსი **კონსტანტინე გამსახურდია.** რუსი კაგებეშნიკების თბილისში ჩამოსვლის დროს კონსტანტინე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. არ ვიცი, ამის გამო თუ რის გამო, **რაზმაძემ** მაშინ ვაჟკაცური ნაბიჯი გადადგა და რუსებს „კოლხური კოშკი“ არ ააოხრებინა. აი, სწორედ ეს დაუფასა მას ზვიადმა, მაგრამ **ვახტანგ რაზმაძემ,** რომელიც გახლდათ სკამის მონა, მოგვიანებით ყველანაირი სიბინძურე ჩაიდინა ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ.

**— არადა, ბოლოს რაზმაძემ ყველაფერი მოინანია და შევარდნაძის უმკაცრესი კრიტიკით გამოვიდა?**

— რაზმაძემ, რომელმაც ზვიადს „ოსების გენოციდი“ დააბრალა, ბოლოს მართლაც დაწერა, რომ **გამსახურდიას** ქართველი ერი წმინდანად შერაცხავდა. ერთ რამეზე შევთანხმდეთ: ზვიად გამსახურდიას დამხობის ამბავი, ფაქტობრივად, 1991 წლის აგვისტოს მიწურულს გადაწყდა. ამიტომ აბსოლუტურად ვეთანხმები თქვენს სადოქტორო დისერტაციასა და ახლად გამოცემულ წიგნში გატარებულ აზრს იმის შესახებ, რომ ტერმინი **„1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები“** შესაცვლელია და უფრო მართებულია ტერმინი — **„1991-1992 წლების სექტემბერ-იანვრის მოვლენები“.** მართლაც, სწორედ 1991 წლის 2 სექტემბრიდან დაიწყო საქართველოში სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალება, ხოლო საბჭოთა „კაგებეს“ გენერლის, აწ განსვენებული **ანზორ მაისურაძის** განცხადებით — ე.წ. ინტელიგენციის, ზვიად გამსახურდიას ოპოზიციისა და უზენაესი საბჭოს დეპუტატების უმრავლესობა „კაგებეს“ თანამშრომელი იყო! ამიტომ უზენაეს საბჭოში განხეთქილება ადვილად მოხდა და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ პოლიტიკური პროცესი აგორდა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



***„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მიღებას კვლავ თავგამოდებით ეწინააღმდეგება დასავლური შავი ფულით დამძღარი აგენტურა, რომელსაც 30 წლის განმავლობაში დიდი მონდომებით ქმნიდნენ საქართველოს კოლონიზატორები.***



# ბესო მიქავა:

*„— ეს გლობალური ექსპერიმენტი საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობით დაიწყო. ზვიად გამსახურდიას შავი ფულის ნაკადის გადაკეტვა რომ დასცლოდა, დღეს საქართველო ამ დღეში არ იქნებოდა! „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი რეალურად თუ ამოქმედდება, უცხოელი დონორები თავად შეწყვეტენ რეზიდენტი არასამთავრობოების დაფინანსებას და ქვეყანას ეშველება!“ —*

***ამ სიტყვებით დაიწყო საუბარი „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილმა წევრმა ბესარიონ მიქავამ:***

# სანამ საქართველოს თავზე სააკაშვილის ხუთჯვრიანი პარტიული დროშა იფრიალებს, ქვეყანა არ დაწყნარდება!

— გამჭვირვალობა მხოლოდ ბნელ და ქვეყნისადმი ბოროტად განწყობილ ძალებს აშფოთებთ. მახსენდება ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის **ჯონ ფიცჯერალდ კენედის** სიტყვები, როცა **„ბნელი“** უწოდა იმ ძალებს, **„რომლებიც ცდილობენ, კაცობრიობა განვითარების ჭეშმარიტ გზას ააცდინონ“.** მინდა, გითხრათ, რომ **ჯონ კენედი** ის პირველი ლიდერი გახლდათ, რომელიც დაუპირისპირდა კულუარულ კორპორაციებს, მთლიანად ამოხტა მათი დღის წესრიგიდან, გადაეღობა შავ ფულს, რის გამოც ფიზიკურად იქნა ლიკ-



ვიდირებული. სახელმწიფო იმდენად არის დამოუკიდებელი, რამდენადაც არ უშვებს პრეცედენტს, უცხო ქვეყანამ ფულით ან სხვა მექანიზმით ამომრჩეველთა ნებას და პოლიტიკურ კურსს მიმართულება შეუცვალოს. ყველა მოყვარე როდია, ვინც საქართველოში ფულს აბანდებს. მთავარია, რა მიზანს ისახავს და რა დივიდენდს ელოდება აქედან.

ქართველი საზოგადოება უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილებით დარწმუნდა, რომ უცხოელი დონორების მიერ გაღებული დიდძალი ფული ხმარდება არა საქართველოსათვის მნიშვნელოვან სეგმენტებს, არამედ, ეროვნული, სარწმუნოებრივი და ზნეობრივი მსოფლმხედველობის შეცვლას. დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე ასეთი ფული უცხოელებმა უმალ შესთავაზეს ზვიად გამსახურდიას, თუმცა, მისგან კატეგორიული უარი მიიღეს.

**— ვინ შესთავაზა და რა მიზნით?**

— 33 წლის წინ, 1991 წლის აგვისტოში, ფოთმა წყალთხილამურობაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. სტუმართა შორის იყო 4 მსხვილი ბიზნესმენი, რომლებიც საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრინდნენ. მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ პრეზიდენტს სტუმრების შესახებ მოახსენა და მათთან აუდიენცია მოსთხოვა. მათ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დიდი ფულის დაბანდება შესთავაზეს, ოღონდ იმ პირობით, რომ თანხას მხოლოდ მათ მიერ შერჩეულ პირებს გადასცემდნენ. როგორც ვიწრო წრისთვის გახდა ცნობილი, პრეზიდენტმა მათ საუბრის დასრულებაც არ აცალა და უარი სტკიცა.

**— რატომ?**

— მართალია, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს კაპიტალდაბანდება სასიცოცხლოდ სჭირდებოდა, მაგრამ ქვეყანაში ძალებს იკრებდა საზღვრებს გარედან მართული ოპოზიცია, რომელიც უკვე იმ ეტაპზე კანონიერი ხელისუფლების მიმართ თავის მტრულ ზრახვებს არ მალავდა. შესაბამისად, იკვეთებოდა პერსპექტივა, რომ უცხოური ფული დამოუკიდებელი საქართველოს მშენებლობას კი არა, კანონიერი ხელისუფლების მოწინააღმდეგეების მოძლიერებას მოხმარდებოდა. **სხვათაშორის, პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას შორის განხეთქილება თავიდან სწორედ ამ მიზეზით დაიწყო.** ამ დღიდან ძალიან მალე სიგუამ პრემიერის პოსტი დატოვა, ოპოზიციას შეუერთდა და პრეზიდენტის დაუძინებელ მტრად იქცა.

**— როგორც ჩანს, წლების განმავლობაში ამ ექსპერიმენტის მექანიზმი დაიხვეწა...**

— ფული, რომელიც უცხოეთის ფონდებიდან თუ კორპორაციებიდან რომელიმე ფორმალურად დამოუკიდებელ ქვეყანაში მიედინება, უწინდებურად არის ე.წ. შავი ფული და გადამისამართების გზით ხდება მისი გათეთრება. დონორებს, ოფიციალური მოლაპარაკებების მიღმა, როგორც წესი, გამოყოფილი ფულის ნაწილი უკანვე მიაქვთ. შესაბამისად, **მათ არ აწყობთ გამჭვირვალობა, რის შედეგადაც მრავალი უკანონობა და დანაშაული გამჟღავნდება.** ფაქტობრივად, დასავლელი დონორები ორ კურდღელს კლავენ — დანაშაულებრივ ფულს ათეთრებენ და იმავდროულად აფინანსებენ საკუთარ რეზიდენტებს და მათთვის ხელსაყრელ პროცესებს, რომლებიც კონკრეტული ქვეყნის უსაფრთხოებას ასუსტებს. მათ ინტერესებშია ქვეყანაში ზნეობრივი ნორმებისთვის ძირის გამოთხრა, ცრუ ფასეულობების და სუბკულტურების დამკვიდრება, ლგბტ ჯგუფებისთვის ხელის შეწყობა, რადგან უზნეო საზოგადოების მართვა ადვილია.

**— მაგრამ რა ხდება მაშინ, თუ დამოუკიდებელი ქვეყნის ხელისუფლება ეურჩება?**

— ასეთ ხელისუფლებებს ისინი ამხობენ სწორედ იმ რეზიდენტული ჯგუფების საშუალებით, რომელთაც თავად ქმნიან და აფინანსებენ! ამისი ერთ-ერთი პირველი პრეცედენტი გახლდათ საქართველოს კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დამხობა. პირდაპირ გეტყვით, რომ საქართველოში პუტჩი სწორედ უცხოური ფულით განხორციელდა!

**— ვინ გაიღო ფული საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დასამხობად?**

— რუსეთის მაშინდელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა — **გენადი ბურბულისმა და ანდრეი კოზირევმა** საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დასამხობად ნაღდი ფულის სახით 66 მილიონი გამოგზავნეს! იმ პერიოდში რუსეთი თავის თავს არ ეკუთვნოდა, მას ფორმალურად სათავეში ედგა ამერიკელების ხელდასხმული მარიონეტი **ბორის ელცინი,** მასთან ერთად **ბურბულისიც და კოზირევიც** რუსეთში ამერიკელებისთვის ხელსაყრელ პროცესებს ახორციელებდნენ. სხვათაშორის, საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ **ანდრეი კოზირევს** დღეს რუსეთის ეროვნული ინტერესების ღალატში ადანაშაულებენ. 2012 წლიდან ის ამერიკაში, კერძოდ, მაიამიში ცხოვრობს და რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის **ვლადიმერ პუტინის** პოლიტიკას ამერიკიდან აკრიტიკებს. ფაქტია, რომ რუსეთშიც და საქართველოშიც ლიბერალურ დღის წესრიგს დასავლეთი, განსაკუთრებით, ამერიკის შეერთებული შტატები ადგენს. საქართველოს მსგავსად, ანალოგიური სცენარით ამერიკა რუსეთშიც ცდილობს ლიბერალურ-რეზიდენტულ ჯგუფებზე დაყრდნობით ადგილობრივ ხელისუფლებაზე გავლენის მოპოვებას და რუსეთის ხელისუფლების საკუთარ ინტერესებში ჩაყენებას.



გენადი ბურბულისი



ანდრეი კოზირევი

## „რუსეთის მაშინდელი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებმა – გენადი ბურბულისმა და ანდრეი კოზირევმა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დასამხობად ნაღდი ფულის სახით 66 მილიონი გამოგზავნეს!“



ალექსეი ნავალნი

**16 თებერვალს წლის მთავარ მოვლენად იქცა რუსეთში დასავლეთის რეზიდენტის ალექსეი ნავალნის ჩაძაღლება, რომელიც დასავლური ლიბერასტული პოლიტიკის უკანასკნელ მოჰიკანად ითვლებოდა.**

სხვაგვარად ვერ ვიტყვი ადამიანზე, რომელიც ქართველებს „გრიზუნებს“ უწოდებდა და დასავლური სცენარით ფრთოსანი რაკეტებით დაბომბვას გვიპირებდა!

1992 წელს სწორედ კანონიერი ხელისუფლების დამხობით დაიწყო საქართველოში ფაშისტურ-ლიბერასტული დასავლეთის გლობალური ექსპერიმენტი, რომელიც შემდეგ მთელ მსოფლიოში ე.წ. ფერადი რევოლუციების ეგიდით გაგრძელდა. ექსპერიმენტების ეს ციკლი დამოუკიდებელი ქვეყნების საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევას, მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დამონებას ისახავდა მიზნად და, მადლობა ღმერთს, ეს სამარცხვინო პროცესი დასასრულს მიუახლოვდა!

**— სამწუხაროდ, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, იმ სისასტიკეს, რასაც სააკაშვილის რეჟიმი სჩადიოდა, არასამთავრობო სექტორმა მასობრივად წაუყრუა!**

— სააკაშვილის რეჟიმმა თავის ბინძურ ინტერესებს მოარგო არასამთავრობოები, რომლებმაც დააგვირგვინეს საქართველოში ტვინის გამორეცხვის პრაქტიკა და საქმე იქამდეც მივიდა, რომ ამერიკულ კანონს „რუსულს“ არქმევენ! თავის ანტიეროვნულ პარტიასაც სააკაშვილმა შეგნებულად დაარქვა ნაციონალური მოძრაობა, რათა თვით ზვიად გამსახურდიას სამშობლოში ჩამოსვენებაც კი საკუთარი პიარისთვის მოერგო და ამ მიზნით მის ვაჟს ქრთამად 1 მილიონი დოლარი შესთავაზა. მაგრამ, რადგან ცოტნე გამსახურდიამ ეს განზრახვა ჩაუშალა, მტრად მოეკიდა და სამედიცინო ექსპერიმენტების პოლიგონად გადაქცეულ ციხეში გამოკეტა, სადაც ენით აუწერელ ტანჯვაში რამდენიმე წელი გაატარებინა! **არასამთავრობო ორგანიზაციათა უმრავლესობას, რომლებიც ვითომც ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურებიან და ამ მიზნით უცხოეთიდან სრულიად გაუმჭვირვალე თანხებს იღებენ, კრინტიც არ დაუძრავთ ცოტნეს მარტვილობის გამო!** ახლა პირდაპირ გეუბნებით და სიტყვასიტყვით ასე დაწერეთ: **სანამ საქართველოს თავზე სააკაშვილის ხუთჯვრიანი პარტიული დროშა იფრიალებს, ქვეყანა არ დაწყნარდება!**

**— ეს დროშა მართლაც ამოვარდნილია საქართველოს ეროვნული და წარმოსახვითი კონტექსტიდან...**

— დროშას, რომელიც სააკაშვილის რეჟიმმა ქართულ სიმბოლოდ შემოგვასაღა, ქართველებისთვის არცერთი გამარჯვება არ მოუტანია; პირიქით, **ამ დროშის ქვეშ საქართველომ ტერიტორიები დაკარგა!** სააკაშვილის რეჟიმმა თავს მოგვახვია ღერბი, რომელზეც წმინდა გიორგის მიმართულება შეუცვალა და ფარულად ანტიქრისტეს ნიშანი — სამი ექვსიანიც დაატანა! ქართული სახელმწიფოს ყველა სიმბოლო, ჰიმნის ჩათვლით, ბნელი ძალების სასარგებლოდ არის გაყალბებული და ვიდრე ეს ანომალია არ გამოსწორდება, ჩვენს სამშობლოში კოსმოსური წესრიგი არ დაისადგურებს!

**— რა შედეგს მოიტანს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ამოქმედება?**

— როგორც კი მოვლენები გამჭვირვალე გახდება, უცხოელი დონორები თავად შეწყვეტენ რეზიდენტი არასამთავრობოების დაფინანსებას იმის შიშით, რომ შავი ფულის წარმომავლობა არ გამჟღავნდეს!

**თუმცა, არსებულ ხელისუფლებას გამჭვირვალობის კანონის კვალდაკვალ სხვა კანონების მიღებაც მოუწევს, თუ უცხოეთის გავლენისაგან თავის დაღწევას ნამდვილად აპირებს!**

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

# ნუ ცდილობთ ხალხთა შორის შურის გაღვივებას!

## საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების პასუხი ჟურნალისტ დიტო ჩუბინიძის მიერ გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 2024 წლის 15-21 აპრილის № 17-ში დაბეჭდილი სტატიის „ლაზარიანის ხროვის“ გამო.

**ბატონო დიტო!**

საგულდაგულოდ გავეცანით თქვენს ვრცელ სტატიას **„ლაზარიანის ხროვას“.**

გამოგიტყდებით, რომ არ ჩავწვდებით ამ სტატიის პოლიტიკურ მომენტებს, რამეთუ ჩვენი ორგანიზაცია არის სუფთა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების და აშუქებს საქართველოს სამხედრო ისტორიის საკითხებს და უკეთებს ამ საკითხებს პროპაგანდა-პოპულარიზაციას, მაგრამ ამ სტატიაში ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა ორმა ფაქტმა.

1. ყველამ ვიცით, რა როლი შეასრულა ქართლ-კახეთის სამეფოს ლიკვიდაციაში **გენერალმა ივანე ლაზარევმა** (ანუ თქვენი აზრით **ლაზარიანმა**), როგორც ეს თქვენ გაქვთ აღნიშნული. **სამწუხაროდ, ის არ იყო სომეხი წარმოშობის გენერალი, როგორც ამას თქვენ აღნიშნავთ.** თუ წერთ გენერალ **ლაზარევზე,** ჯობია, გაეცნოთ მის ბიოგრაფიას უკეთ.

**ლაზარევი ივანე პეტრეს ძე** (1763 — 18. IV. 1803, თბილისი) წარმოშობით იყო ყაზანის აზნაურებიდან რუსი სამხედრო მოხელე კავკასიაში, გენერალ-მაიორი (1798), მეთაურობდა პოლკს, რომელიც 1799 წლის ნოემბერში საქართველოში შემოვიდა რუსეთთან გეორგიევსკში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. **ივანე ლაზარევი,** ფაქტობრივად, 1800 წლის დეკემბრის მიწურულიდან 1801 წლის იანვრის ბოლომდე განაგებდა ადგილობრივ ხელისუფლებას. 1801-1802 წლებში სათავეში ედგა დროებით მმართველობას. **გიორგი XII**-მ სიკვდილის წინ **ლაზარევს** სასულიერო პირების მეშვეობით მოთხოვნა გაუგზავნა, რომელიც 1783 წლის ტრაქტატის თანახმად, ითვალისწინებდა მისი გარდაცვალების შემდეგ **უფლისწულ დავითის** დაუყოვნებლივ გამეფებას, მაგრამ **ლაზარევს** ამ დროს უკვე მიღებული ჰქონდა **იმპერატორ პავლე** I-ის ბრძანება სამეფო ტახტის მემკვიდრეობით გადაცემის აკრძალვის თაობაზე, ამიტომ მან არაფრად ჩააგდო მეფის მოთხოვნა. რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ **ლაზარევს** რუსული ჯარის უფროსობა დაევალა. ერთი ვერსიით, იგი მოკლა **გიორგი XII**-ს ქვრივმა **მარიამ დედოფალმა** მისი რუსეთში ძალით გადასახლების მცდელობისათვის. ზოგიერთი მოსაზრებით, დედოფლისადმი უპატიებელი მოპყრობის გამო გენერალი მოკლა მარიამის მხლებელმა (მცველმა) **ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა.**

ის დაკრძალეს სიონის ტაძარში, მაგრამ მისი საფლავი ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია, რადგან, როცა 1970-იან წლებში მიმდინარეობდა სიონის ტაძრის იატაკის რეკონსტრუქცია, მისი საფლავი დაიკარგა. **თუ წერთ პიროვნებაზე რამეს, ჯობია, კარგად გაეცნოთ მის ბიოგრაფიას და მერე დაწეროთ, ან საერთოდ ნუ დაწერთ, თუ არ იცით.**

2. სტატიის წინ მოთავსებული გენერლის სურათი არ ეკუთვნის ზემოთ ხსენებულ **გენერალ ივანე პეტრეს ძე ლაზარევს.** ის ეკუთვნის რუსეთის არმიის სომხური წარმოშობის სახელგანთქმულ სამხედრო მოღვაწეს, კავკასიის ომების აქტიურ მონაწილეს, **გენერალ-ლეიტენანტ ივანე დავითის ძე ლაზარევს** (არც ეს გენერალი იყო **ლაზარიანი**) (1820-1879), რომელიც იყო დაბადებული ყარაბაღში, ქ. შუშაში. გენერალი გარდაიცვალა ფურუნკულის გამო, რუსეთის არმიის შუა აზიაში ლაშქრობისას. რადგან მისი ოჯახი ცხოვრობდა ტფილისში, ის ჩამოასვენეს საქართველოში და დაკრძალეს ვანქის სომხური ტაძრის გალავანში. 1936 წელს ტაძრის დემონტაჟის გამო მისი ნეშტი გადაასვენეს სურბ-გევორქის სომხურ ეკლესიაში და დაკრძალეს ეკლესიის ეზოში, სადაც დღესაც განისვენებს.

***მამუკა გოგიტიძე,***

***საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების დირექტორი, ისტორიის დოქტორი***

# „სომეხ მეცნიერთა ერთი ჯგუფის“ ხელში ბრმა იარაღად არ უნდა იქცეთ!

## საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორის, პროფესორ დიტო ჩუბინიძის პასუხი ისტორიის დოქტორ მამუკა გოგიტიძეს!

ბატონმა **მამუკა გოგიტიძემ,** რომელიც, თურმე, „საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების“ დირექტორია, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ენციკლოპედიის ინტერნეტვერსიიდან **რუსი გენერლის ივანე პეტრეს ძე ლაზარევის** შესახებ ბიოგრაფიული ცნობები „კოპი-ფეისტის“ პრინციპით ამოიღო, ტექსტში რამდენიმე სიტყვა შეცვალა და მერე ამ ყველაფერს რუსული ვიკიპედიიდან ისიც ჩაუმატა, თითქოს **გენერალი ლაზარევი** ყაზანელ წარჩინებულთა შტოს ეკუთვნოდა, რის შემდეგაც ასე სახელდახელოდ მომზადებული უსუსტესი წერილი, რომელსაც აშკარად ქედმაღლობის ბეჭედი აზის, გაზეთში გამოსაქვეყნებლად გამოგვიგზავნა!

ცხადია, **მამუკა გოგიტიძის** წერილს ვაქვეყნებთ, მაგრამ თავშივე ვიტყვით, რომ ეს არის ჩვენი გამათრახების უმწეო მცდელობა იმის გამო, რაც „ასავალ-დასავალის“ წინა ნომერში გამოვაქვეყნეთ. მოგეხსენებათ,

**ჩვენს წერილში – „ლაზარიანის ხროვა“, რომელიც „ასავალ-დასავალის“ 2024 წლის 15-21 აპრილის მე-17 ნომერში დაიბეჭდა, ვთქვით, რომ რუსი გენერალი ივანე ლაზარევი, რომელიც 1799 წლის 26 ნოემბერს თბილისში რუსის ჯარს შემოუძღვა, ხოლო 1803 წლის 18 აპრილს საქართველოს უკანასკნელ დედოფალს მარიამ ციციშვილს საძინებელში მიეჭრა, ეროვნებით სომეხი იყო!**

**ლაზარევის სომხური წარმოშობის შესახებ ჩვენ ადრეც არაერთხელ დაგვიწერია და არავითარი ფუთფუთი და დავიდარაბა ამას არ მოჰყოლია, მაგრამ უკანასკნელმა წერილმა, სადაც ჩვენი დღევანდელი ყოფა და საქართველოს წინაშე მდგარი ეგზისტენციალური საფრთხეები ისტორიზმის პრიზმიდანაა დანახული, როგორც დიდი ილია ბრძანებს, „სომეხ მეცნიერთა ერთ ჯგუფში“ დიდი მუცლის გვრემა გამოიწვია.**

**თუ ისტორიის დოქტორი მამუკა გოგიტიძე** საქართველოს სამხედრო ისტორიასაც ისე „იკვლევს“, როგორც **გენერალ ივანე პეტრეს ძე ლაზარევის** წარმომავლობა „გამოიკვლია“, მაშინ წყეული და მართლაცდა „გამოკვლევებული“ **ლევან ბერძენიშვილის** საქციელი არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ჩვენი სათაყვანებელი მეფე-მხედართმთავრები — **დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი ბრწყინვალე და ერეკლე მეორე თავიანთ შთამომავლებთან ერთად დეგენერატებად გამოაცხადა!**

ბატონმა გოგიტიძემ თავის უსტარში ყველაფერთან ერთად საბედისწერო შეცდომაც დაუშვა, როცა ბრძანა — **„სამწუხაროდ“, გენერალი ივანე ლაზარევი სომეხი არ ყოფილაო!** აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ იქვე „დაგვაკვალიანა“ — **თუ წერთ პიროვნებაზე რამეს, ჯობია, კარგად გაეცნოთ მის ბიოგრაფიას და მერე დაწეროთ ან საერთოდ ნუ დაწერთ, თუ არ იცითო!**

ე.ი. რა გამოდის, **ისტორიის დოქტორ მამუკა გოგიტიძეს** გული წყდება იმაზე, რომ **გენერალი ივანე პეტრეს ძე ლაზარევი, რომელმაც რუსთხელმწიფის დავალებით ქართლ-კახეთის სახელმწიფოებრიობის მოსპობაში ლომის წილი დაიდო და საქართველოს უკანასკნელ დედოფალს მარიამ ციციშვილს შეურაცხყოფა მიაყენა, თურმე, სომეხი კი არა, ყაზანელი რუსი ყოფილა,** ანუ **ლაზარევი** სომეხი რომ ყოფილიყო, ბატონი მამუკა გოგიტიძე გახარებული იქნებოდა და არც ამ საპროტესტო ნოტას გამოგვიგზავნიდა?!

შევეცდებით, **დოქტორი გოგიტიძე** გავახაროთ და ვუთხრათ, რომ **რუსი ძაღლთაპირი გენერალი ივანე პეტრეს ძე ლაზარევი**, რომელიც საქართველოში საიდუმლო მისიით მოავლინეს და საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულებინეს, **ეროვნებით სწორედ სომეხი იყო!**

1956 წელს არგენტინაში,




## კვირგვინოსნები

**ზურა ყიფშიძე**
*მსახიობი*



თუ რამე გინდა, ვინმეს გააგებინო, საქმით უნდა გააგებინო და **თუ გამოვედი სპექტაკლის მერე და ყვირილი დავიწყე, მაყურებელი ხომ გამიგიჟდება, სპექტაკლზე მოვედი თუ მიტინგზეო?** თეატრს თავისი ადგილი აქვს, პოლიტიკას — თავისი.

„კვირის პალიტრა“

**თამარიკო ქოხრეიძე**
*მომღერალი*



ჩემთვის ერთ-ერთი არასწორი და არამართალი ფრაზაა: **მე არ ვარ პოლიტიკური.** დასაფიქრებელია, რამდენად ადეკვატურია ადამიანი, როდესაც ამას ამბობს. ჩემთვის სიტყვა **„აპოლიტიკური“** სინონიმურია სიტყვებისა **„ჩირგვებში ჯდომა“.** დღეს ძალიან ბევრი ზის ჩირგვებში და იქიდან გადიდებული თვალებით იყურება.

„კვირის პალიტრა“

**ნინო ნადირაძე**
*„გვიამბეთის“ გენერალური დირექტორი*



დღეს **ის ადამიანები** მასწავლიან ევროპელობას, რომლებიც **9 აპრილის შემდეგ კომპარტიაში შევიდნენ.**

„TV იმედი“

**ლელა რაზიკაშვილი**
*ვაჟა-ფშაველას ფონდის ხელმძღვანელი*



ჩვენთვის ევროპა **ღირებულებათა სისტემაა.** ჩვენ იმიტომ უნდა მივიდეთ ევროპაში, რომ გვაქვს **საერთო ღირებულებები,** საერთო **ღირებულებებში შედის გამჭვირვალობა და თანასწორობა.**

„TV იმედი“

**გიორგი ნაკაშიძე**
*თეატრისა და კინოს მსახიობი*



**არც ნაცი ვარ და არც — ქოცი, საქართველოს ერთგული მოქალაქე ვარ!**

„ახალი თაობა“

# ჩვენ წინაშე არიან: ქართველი თამარ და აკაკი პაპავები, ფრანგი როტიერი და რუსი რომანოვსკი, რომლებიც ხელს აწერენ და ადასტურებენ – გენერალი ივანე პეტრეს ძე ლაზარევი სომეხი იყო!

ბუენოს აირესში, ქართველმა ემიგრანტებმა — **თამარ და აკაკი პაპავებმა** გამოსცეს უნიკალური წიგნი — **„მარიამ — უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“.** ამ ვრცელ მონოგრაფიაში, რომელიც მდიდარ საისტორიო მასალას ეფუძნება და არაერთი უცხოელი ავტორის ცნობებს ეყრდნობა, იშვიათი სიზუსტითაა აღწერილი ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი დღეები და 1803 წლის 18 აპრილის ინციდენტი, როცა **გარუსებული ქართველის პავლე ციციანოვის** ბრძანებით, **გარუსებული სომეხი ივანე ლაზარევი** დედოფალ მარიამს საძინებელში შეუვარდა და ხელი წაატანა!

ეს წიგნი, რომელიც ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად არის ქცეული, თავის დროზე ჩემმა უფროსმა მეგობარმა, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ავთანდილ სონღულაშვილმა** მათხოვა. ამ წიგნის **68-ე გვერდზე** თამარ და აკაკი პაპავები ასეთ რამეს წერენ — **„აი, სადამდე აღწევდა თავხედობა იმ ღენერლისა, რომელიც მოგზაურ როტიერის მოწმობით, ეროვნებით სომეხი უნდა ყოფილიყო, ქართველთა განსაკუთრებითი მოძულე. ლაზარევის სომხობაში დარწმუნებულია აგრეთვე რუსი ისტორიკოსი რომანოვსკიც“.**

ფრანგმა **როტიერმა,** რომელიც ლაზარევის სომხობაში დარწმუნებული იყო და რომელსაც თამარ და აკაკი პაპავები თავიანთ წიგნში იმოწმებენ, აღნიშნული ცნობა ფრანგულ „აზიურ ჟურნალში“ 1827 წლის ივნისში გამოაქვეყნა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ, როცა ეს მასალა ჟურნალში დაიბეჭდა, **სულაძაღლებული ლაზარევი,** სულ რაღაც, 24 წლის მოკლული იყო, რაც, დამეთანხმებით, ისტორიისთვის დროის უმცირესი მონაკვეთია. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ როტიერი **გენერალ ლაზარევის** თანამედროვედ უსათუოდ უნდა ჩაითვალოს, რაც მისი ცნობის სანდოობის ხარისხს ძალიან მაღლა სწევს.

რაც შეეხება რუს ისტორიკოს **რომანოვსკის,** რომელიც ასევე **ივანე ლაზარევის** სომხობას ადასტურებს, სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ **რომანოვსკი** ერთ-ერთი ყველაზე უფრო სანდო რუსი ავტორია.

მოკლედ, ვითარება ასეთია — **ჩვენ წინაშე არიან: ქართველი თამარ და აკაკი პაპავები, ფრანგი როტიერი და რუსი რომანოვსკი,** რომლებიც ხელს აწერენ და ადასტურებენ — **გენერალი ივანე პეტრეს ძე ლაზარევი სომეხი იყო!** ხოლო მეორე მხარეს დგანან ისტორიის დოქტორი და სამხედრო ისტორიკოსი **მამუკა გოგიტიძე** და „ერთი ჯგუფი სომეხ მეცნიერთა“, რომლებმაც „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნებული ჩვენი წერილის — „ლაზარიანის ხროვის“ პასუხად წერამ აიტანა და დაწერეს — **„ნუ ცდილობთ ხალხთა შორის შურის გაღვივებასო!“**

ჩვენი მხრივ ისტორიის დოქტორს, **ბატონ მამუკა გოგიტიძესა** და კიდევ იმათ, რომლებიც გენერალ ივანე პეტრეს ძე ლაზარევის სომხობას ლეღვის ფოთლებივით გადაეფარნენ, ვურჩევთ, **ბევრი იკითხონ და ცოტა წერონ!**

**ისტორიის დოქტორ გოგიტიძეს** როტიერისა და რომანოვსკის შესახებ რომ არაფერი სმენია, ეს დიდი ტრაგედია არ არის, მაგრამ, **როცა ქართული ემიგრაციის ისეთი ცნობილი და ბრწყინვალე წარმომადგენლების გახმაურებულ ნაშრომს არ იცნობ, როგორიც თამარ და აკაკი პაპავების ზემოხსენებული მონოგრაფიაა,** ვფიქრობთ, „ისტორიის მამის“ ჰეროდოტე ჰალიკარნასელის საფლავთან ზუსტად ის უნდა გააკეთო, რაც აკაკის ჰაჯი-უსუბმა გააკეთა, როცა დამბაჩა დაიხალა და ჩვენი ჭირი წაიღო!

ასე რომ, **ძვირფასო გოგიტიძევ,** რაც არ იცით, იმაზე ჰროტვას თავი უნდა გაანებოთ და **„სომეხ მეცნიერთა ერთი ჯგუფის“** ხელში ბრმა იარაღად არ უნდა იქცეთ!

რაც შეეხება ჩვენს პუბლიკაციაში გამოყენებულ **გენერალ ივანე დავითის ძე ლაზარევის** სურათს, ამ საკითხზე ჩვენ საგანგებოდ ვესაუბრეთ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილეს, **ბატონ ლევან თაქთაქიშვილს** და ვუთხარით, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“ **ივანე პეტრეს ძე ლაზარევის** ნაცვლად შეცდომით დაცულია **ივანე დავითის ძე ლაზარევის** ფოტოსურათი. ეს უკანასკნელიც **სომეხი გენერალი** იყო, მაგრამ ერთი განსხვავებით — **დედოფალ მარიამის საძინებელში ხანჯლით კი არ დაუკლავთ,** არამედ ამ ამბიდან დაახლოებით 75 წლის შემდეგ გარდაიცვალა, როცა, **როგორც ბატონი გოგიტიძე წერს,** ფურუნკული გაუსკდა...

საერთოდ, მიგვაჩნია, რომ სომხურ-ქართულ ურთიერთობებს ის სიმართლე კი არ აფუჭებს, რომ **გენერალი ივანე პეტრეს ძე ლაზარევი სომეხი იყო,** არამედ ერებსა და ხალხებს შორის ურევენ და ვითარებას ძაბავენ ის პოლიტიკური ფურუნკულები, რომლებიც თავიანთ წარმოშობას, გვარ-სახელს, მამა-პაპათა საფლავებს მალავენ და საქართველოს, როგორც გენეტიკური დივერსანტები, უტევენ!

**გენერალ ლაზარევს ფურუნკული რომ გამოერწყა, გადარჩებოდა!**

**საქართველოს ხსნაც არა პოლიტიკური ფურუნკულების მორწყვაში, არამედ გამორწყვაშია!**

***დიტო ჩუბინიძე***



თამარ და აკაკი პაპავები:




...სატოხიშვილმა ამ პარაკლისზე უხეშ ლაზარევის მოვლინება, ესენი ხომ მრავალჯერ ყოფილან მოწმენი კეთილშობილ და სულგრძელ მეფის ამ ტლანქ ლაზარევთან დაჯახებათა; რამდენი მწარე დღეები ანახვა მან მეფეს. გავიხსენოთ თუნდა ის ფაქტი, რომ რის ვაი-ვაგლახით ჩამოყვანილი ჯარის, დაუყოვნებლივ უკანვე გაყვანით ემუქრებოდა მეფეს ეს ღენერალი; თითქოს უმაღლესი პოლიტიკის ეს საკითხი, პეტერბურგს წლების მანძილზე რომ გადაეწყვიტა, დღეს ღენერალს საქმე ყოფილიყოს... აი, სადამდე აღწევდა თავხედობა იმ ღენერლისა, რომელიც მოგზაურ როტიერ-ის მოწმობით, ეროვნებით სომეხი უნდა ყოფილიყო, ქართველთა განსაკუთრებითი მოძულე. (51). ლაზარევის სომხობაში დარწმუნებულია აგრეთვე რუსი ისტორიკოსი რომანოვსკიც. (52).

ღენერალ ლაზარევმა მართლაც «ღირსეულად» ჩაატარა საქართველოს და ბაგრატიონთა აბუჩად აგდების რამოდენიმე აქტი, — თითქოს სურდა ამით კიდევ უფრო დაერწმუნებინა რუსეთი, რომ მან კარგად იცის ამ «აზიელების» ენა და რომ მათდამი მოპყრობა განსაკუთრებულის სისასტიკით უნდა ხდებოდესო. ამიტომაც რუსეთის ერთგულმა ციციანოვმა,

...კოვის განყოფილებისა.

51) Col. Rottier' Journal Asiatique. Juin, 1827.
52) В. Романовский: Очерки по истории Грузии. 232.
52b Gamba: Voyage dans la Russie méridionale, et particuliérment dans les provi...

**აი, სადამდე აღწევდა თავხედობა იმ ღენერლისა, რომელიც მოგზაურ როტიერის მოწმობით, ეროვნებით სომეხი უნდა ყოფილიყო, ქართველთა განსაკუთრებითი მოძულე. ლაზარევის სომხობაში დარწმუნებულია აგრეთვე რუსი ისტორიკოსი რომანოვსკიც.**

## კვირგვინოსნები

**ირინე ლომინაძე**
*ქუთაისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი*



ეს რა გიქნია, **დავით დოიაშვილო?** რას კადრულობ? **როდის შემდეგ გვინდა ხელოვანებს, რომ კულტურა იყოს პოლიტიკური?** რა გგონიათ, ჩვენ არ გვაქვს ჩვენი პოლიტიკური აზრი და მე ვერ გამოვიყენებ, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელი ***(თუ ვიკადრე და ჩემს ქვეყანას ვაკადრე)*** ქუთაისის სახელმწიფო თეატრის სცენას პოლიტიკური მიზნებისთვის და ვერ ვაჩვენებ სამყაროს, **რა უმსგავსობებს სჩადიოდნენ ნაციონალები ხელისუფლებაში ყოფნისას? მაგრამ არ ვიკადრებ და არ ვაკადრებ.**

„პირველი არხი“

**ედმონდ მინაშვილი**
*რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი*



ნამდვილად არ ვაპირებთ სცენაზე კუნტრუშს და **ლომჯარიას, გიგაურის, პატარაიას, გვარამიას** და მსგავსი **უსამშობლოების მიერ დაკრულ სალამურზე ცეკვას.** არც „მოპრუნწკული“ ტუჩებით კეკლუცს ვაპირებთ. ასე რომ, **ყველა ხელოვანის სახელით ნუ საუბრობთ!**

„ახალი თაობა“

**თეიმურაზ ქორიძე**
*ჟურნალისტი, მედიაექსპერტი*



ამ კანონის მიღებით საქართველოდან დაიწყება **გრანდიოზული ფინანსური სკანდალი,** რომელიც ელვის სისწრაფით გავრცელდება მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში და დღემდე გამოქვაბულებში მშვიდად მოკალათებულ **უამრავ სახელოვან ქურდბაცაცას შეიწირავს.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**ქეთი დოლიძე**
*რეჟისორი*



**არავითარი რუსული კანონი ეს არ არის, ეს არის ამერიკული კანონი.** მიდით ბრიტანეთში და „გაგულავდით“ ისე, რომ არავინ იცოდეს, **ვის ფულს ხარჯავთ.** ასე რომ, არ უნდა ამდენი ჭიჭინი.

„კვირის პალიტრა“

# მო გელა ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ხედელაშვილთან ერთად

# გვამური ლაქლაქი



ამბობენ, ეს ტიპი, რომლის ფონზე ფანტომასიც კი სიმპათიურად გამოიყურება, ქაშუეთიდან **ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს ზარბაზანს ესროდაო!**

მე კი ვხედავდი, ქაშუეთიდან ნასროლი ტყვიები პარლამენტის შენობის კედლებს რომ ასკდებოდა, მაგრამ **გენერალი ჭანკოტაძე** პირადად არ დამინახავს, თუმცა, სხვა დამნახავებს ვენდობი — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფიზიონომია და გამომეტყველება აქვს ისეთი, აუცილებლად იზამდა. ამას სახეზე აწერია, გადატრიალება და „მავნების“ სიკვდილი სწყურიაო, — აკი, ამ დღეებშიც მიახალა უმრავლესობის წევრებს: **ეს ამბავი ძალიან ცუდად დამთავრდება, ერთი ადამიანიც რომ მოკვდეს, მართლა ძალიან ცუდად დამთავრდებაო.**

მოკლედ, მიჩვეულია, ნებისმიერ აქციაზე ვიღაცა უნდა მოკვდეს, **აბა, სააკაშვილი და მერაბიშვილი ცეკვის მასწავლებლები ხომ არ არიან?**

# მამრობითი სქესის ელისტრაკო



ჯერ **გამოუსწორებელი სიბრიყვე ჩაიდინა,** კოლეგას გვერდიდან მიეპარა და დაარტყა. ვერც გააცნობიერა, რა გააკეთა. შეიძლება გააცნობიერა კიდევაც, მაგრამ ე.წ. პატრონების დასანახად უფრო გაბრიყვდა და მუსკულებზეც კი დაიწყო ყურება.

**თავისნაირმა ბრიყვებმა მთლად გააბრიყვეს** — მიდი, ბოლომდე გაიტანე, შენ გვერდით გვიგულეო. **ლაწირაკებმა მასთან სურათების გადაღება დაიწყეს და ამან საერთოდ გადაიყვანა ჭკუიდან, თავი შვარცენეგერად წარმოიდგინა და...** აი, აქ ჩააშხამეს ტკბილი სიზმარი — ერთი გვარიანი ალიყური აკრეს და ეგრევე გაიღვიძა.

☺

**რა გინდოდათ, რატომ გაალვიძეთ?**

**ცოტა ხანს კიდევ ყოფილიყო ნირვანაში, ცოტა ხანს კიდევ ჰგონებოდა თავი შვარცენეგერი, ან სტალონე, ან ჯეკი ჩანი... რავი, ან დავით აღმაშენებელი, ან გიორგი სააკაძე.**

ახლა რა ქნას გამოფხიზლებულმა, რა გზას დაადგეს, იყოს აეგეთი თავდაფსმული არარაობა?

იქნებ ისიც თქვათ, პარლამენტიდან წავიდესო? თან ბოდიში მოიხადოსო? მამუკა მდინარაძეს ფეხებში ჩაუვარდესო? მუხლები დაუკოცნოსო? კი მაგრამ, ასე რომ მოიქცეს, მისგან რაღა დარჩება? ისედაც აღარაფერია დარჩენილი.

☺

არადა... სურათზე ნახეთ, როგორ საკაიფოდ იბრიქებოდა, სანამ ჭიტლაყასუნს ამოჰკრავდნენ. მოკლედ, **მდედრობითი სქესის ელისტრაკო კილაძეს მამრობითი სქესის სეხნია** გამოუჩნდა!

# წარმოგიდგენიათ, რაებს შვრებოდნენ ამნაირი ჩათლახები?



ამანაც გააპროტესტა — **„ალა ლუშულ კანონს, ევლოპა მინდა, გალეჯი საქალთველო არალი“**-ო!

წარმოგიდგენიათ, **ეშმაკი, რომელიც ამტკიცებს, გარეჯი საქართველო არ არისო,** მიტინგზე გიდგას და თან ჭკუასაც ეკითხები — რა ევროპა, რომელი **„ლუშული კანონი“,** სადაური შაშაკოლა, თემურ ჭყონია და ტარხუნის ლიმონათი?!

მოკლედ, საქართველოში მოღალატეების დოღია!

**წარმოგიდგენიათ, რა ხდებოდა 1937-იან წლებში? წარმოგიდგენიათ, რეებს შვრებოდნენ ამნაირი ჩათლახები და ეშმაკის მოციქულები?!**



## ვის შევჩივლოთ, როს ავლიპი მკვდარია?

— **არ გამოგივათ გასაბჭოება! არ გამოგივათ გასაბჭოება! არ გამოგივათ გასაბჭოება!** — გაჰკიოდა პარლამენტის ტრიბუნიდან **ანიკო ნაცვლიშვილად** წოდებული არარაობა. ეს არ იყო უწყინარი თუთიყუშისებრი ახირება, ეს უფრო ბოდბისხეველი ფსიქიატრის სტაჟიანი პაციენტის იმ განწირულ არიას ჰგავდა, რომელიც ხშირად ისმოდა ასათიანის ქუჩაზე მდებარე საგიჟეთიდან, ვიდრე მას, სააკაშვილის მითითებით, „ლელოს“ ლიდერი **მამუკა ხაზარაძე** დაანგრევდა.

☺

ხელოვნური ისტერიკა გაგრძელდა 15 წუთი.

**ავლიპ ზურაბიშვილი** 2-ჯერ 15 წლის წინათ გარდაიცვალა.

☺

**დაიბით, ხალხი არა ხართ?!**

## კვირგვინოსნები



**ალეკო ელისაშვილი**

*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*

**ის გავბედე, რაც ვერავინ ვერ გაბედა ოპოზიციიდან.** ყველას უნდოდა და არავის ერთი ადგილი არ ჰქონდა. ბოდიში ყველასთან, მაგრამ **ეს კანონი უნდა გავუკეთოთ ტ...ში.** მუშტი მოხვდა **მდინარაძეს** იმ რუსულ სიფათში.

„რეზონანსი“



**კახა ლაბუჩიძე**

*თბილისის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი*

**ალეკო ელისაშვილი — ეს მართლაც არაკაცი!** რამ შეგაყვარა ასე ფული, შე ღორო, რომ შენი ქვეყნის მტრობის სამსახურში ჩადექი? **შე მართლა ნომრიანო რუსეთის აგენტო!** მაგ ლაჩრულად და მუხანათურად მოქნეული ხელით წადი ახლა და ჩაითვალე **საქართველოს არევისთვის გადახდილი ფული.** არ გაგივათ, თქვე **ორჯონიკიძეებო!**

„აიპრესი“



**ნინო ფორჩხუა**

*ექსპერტი*

რაც **ელისაშვილმა** იკადრა, დაგვანახა, რომ ეს არანაირი სპონტანური მოქმედება არ იყო, **ეს იყო წინასწარ დაგეგმილი** — ეს ხალხი ხართ თქვენ, **მავნებლები, ფულზე გაყიდულები და ქვეყნის მტრები.** „იმედინიუსი“



**დავით იმედაშვილი**

*რეჟისორი, პროდიუსერი*

ერთხელ მაინც **უკანონო ბრძანების შემსრულებელ სპეცრაზმს უნდა მოხვდეს** და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება.

„იმედინიუსი“



**დემიკო ლოლაძე**

*მწერალი, ფოტოგრაფი*

არც **ყოფილ პრემიერს** და არც **ახალ პრემიერ-მინისტრს არაფერი ეშლებათ** და ცოტა გაკვირვებული ვარ ზოგიერთების კეკლუცობით.

„იმედინიუსი“

# დროში აცდენილები

„იმედის“ ჟურნალისტთან მიცოცებულმა უხილავმა მომიტინგემ ჯერ არ იცის, რომ **ნაძირალა სააკაშვილი უკვე გადადგა, „ვივამედში“ წევს და აღარ კვდება!** მიხოს კიდე ჰგონია, პარლამენტის წინ „მავნები“ ჩემს გამო შეიკრიბნენო და პალატა ლუქსიდან დეპეშას დეპეშაზე აგზავნის — **გაერთიანებისა და შეტევის დროაო!**

☺

**საათი გაასწორეთ, თქვე, აბუეტებო და იდიოტებო!**








# «გულბოზას» შოუ



**— ჩვენ დროს, ანუ კომუნისტების პერიოდში ქალები კინოში არ დადიოდნენო... როგორ, ქალი და კინო-ვო? წესიერი ქალი კინოში შევიდოდა და დაჯდებოდაო? რავი, მე ქუთაისის კინოში დავდიოდი, მარტო ბალღები და კაცები ვიყავით ხოლმე, მაშინ ეგეთი გაგება არსებობდაო.**

☺

ქუთაისლებო, მოგეჭრათ თავი და ეგ არი!

მართლა არ დადიოდნენ თქვენთან წესიერი ქალები კინოში?

**აქარაქი ვანო** არ ჩაეკითხა **აბუეტ „გულბოზას“,** თორემ უფრო ღრმად წავიდოდა „დუმებში“ და წამააწვენდა — **კომუნისტების დროს ოჯახში აღზრდილი ქალები არც თეატრში დადიოდნენ, არც ოპერაში, ეგეთი შავბნელი პერიოდი იყო-ვო.**

☺

არადა, კარგად მახსოვს, **კინოში ჯუგაანელი, მაჩხაანელი, ტიბაანელი, ბოდბისხეველი, ვაქირელი და ბოდბელი ქალები თავისუფლად დადიოდნენ... უფრო მეტად მაშინ, თუ ორსერიან ინდურ კინოს მაიტანდნენ. ცალსერიან კინოებზე შედარებით ცოტანი დადიოდნენ, მაგრამ მაინც ისხდნენ წინა რიგებში. არ დაიჯერებთ, ზოგიერთს მარაოც კი ეჭირა ხოლმე და ინიავებდა.**

თუ რომელიმე თეატრი ჩამოვიდოდა, დარბაზში ტევა არ იყო, ქალებიც კი ერთმანეთსა სწყვეტამდნენ. თუ არ ვცდები, ერთხელ მარჯანიშვილის თეატრი გვეწვია და ქალები საკუთარი „ტაბურეტკებით“ მოიდნენ.

☺

ეს კიდე იძახის, ქუთაისელი ქალები კინოში არ დადიოდნენ, სირცხვილი და თავის მოჭრა იყო-ვო.

არ მჯერა!

**„გულბოზას“** უნდოდა, **აქარაქი ვანო** გაეოცებინა და გააოცა კიდევაც, იმდენი იხითხითა, ეჭვიც არ შეეპარა. ერთი ეგ არი, კინოში ქალების არწაუსვლელობა რუსეთს ვერ თუ არ დააბრალეს... თუმცა, ეგ მაინც იგულისხმებოდა.

**მოუსმენს ამ აბუეტ „გულბოზას“ მოზარდი და საბჭოთა პერიოდში დაბადებულ-გაზრდილ საკუთარ დედ-მამასაც შეიძულებს, აღარაფერს ვამბობ ბებია-ბაბუაზე.**

მერე იტყვიან, **იმანო ამანოიანმა თავისი მამა უკანალში რათ დაჭრაო?**

იმათა, ხალხო, იმათა!

# გიორგი შხვაცაბაია:

# ევროპა აქეთ უნდა გვთხოვდეს, საქართველოში მიგვიღეთო და არა – პირიქით!

*„2012 წლიდან, რაც ეს მთავრობა მოვიდა, გვარი ორჯერ შევიცვალე, ჯერ **იმედაძე** გავხდი, შემდეგ — **მოლოდინაშვილი**“ —* ***ღიმილით ამბობს დიდი მოქანდაკე, 84 წლის გიორგი შხვაცაბაია, რომელიც ჯერ კიდევ ელის თავისი შედევრალური ნამუშევრების საკადრის ადგილზე განთავსებას:***



— ახალი ხელისუფლება როცა მოვიდა, გულში იმედი ჩამესახა, **„იმედაძე“** გავხდი, მეგონა, კულტურის გულშემატკივრები იქნებოდნენ და ჩემკენაც გამოიხედავდნენ, მაგრამ დრო რომ გავიდა და ისევ ლოდინის რეჟიმში აღმოვჩნდი, ახლა **„მოლოდინაშვილი“** ვარ (იღიმის). ერთი წლის წინათ **თეა წულუკიანს** შევხვდი სამხატვრო აკადემიაში, მშვენივრად ვისაუბრეთ, მოსვლას დამპირდა, მაგრამ არ მოსულა, არც მისი ტელეფონის ნომერი ვიცი. არა უშავს, ჩემს ბიოგრაფიაში და, საერთოდ, ქართული კულტურის ისტორიაში ის ფაქტი მაინც რჩება, რომ ქართველმა კაცმა ძეგლები დადგა ევროპის ცივილიზაციის აკვანში — **ოლიმპიაში** და ხელოვნების აღორძინების ცენტრში — **ფლორენციაში.** პირველს „მშვიდობის ჩირაღდანი“ ჰქვია,

გაგრძელება 26-ე გვერდზე

**„ერთი წლის წინათ თეა წულუკიანს შევხვდი სამხატვრო აკადემიაში, მშვენივრად ვისაუბრეთ, მოსვლას დამპირდა, მაგრამ არ მოსულა, არც მისი ტელეფონის ნომერი ვიცი!“**

# მაგრად დაჰკარით, მაგრად დაჰკარით, დადგეს ყიჟინის კორიანტელი...






**ირაკლი კობახიძემ** დეტალურად გაშიფრა მოღალატეების საქმიანობა საქართველოში. ვფიქრობ, ის კანონი, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობამ პირველი მოსმენით მიიღო, ზედმეტად მიმტევებლურია და **ფულის ბალიშიდან ნიფხავში გადატანის შესაძლებლობას ტოვებს.**



**სანდრო თვალჭრელიძე**
*ექსპერტი*



**სალომე ზურაბიშვილი** ჯერჯერობით საქართველოს პრეზიდენტია და ის უნდა ცდილობდეს, **იყოს ზეპარტიული და ნეიტრალური ფიგურა.** როდესაც ხარ ქვეყნის პრეზიდენტი, **არ შეიძლება ოპოზიციის ფრაზებით ილაპარაკო.** ამით აძლევს ხელისუფლებას კიდევ მეტ არგუმენტს, რომ მას **ნაციონალების პრეზიდენტი** ეძახოს.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი გობრონიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი*



არ მახსენდება შემთხვევა, უცხო ქვეყნის აგენტი ყვიროდეს — **არიქა, აგენტი ვარ, ძირს გითხრით და მოდით, დამარეგისტრირეთო.** ეს აბსურდია და რეალურად ემსახურება იმას, რომ ვილაცას მიაკერონ ეს იარლიყი.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი კალანდია**
*ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი*



**ვარ ევროპელი, მინდა ევროპაში** — ამის მიღწევა **მხოლოდ ლოზუნგებით** შეუძლებელია!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მამუკა ხაზარაძე**
*„ლელოს“ ლიდერი*



პირველად ხდება, რომ დამოუკიდებელ საქართველოში, დეპუტატების ხელის მოწერით, **დოკუმენტურად აფორმებენ ჩვენი ქვეყნის მომავალს რუსეთზე.**

„ახალი თაობა“

**ალექსანდრე რაქვიაშვილი**
*პარტია „გირჩის“ წევრი*



**ძალიან მომწონს ამერიკა,** მისი სასამართლო სისტემა, ამერიკის თავისუფალი ხალხი, რომელიც **შეიარაღებული გადის მიტინგზე** და იცავს თავს, **მიყვარს ამერიკის სიტყვის თავისუფლება.**

„პირველი არხი“

დასაწყისი 25-ე გვერდზე

მეორეს — „გულმოწყალება“. საწყენი ის არის, რომ ჩვენს ქვეყანაში იმათ არ აქცევენ ყურადღებას, ვისაც საქართველოსთვის მსოფლიო აღიარება მოაქვს, თორემ ევროპა აქეთ უნდა გვთხოვდეს, საქართველოში მიგვიღეთო და არა — პირიქით. **ეს ქვეყანა მართლა ღვთისმშობლის წილხვედრია და ბევრი არ არის საქართველოში ცხოვრების ღირსი!**

**— დღევანდელ სიტუაციას თვალს ადევნებთ? „გამჭვირვალობის კანონის“ მიღებას ვგულისხმობ, ზოგიერთი არასამთავრობოს პროტესტს...**

— ამ არასამთავრობოებში ნაყიდი ხალხია და როგორ შეიძლება მათზე საუბარი? ან რას ნიშნავს ეს მიტინგები? ან რას ეხვეწებიან ამ ლგბტ-ის წარმომადგენლებს? აბსურდის თეატრს ჰგავს ეს ყველაფერი: ნო კომმენტ! მეტს აღარ გავაგრძელებ. ჩემს სახელოსნოში შემოსასვლელ კარს აწერია: **ჩემი ქება და პოლიტიკაზე საუბარი აკრძალულია!** ყველამ თავისი საქმე აკეთოს, მიუხედავად იმ უყურადღებობისა, რაც ზემოთ გითხარით, არ ვჩერდები, მუშაობას ვაგრძელებ, ჩემს ეზოსა და სახელოსნოში უკვე იმდენი ქანდაკებაა, თითქოს ათმა კაცმა იმუშავა.

**— ბატონო გიორგი, ზაარბრიუკენის მოედანზე ახალდადგმული ქანდაკება „დროის ნაწნავები“ თუ გაქვთ ნანახი? რა მიმდინარეობაა ქანდაკებაში, ან რას წარმოადგენს გმირთა მოედანზე სააკაშვილის მიერ დადგმული ბოძი?**

— გაოცებული ვარ. მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს **ზურაბ ცერცვაძეს** ვკითხე, მშრალ ხიდთან ეს ძეგლი რატომ ან რისთვის დადგეს-მეთქი? არაფერი იციო. ეს ველოსიპედიც სააკაშვილის „ზასტოია“, ვერ აიღეს და გმირთა მოედანზეც იმ ბოძის დანგრევა, ალბათ, ძალიან ძვირი დაუჯდებათ.

**— თქვენი ხელოვნების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება იმ დროს ხომ არ გახსენებთ, როცა თქვენი ქანდაკება „მირზა გელოვანი“ თენგიზ კიტოვანის ბიჭებმა დახვრიტეს?**

— ეს დამოკიდებულება არ არის, ეს არის „ჩამოკიდებულება“...



# „ჩემს სახელოსნოში შემოსასვლელ კარს აწერია: ჩემი ქება და პოლიტიკაზე საუბარი აკრძალულია!“

## გიორგი შხვაცაბაია:

# დამოკიდებულება ჩემ მიმართ არის „ჩამოკიდებულება!“

**თენგიზ კიტოვანი** ჩემი თანაკურსელი იყო, ისე გარდაიცვალა, ამ ამბავზე მასთან არ მისაუბრია. მისი ბიჭები სროლაში ვარჯიშობდნენ, ვინ მოარტყამდა ძეგლს ტყვიას თვალებში. დაამტვრიეს და შემდეგ ბრინჯაო თურქეთში გაყიდეს.

ეს ამბავი ჟიული შარტავას ფონდის თავმჯდომარემ **რობერტ ლარიბაშვილმა** შემატყობინა, რომელმაც შემდეგ ტრაგიკულად დაასრულა ცხოვრება. ქურდობა დააბრალეს, პატიოსანი კაცი იყო, ვერ აიტანა, ვაკის პარკში თავი მოიკლა. მირზას ის ძეგლი აღარ არსებობს, მაგრამ არსებობს ამ ძეგლის თავის ასლი, კამოს ქუჩაზე რომ სკოლაა, იქ არის, მინდა, დავიბრუნო. მოიპარეს ჩემი სხვა ნამუშევრებიც — ბარელიეფი მამაჩემის საფლავიდან, მიშა მესხის საფლავიდან მოხსნეს დიდი ჯვარი, ბრინჯაოში შესრულებული სფერო გადააგორეს. სამაგიეროდ, სახელოსნოშია „გაშეშებული“ ჩემი **ლადო ასათიანი** — 30 წელია, რაც დადგმას ელოდება, არადა, ორჯერ მოიგო კონკურსი. ლადოს ქალიშვილი მანანა უკვე ასაკშია, ავადმყოფობს, არ ვიცი, ამ ძეგლის დადგმას თუ მოესწრება.

გაკეთებული მაქვს **კოტე აფხაზის ძეგლი,** რომელიც ვაკის პარკთან ჩასასვლელში, თაღის წინ დასადგმელადაა გამზადებული, მეცნიერებათა აკადემიის პირველ სართულზე დაპატიმრებულია ჩემი **ივანე ჯავახიშვილის ძეგლი,** რომელიც უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან უნდა დაედგათ. რამდენჯერაც მივაგზავნე აკადემიაში ფოტოგრაფი გადასაღებად, იმდენჯერ არ შეუშვეს. არადა, მინდა, ფორმა ვიპოვო, ჩამოვასხა და დავდგა. **მიშა მესხის ძეგლი** კი გიგი უგულავამ დამიპატიმრა, მიუხედავად იმისა, რომ კონკურსში გამარჯვებული ვიყავი. უგულავამ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ **ზვიად სიჭინავას** დაურეკა, შენს ტერიტორიაზე ეს ძეგლი სადაც გინდა, იქ დადგი, თბილისი ჩემი ტერიტორიაა და არ დაგადგმევინებო. დღეს ეს უგულავა, რომელსაც 50 მილიონის მოპარვა დაუმტკიცეს, თავისუფლად დასეირნობს და ამ სიტუაციას ბიძინა ივანიშვილი კი არა, ლავრენტი პავლოვიჩი თუ უშველის...

ყველაზე მთავარი — აფხაზეთის დაბრუნებაზე ამდენს რომ ლაპარაკობენ, გაკეთებული მაქვს **ვიტალი დარასელიას ბარელიეფი,** რომელიც მისი დაღუპვის ადგილზე განსათავსებლად შეიქმნა. ვიტალი ოჩამჩირელი ბიჭი იყო, ყველას უყვარდა, განვათავსოთ სადმე და გახსნაზე ჩამოვლენ ოჩამჩირიდან, დამიჯერეთ, ეს მოაბრუნებს ჩვენკენ აფხაზებს, მეც ხომ აფხაზი ვარ, იქნებ მოვესწრო ამას... ვმუშაობ წიგნზე — „ბედი და შეცდომები“, აფხაზეთის საკითხზე აქაც ვწერ, ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ ტოპონიმი **„აფხაზეთი“** აფსუებს ვაჩუქეთ-მეთქი. არ არსებობს აფხაზური ენა ისევე, როგორც არ არის კახური ენა, ან გურული, არსებობს მხოლოდ აფსუას ენა და გამოუსწორებელი შეცდომა ჩავიდინეთ, როცა აფსუებს აფხაზები ვუწოდეთ.

**— 15 აპრილს 84 წელი შეგისრულდათ...**

— საკრალური რიცხვია, **პირველ საუკუნეში სწორედ 15 აპრილს,** პარასკევ დღეს, ჯვარზე გააკრეს 33 წლის იესო ქრისტე. **1453 წლის 15 აპრილს** დაიწყო კონსტანტინოპოლის დაპყრობა, ერთი წლით ადრე, **15 აპრილს** დაიბადა ლეონარდო და ვინჩი, ხოლო **1912 წლის 15 აპრილს,** გამთენიისას, ჩაიძირა „ტიტანიკი“. **2019 წლის 15 აპრილს** დაიწვა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. ჩემს ოჯახში ლეონარდო და ვინჩი პიროვნების კულტი იყო, შოთა რუსთაველს, ვაჟასა და ილიას მეოთხე კაცად დავუმატე და დღეს უკვე იმდენი ლიტერატურა მაქვს ლეონარდოზე, ალბათ, საქართველოში არავის ექნება...

კიდევ ერთი ისტორია ჩემს დაბადებასთან დაკავშირებით — 1939 წლის აგვისტოში მამაჩემი ფინეთის ომში გაიწვიეს, უმძიმესი სიტუაცია იყო, გამოიტირეს, რადგან იქიდან ვეღარ დაბრუნდებოდა, მაგრამ მოხდა საოცრება, როცა შეამოწმეს, დაიწუნეს, ხელი ამოვარდნილი ჰქონდა და ომში გამოუსადეგარ ჯარისკაცად მიიჩნიეს. მოგეხსენებათ, მამა სპორტსმენი იყო და, ბედად, ომში წასვლის წინ სწორედ იმ პოლკოვნიკმა შეამოწმა, რომელიც მისი გულშემატკივარი გახლდათ. მამა ომში რომ წაეყვანათ, ვეღარ შეხვდებოდა დედაჩემს, რომელიც იმ დროს 17 წლისა იყო და მოსკოვში სამედიცინოზე სწავლობდა. ვერც მე დავიბადებოდი 1940 წელს. სხვათაშორის, მსგავსი ისტორია აქვს ტურუხანსკში გადასახლებულ სტალინსაც, რომელიც პირველ მსოფლიო ომში გაწვევას მხოლოდ იმიტომ გადაურჩა, რომ მასაც, მამაჩემივით, ხელი ამოვარდნილი ჰქონდა და დაიწუნეს. ეს რომ არა, მსოფლიო ისტორია სულ სხვა გზით წავიდოდა.

**— ასაკს გრძნობთ?**

— იმ ასაკს მივაღწიე, ჩემი თაობის ხალხს როცა ვხედავ, ცუდი პიროვნებაც რომ იყოს, მიხარია. ამასწინათ ქუჩაში გადავეყარე ასეთ კაცს, გამიხარდა, ცოცხალი რომ იყო, გადავეხვიე. ჩემზე ორი წლით უფროსია, ცნობილი მოქანდაკეა, სძულდა კომუნისტები, მაგრამ თვითონ იყო „კაგებეს“ მუშაკი. ჟიული შარტავა ეზიზღებოდა, ჟიული კი დიდი პატრიოტი იყო, ჩემი ძმაკაცი, მის გამო ბევრი მოვიმდურე. დრო გავიდა და ამ კაცმა დადგა ჟიულის ქანდაკება ჩემი ქანდაკების წინ გმირთა მოედანზე. აი, ასეთი საინტერესოა ცხოვრება. იმ ასაკში ვარ, მომბეზრდა თავმდაბლობაც. დიდუბეში, გრიგოლ რობაქიძის ქუჩაზე, ჩემი გაკეთებული გრიგოლ რობაქიძის ძეგლის გახსნაზე ხალხი იყო შეკრებილი, ვიღაცამ თქვა, რა მაგარიაო. ხალხს მივმართე: მეგობრებო, მაგარი არის კიტრი, თუ, გნებავთ, კიტრი დაარქვით, მაგრამ ეს არის გენიალური ნამუშევარი-მეთქი.

**— კბილის ექიმის მისაღებში გალაკტიონი გყავთ დახატული...**

— „ლეჩკომბინატში“ ვიყავი, მეორე სართულზე მუშაობდნენ ექიმები — **თამარა ბახტაძე** და **„პაწიკო“.** დერეფანში გრძელი სკამი იდგა, ერთ ბოლოში გალაკტიონი იჯდა, მეორეზე — მე. ჩემი ავადმყოფობის ისტორია მეჭირა. დავიწყე გალაკტიონის ხატვა. პროფილში ვხატავდი, ვერ მხედავს-მეთქი. ბოლოს, როცა ავდექი, მითხრა — მოიცადე, ძამიკო, მანახე, რა დახატეო. როგორ შეამჩნია, გამიკვირდა. ამოიღო კალმისტარი და დააწერა: **„ეს სახე ჩემი მშვენიერია, ყველაფერი ჩანს, რაც მიწერია“** და ხელი მოაწერა. ეს ნახატი **რობიკო სტურუამ** წაიღო, ჩემი ძმაკაცია. მისცა ბიძას — კოლიას, რომლის ცოლმაც მითხრა — წიგნი უნდა გამოვიდეს და ამას ყდაზე დავბეჭდავო. ეს ქალბატონი ახლა ამერიკაში ცხოვრობს, ნახატი სად არის, არ ვიცი, არც ფოტო მაქვს.

**— თქვენი სურვილი 84-ე დაბადების დღეზე?**

— ფული როგორ გავაკეთო, ამაზე ვფიქრობ, არ მინდა სახლში გათბობის გათიშვა. გუშინწინ გადაცემაში მანქანით უნდა წავსულიყავი და მეზობელს 100 ლარი გამოვართვი, ხომ უნდა დავუბრუნო. პრემია დამინიშნეს თვეში 400 ლარი, მე და **ბიჭი თოიძემ** განცხადება დავწერეთ, როგორმე 1000 ლარამდე მოემატებინათ, მაგრამ 600 ლარამდე მოგვიმატეს. ახლა 20 რიცხვში უნდა ავიღო და მიხარია. 2012 წელს, როცა ბიძინა მოვიდა, პენსია არ დამენიშნა, ჩემი ძმა, თავის ცოლთან ერთად, იმ პენსიის კომისიის წევრი იყო და არ შეიძლებოდა. ფულს ისევ მასალაში გადავიტან, კილოგრამი ბრინჯაო 40 ლარი ღირს, ადრე კაპიკები ღირდა. ახლა ე. წ. დამტვრეული ბრიკეტებია თურქეთიდან შემოსული, კილო 20 ლარი ღირს, ბიუსტს კი 100 კილოზე მეტი სჭირდება. ჩემმა შვილმა ლიკამ მადრიდიდან დამირეკა — მამა, აქ რომ ცხოვრობდე, მილიარდერი იქნებოდიო. ეჰ! სწორედ იმ დღეს ჩემი ძმაკაცის — ბესიკ ხარანაულის დაბადების დღე იყო, ექსპრომტად ლექსი მივუძღვენი:

მე ვარ ღარიბი
მილიარდერი,
გიგლა, კუხო და
ფიროსმანი...
შოთა ჩანტლაძე,
გალაკტიონი,
მირზა, ლადო და
ჯაბუშანური...
ჯიბეში ხშირად
არ აქვთ შაური —
დღეს დაიბადა ხარანაული...

**P.S.** ამ რიგს ამშვენებს
ალიმონაკი,
მის ფრაკს აკლია
ერთი ფოლაქი.

ჩემს მეგობრებს, ყველას დიდ მოკითხვას ვუთვლი, თქვენს რედაქტორს **ლაშა ნადარეიშვილს,** გაგიმარჯოთ ყველას!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***



**გიორგი შხვაცაბაიას მიერ შექმნილი მირზა გელოვანის ძეგლი, რომელიც სამოქალაქო ომის დროს „კიტოვანის ბიჭებმა“ დახვრიტეს!**




# შევარდნაძის საიდუმლო



საბჭოთა ჯარი ავღანეთში

## ავღანეთიდან ჯარების გამოყვანა: შევარდნაძე, გორბაჩოვი და გენერალიტეტის ნარკომაფია!

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2023 წლის №46–49, 51–52, 2024 წლის №1–17*

***ალბათ, ბევრ ჩვენგანს სმენია — ისეთი განცდა მაქვს, საქართველოს ისევ შევარდნაძე მართავსო, ანუ 1972 წლიდან მოყოლებული, როდესაც შევარდნაძე საბჭოთა საქართველოს ლიდერი გახდა, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, საქართველოში ყველაფერი თითქოს სწორედ შევარდნაძის გარშემო ტრიალებს — მისი გარდაცვალებიდან ლამის ათწლეულის გასვლის შემდეგაც კი. ამიტომ იმის გააზრება, ამ 50 წლის განმავლობაში რა მოხდა, რა ხდება და რა მოხდება მომავალში, სწორედ „შევარდნაძის საიდუმლოს“ ამოხსნით თუ შეიძლება.***



**შევარდნაძე** თავის მოგონებებში ცალკე საკითხად იხსენებს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გამოყვანის ისტორიულ პროცესს!

აქვე უნდა ითქვას, რომ კრემლში გაპირველკაცებულ **გორბაჩოვს** და მის საგარეო საქმეთა მინისტრს **შევარდნაძეს** 1979 წელს ავღანეთში **ბრეჟნევის** მიერ შეყვანილი ჯარების უკან გამოყვანა „მშვიდობის მტრედობის“ გამო კი არა, ისედაც უმძიმეს ფინანსურ-ეკონომიკურ ვითარებაში მყოფი საბჭოთა იმპერიისთვის „ავღანური ტვირთის“ მოხსნით იყო ნაკარნახევი!

შევარდნაძე იხსენებს, საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ, 1985 წლის შემოდგომაზე, როგორ შეხვდა მოსკოვში **გორბაჩოვთან** ერთად ავღანეთიდან ჩამოსულ **ნაჯიბულას** და მის დელეგაციას:

> ***„ავღანური დელეგაციის წევრებმა, ჩვეულებისამებრ, ანგარიში ჩაგვაბარეს, რა როგორ არის, რა გაუმჯობესდა, რა გაუარესდა. ძალზე მძიმე სურათი დაიხატა. მე და გორბაჩოვს ნათქვამი გვქონდა, რომ ადრე თუ გვიან ეს საკითხი უნდა გადაგვეწყვიტა, ჯარები გამოგვეყვანა, რადგან იქ არაფერი გვესაქმებოდა. თავად ჩვენს ქვეყანაში გვქონდა პრობლემები მოსაგვარებელი, თანაც ავღანეთი უძირო ჭა იყო, ადამიანური და ფინანსური რესურსების უძირო ჭა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პოლიტიკური, ჰუმანური და სამხედრო ასპექტით, ჩვენს ქვეყანას არ შეეძლო ამ ტვირთის ზიდვა“*** *(ე. შევარდნაძე, „ფიქრი წარსულსა და მომავალზე“, გვ. 132).*

მოკლედ, **გორბაჩოვმა** პირდაპირ უთხრა ავღანელ კომუნისტ ამხანაგებს — ჩვენ უნდა გამოვიდეთ ავღანეთიდან, იარაღს, რამდენსაც გინდათ, იმდენს მოგცემთ და თავად იომეთო! ეს **ნაჯიბულას** და მის ამალას ძალიან არ ესიამოვნათ, მაგრამ აბა, რას იტყოდნენ...

თუმცა, გავიდა ორი წელი და **გორბაჩოვი** ავღანეთის საკითხს აღარც დაბრუნებია — პოლიტბიუროში ამ თემის განხილვას ერიდებოდა, რადგან იქ ბრეჟნევისდროინდელი ორთოდოქსი კომუნისტები ისხდნენ და მათთვის ავღანეთის დატოვება ამერიკასთან მარცხის ტოლფასი იყო!

შევარდნაძის თქმით, მან გორბაჩოვს უთხრა, მოახლოებულ პარტიის 27-ე ყრილობაზე გამოეტანა ავღანეთიდან ჯარის გამოყვანის საკითხი! გორბაჩოვიც დათანხმდა, მაგრამ ყრილობის წინა ღამეს, როცა შევარდნაძემ მიიღო გორბაჩოვის მოხსენების ტექსტი, იქ ავღანეთის ხსენებაც არ იყო:

> *„ღამის პირველი საათი იქნებოდა, გორბაჩოვს შინ რომ დავურეკე...*
>
> ***— მივიღე მოხსენების საბოლოო ვარიანტი. ავღანეთი აქ არ არის.***
>
> ***— იქნებ ცოტა მოვიცადოთ?*** *— ზუსტად ასე მითხრა.*
>
> *ამაზე მივუგე, ამ თემას ჩემს გამოსვლაში მე გამოვიტან, ამის დრო მოვიდა, ხალხი მხარს ნამდვილად დამიჭერს, თქვენ კი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებით-მეთქი.*
>
> ***— რას ამბობ, რას ამბობ, განა ასე შეიძლება?***
>
> *ისევ ვუთხარი, რომ მთელი სერიოზულობით ვამბობდი ამას.*
>
> *—* ***კმარა,*** *— მიპასუხა, —* ***ხვალ აღვადგენ ამ ფორმულირებას.***
>
> *მეორე დილით, სამსახურში წასვლამდე დამირეკა. მე უკვე კაბინეტში ვიყავი და ყრილობაზე წასასვლელად ვემზადებოდი. შემრიგებლური ტონით, შინაურულად და ცოტა ირონიულადაც კი მითხრა:*
>
> *—* ***შენი დავალება შესრულებულია“*** *(იქვე, გვ. 133).*

და გორბაჩოვმა ყრილობაზე პირველად თქვა ასე საჯაროდ: ჩვენ ავღანეთიდან უნდა გამოვიყვანოთ ჯარებიო!

მემუარისტი იხსენებს, როგორ ჩავიდა ცოტა ხანში, 1988 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, ქაბულში, სადაც **ნაჯიბულამ** უპატაკა — აქ თქვენი თანამემამულე ქართველები იბრძვიანო:

> ***„მოსალმებისას ნაჯიბულამ მითხრა: „ინტერნაციონალისტ მეომრებს შორის თქვენი თანამემამულეებიც არიან, 1649 კავკასიელი, მათგან 314 ქართველი“. არ შევიმჩნიე: ვიცოდი, რომ იქ მარტო იმ საბჭოთა ჯარისკაცების გადარჩენისთვის კი არ ვიყავი ჩასული, ვისაც ხოცავდნენ და ვინც ხოცავდა, ან მხოლოდ ავღანელების გადასარჩენად, არამედ იმ ქართველების და კავკასიელების გადასარჩენადაც, რომელთაც საერთოდ არაფერი ესაქმებოდათ ამ ქვეყანაში“*** *(იქვე, გვ. 133).*

მემუარისტი აქ კი, ცოტა არ იყოს, ჩვეულებისამებრ, ფარისევლობს: კავკასიელებისა და ქართველების გადასარჩენად ვიღვწოდი ავღანეთში ჩასულიო! ჯერ ერთი, 1988 წლის დასაწყისში **შევარდნაძე** საბჭოთა კავშირის ერთგული ფუნქციონერი გახლდათ და მისთვის ქართველი — საბჭოთა მოქალაქე იყო!

1988 წელს შევარდნაძეს ფიქრადაც არ შეეძლო, თავში გაევლო, ნწუ, ნწუ, აბა, რა ესაქმებათ საბჭოთა არმიის ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთშიო, რადგან საქართველო საბჭოთა კავშირის ბუნებრივ შემადგენელ ნაწილად მიაჩნდა!

მეორეც, **შევარდნაძე** 1988 წელს კი არა, 1991 წლის 17 მარტისთვისაც კი (როდესაც სამოკავშირეო რეფერენდუმს ლობირებდა საქართველოში) საქართველოს საბჭოეთის ნაწილად განიხილავდა!

და ასე იყო 1991 წლის 25 დეკემბრამდე, სანამ გადადგომის შემდეგ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად დაბრუნებულს, გორბაჩოვმა არ გამოუცხადა — საბჭოთა კავშირი არსებობას წყვეტსო...

შემდეგ მემუარისტი იხსენებს, ავღანეთში ვიზიტის შემდეგ როგორ უსაბუთებდა პოლიტბიუროს ავღანეთიდან გამოსვლის აუცილებლობას:

> ***„მოსკოვში, პოლიტბიუროს წევრების მხარდაჭერა რომ მომეპოვებინა, მათ წინაშე მოხსენებით წარვსდექი და ყველაფერი დაუფარავად მოვახსენე. ვთქვი: „ავღანეთი ომით დაიღალა. ავღანელთა უმრავლესობა ჩვენ მხარეზე არ დგას, მათ ვერაფერი მივეცით. ქვეყანაში ყველაფერი გაჩანაგებული და განადგურებულია. ხალხი შიმშილობს, არმია არაფრად ვარგა, ბრძოლისუუნაროა, ბევრია „მკვდარი სული“, ჯარისკაცების და ოფიცრების ფულს ითვისებენ, ბევრია დეზერტირიც...“ ამასთან დავძინე: „ავღანეთი უძირო ჭაა, რომელშიც უამრავი ფული იყრება, მეც არ ვიცი, რამდენი. თუ იაპონელების და ამერიკელების გათვლას ვენდობით, წელიწადში დაახლოებით ორ მილიარდამდე. ამასთან, იქ მარტო ჩვენი ხალხი კი არ იღუპება, არამედ ჩვენი ავტორიტეტი და ჩვენი ღირსებაც ილახება. მოკლედ, ავღანეთი ის ჭაობია, რომელიც უფრო და უფრო გვითრევს და იქიდან სწრაფად უნდა ამოვიდეთ...“*** *(იქვე, გვ. 134).*

შევარდნაძე იხსენებს საბჭოთა გენერალიტეტთან შეხვედრასაც:

> ***„ყველაზე რთული მაინც „ავღანელ“ სამხედროებთან შეხვედრა იყო. ხალხით გაჭედილ დარბაზში მხოლოდ მე ვლაპარაკობდი. შემაშფოთებელი დუმილით შემხვდნენ, არც შეკითხვები იყო, არც გამომსვლელები. ჩანდა, გენერალიტეტის ერთ ნაწილს ავღანეთიდან გამოსვლა არ სურდა. რატომ?! ხალხი ხომ იღუპებოდა?! იარაღით ვაჭრობა, ნარკოტიკების გასაღება იქ დიდ მასშტაბებს აღწევდა. ძნელი იყო ამის თქმა და ხომ არ დავმალავდი?!“*** *(იქვე, გვ.135).*

დიახ, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს მაფიას ავღანელ მოჯაჰედებთან დიდი ბიზნესი ჰქონდათ აწყობილი: რუსი გენერლები ავღანელ მტერს იარაღს ყიდდნენ, მათგან ჰაშიშს იღებდნენ, რომელიც შემდეგ სამხედრო თვითმფრინავებით შუა აზიაში შემოჰქონდათ და მთელ საბჭოთა კავშირში ასაღებდნენ!

მოკლედ, 1989 წლის 15 თებერვალს უკანასკნელმა საბჭოთა ჯარისკაცმა დატოვა ავღანეთი:

> ***„საბჭოთა ავანტიურა კრახით დასრულდა, მაგრამ ავღანელთა უბედურებას დასასრული არ ეწერა. ის დიდი სამოქალაქო დაპირისპირება, რომელიც საბჭოთა ჯარების იქ შესვლას მოჰყვა, ფაქტობრივად, დღესაც არ დასრულებულა. მე ეს მაშინაც კარგად ვიცოდი; ვიცოდი, ჯარების გამოყვანის შემდეგ ქვეყანა აირეოდა, ჩვენს მომხრეებს ანგარიშს გაუსწორებდნენ. ნაჯიბულას და მის მეუღლეს შევთავაზე, საბჭოთა კავშირში გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად. ორივემ უარი თქვა, უცხოეთში ცხოვრებას აქ სიკვდილი გვირჩევნია, აქ დავრჩებით ბედნიერ დასასრულამდე ან უბედურ აღსასრულამდეო.***
>
> ***მართლაც, ორივემ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე — ჩამოახრჩვეს. ეს ცოდვაც მათ კისერზე იყოს, ვინც საბჭოთა ჯარი შეიყვანა ავღანეთში და ხალხს დალაგებული ყოფა აურია“*** *(იქვე, გვ. 137).*

თუ გავიხსენებთ, რომ **შევარდნაძეს** თავად აქვს ნათქვამი მემუარებში, **ბრეჟნევმა** და საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრმა **უსტინოვმა** გადაწყვიტეს ავღანეთში ჯარების შეყვანაო, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ მათვე აკისრებს **ნაჯიბულას,** მისი მეუღლისა და მთელი ავღანეთის ცოდვასაც.

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

**„ვინც დასაქორწინებლად ემზადება, ლეღვი ხშირად მიირთვას!“**



# კახა საბახტარიშვილი: ავოკადო ორსულობამდეც და ორსულობის დროსაც ყველა ქალმა უნდა მიირთვას!



***ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი კახა საბახტარიშვილი იმ გასაოცარი მსგავსების შესახებ გვესაუბრება, რომელიც ადამიანის კონკრეტულ ორგანოებსა და ბუნებრივ საკვებ პროდუქტებს შორის არსებობს:***

— არაერთგზის გვითქვამს, რომ ძველი ჩინური მედიცინის თანახმად, ჩვენი ჯანმრთელობა კუჭიდან იწყება. არსებობს ასეთი გამოთქმაც — „რასაც ჭამ, ის ხარ!“ ბევრმა არ იცის, რომ ეს სიტყვები მედიცინის მამად წოდებულ **ჰიპოკრატეს** ეკუთვნის. მისი თეორიით, ორგანიზმი ყალიბდება იმ ელემენტებისაგან, რომლებიც კუჭში ამა თუ იმ საკვების სახით ხვდება.

ძველმა ჩინელებმა შეამჩნიეს ერთგვარი გარეგნული მსგავსება სხვადასხვა საკვებ პროდუქტებსა და ადამიანის სხეულის ორგანოებს შორის. უფრო მეტიც, ისინი მიხვდნენ, რომ იმ პროდუქტების რეგულარული მიღება, რომლებიც შესაბამის ორგანოებს გარეგნულად ჰგვანან, ხელს უწყობს ამ ორგანოების ეფექტურ მუშაობას და დაავადების შემთხვევაში იწვევს მათ განკურნებასაც კი. **ბოლო პერიოდში მეცნიერულად დამტკიცდა, რომ ის საკვები პროდუქტები, რომლებიც გარეგნული ფორმებით ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ორგანოს ჰგავს, ზუსტად იმ მინერალებს, ვიტამინებს, მიკროელემენტებს, ცილებს, ცხიმებს და სხვა სასიცოცხლო ნივთიერებებს შეიცავს, რომლებიც სწორედ შესაბამისი ორგანოს ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი.**

**— უფრო კონკრეტულად როგორ ფუნქციონირებს ეს სისტემა?**

— მაგალითად, **ავოკადო,** რომელიც ადრე ეგზოტიკურ და იშვიათ ხილად ითვლებოდა, მაგრამ დღეს ფართოდ გამოიყენება, ფორმით ძალიან ჰგავს **საშვილოსნოს,** ხოლო მის ნაყოფში მოთავსებული დიდი თესლი — **ემბრიონს.** ავოკადო პირდაპირ მისწრებაა ორსულთათვის, რადგან დიდი რაოდენობით შეიცავს **ფოლის მჟავას,** ანუ იმავე ვიტამინ B9-ს. ფოლის მჟავას ჩემი კოლეგები უნიშნავენ ნებისმიერ ქალს დაფეხმძიმებამდე 90 დღით ადრე. იგი უებარია 40 წელს გადაცილებული ყველა იმ ქალისთვის, რომელიც შვილის გაჩენას აპირებს. ფოლის მჟავა ქალის ჰორმონების შესანიშნავი მარეგულირებელიცაა. ის დადებითად მოქმედებს ნაყოფზე და ხელს უწყობს ზურგისა და თავის ტვინის ფორმირებას. **თუ ორსული ქალის ორგანიზმს ფოლის მჟავა აკლია, დიდია ორსულობის შეწყვეტის ან ნაყოფის ნერვული სისტემის განუვითარებლობის რისკი.** ფოლის მჟავის მიღება საშვილოსნოს ყელის სიმსივნის განვითარების რისკსაც მკვეთრად ამცირებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ავოკადო, რომელიც საშვილოსნოს ჰგავს, ფოლის მჟავის საბადოა, ამიტომ ორსულობამდე და ორსულობის დროსაც ყველა ქალმა უნდა მიირთვას! გარდა ამისა, ავოკადო მდიდარია უჯერი ცხიმოვანი მჟავებით, რომლებსაც უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო მოქმედება აქვთ. ქალის უშვილობა კი ხშირად სწორედ გინეკოლოგიური ანთებითი პროცესებით არის განპირობებული. საინტერესოა ის დამთხვევაც, რომ, **როგორც ნაყოფის ჩასახვიდან მის დაბადებამდე გადის 9 თვე, სწორედ ისე ავოკადოს ნაყოფის ფორმირებას დამწიფებამდე 9 თვე სჭირდება.**

**— ბევრი მეხსიერების გასაუმჯობესებლად ნიგოზს მიირთმევს, რას იტყვით ამის შესახებ?**

— ეს მართლაც ასეა! ნიგოზი დიდი რაოდენობით ომეგა-3-ს, E ვიტამინს, ფოლის მჟავას, რკინას, თუთიასა და მაგნიუმს შეიცავს. ყველა ეს ნივთიერება თავის ტვინის გამართული ფუნქციონირებისთვის არის აუცილებელი. **ნიგვზის ლებნები, რომლებიც ერთმანეთთან არიან შეერთებული, ზუსტად იმეორებენ თავის ტვინის მარჯვენა და მარცხენა ნახევარსფეროს ფორმას. ნიგვზის ლებნების ზედაპირსაც ზუსტად ისეთივე ხვეულები აქვს, როგორც თავის ტვინს.** ამიტომ, თუ გვინდა, კარგი მეხსიერება გვქონდეს, დღეში 3-5 ცალი ნიგოზი შევჭამოთ!




**„თუ გვინდა, კარგი მეხსიერება გვქონდეს, დღეში 3-5 ცალი ნიგოზი შევჭამოთ!“**

**— ბავშვობიდან ყველას გვაძალებდნენ სტაფილოს — კარგი მხედველობა გექნებათ! სად სტაფილო და სად თვალი? ისინი ერთმანეთს აშკარად არ ჰგვანან!**

— (იცინის) საქმე ის არის, რომ გადაჭრილი **სტაფილო** ზუსტად იმეორებს თვალის აგებულებას! სტაფილოს შუაში გუგაა, მას მოსდევს ერთი წრე და ბოლოს მთლიანად თვალია. სტაფილო შეიცავს **ბეტა კაროტინს,** რომელიც ასაკოვან ადამიანებს კატარაქტისგან იცავს. გარდა ამისა, სტაფილო მდიდარია B და C ვიტამინებით, რკინითა და კალციუმით, რომლებიც მხედველობას აძლიერებენ.

პომიდორი საქართველოში ძალიან უყვართ. ჩვენს ქვეყანაში მოყვანილი პომიდორი გემური თვისებებით მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. ბევრმა არ იცის, რომ პომიდორი უამრავ სიკეთესთან ერთად გულის უებარი წამალია. იგი შეიცავს **ლიკოპინს,** რომელიც უძლიერესი ანტიოქსიდანტია და კიბოს უჯრედებს ებრძვის. გარდა ამისა, ლიკოპინს უძლიერესი ანთების საწინააღმდეგო თვისებებიც გააჩნია. სისხლძარღვების ანთება კი, მოგეხსენებათ, ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზია. პომიდორი შეიცავს გულისთვის აუცილებელ B6 ვიტამინს, რომელიც ორგანიზმს თრომბოზის, ვარიკოზისა და ჰიპერტონიისგან იცავს. პომიდორი B6 ვიტამინისა და ლიკოპინის შემცველობის გამო ყველა ინფარქტგადატანილმა უნდა მიირთვას! თუ პომიდორს ზეითუნის ზეთს ან ავოკადოს დავუმატებთ, ორგანიზმის მიერ **ლიკოპინის** ათვისება ათჯერ გაიზრდება. პომიდორი უნიკალურია იმითაც, რომ მოხარშვის, ანუ საწებლად და ე.წ. ტომატად გადაქცევის შემთხვევაშიც ლიკოპინი არათუ თვისებებს კარგავს, არამედ მისი ხვედრითი წილი 50-ჯერ იზრდება! ყველამ ვიცით, რომ ადამიანის გული ოთხი კამერისგან შედგება — ორი წინა გული და ორი — პარკუჭი. **პომიდორი შუაზე რომ გავჭრათ, სწორედ გულის ოთხ კამერას ვნახავთ.** აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, რომ როგორც გული, ისე პომიდორი წითელია!

**— არაერთგზის გვითქვამს, რომ ბროკოლი განსაკუთრებულად ებრძვის კიბოს. სად ბროკოლი და სად კიბო, რას იტყვით ამის შესახებ?**

— ბროკოლი **სულფორაფანის** საბადოა, რომელიც კიბოს დაუძინებელი მტერია. კვირაში თუნდაც ორჯერ უმი ბროკოლის მირთმევა პროსტატის კიბოს განვითარების რისკს 70 პროცენტით ამცირებს. **ბროკოლი ფორმით ძალიან ჰგავს სიმსივნურ და მეტასტაზირებულ უჯრედებს. ასე რომ, ჰომეოპათიური მედიცინის ოქროს წესი — „მსგავსი იკურნება მსგავსით!“ — აქაც დაცულია!**

ყველამ კარგად იცის, რომ გოგრის თესლი პროსტატის პრობლემების მოსაგვარებლად და, საერთოდ, შარდსასქესო ორგანოების დაავადებების დასამარცხებლად ერთ-ერთი საუკეთესოა. მართლაც, გოგრა ფორმით ძალიან წააგავს შარდის ბუშტს და გოგრის ნაყოფი და მისი თესლიც ყველა იმ ნივთიერებას შეიცავს, რომელიც შარდსასქესო სისტემის გამართული მუშაობისთვის არის აუცილებელი.

**— არსებობს თუ არა ისეთი საკვები პროდუქტები, რომლებიც მამაკაცურ პოტენციაზე განსაკუთრებით მოქმედებს?**

— **ლეღვის ნაყოფს** წვრილი თესლები გააჩნია, რომელიც ზუსტად იმეორებს სპერმატოზოიდის ფორმას. ეს თესლები



**„ვინც სიგარეტს ეწევა, ყურძენი ხშირად უნდა მიირთვას!“**

**„ყურძნის მტევანი ფორმით ძალიან ჰგავს ფილტვის ალვეოლებს. შესაბამისად, ყურძენი ხელს უწყობს ამოხველებას და ძალზე კარგია ბრონქიტის, პლევრიტისა და ტუბერკულოზის დროს!“**

## კვირგვინოსნები

**ნუცა ჯანელიძე**
*კონცერტმაისტერი, მუსიკოსი*



**ეს არის ბავშვების მოწამვლა, რომ „უტყდებათ“ ქართული სიმღერის შესრულება.** რა დრო სჭირდება იმას, რომ შვილს ჩაურთოს ქართული მულტფილმი და აყურებინოს? არა, **მაინცდამაინც უცხოური წარმოების ცალთვალა მონსტრები უნდა ნახონ და მათ მიაჩერდნენ.** ასე არ შეიძლება! ყველამ ჩვენი წილი პასუხისმგებლობა უნდა ავიღოთ მომავალი თაობის წინაშე და **ბავშვები სწორ გზაზე დავაყენოთ.**

„სარკე“

**ირაკლი ქვანია**
*მოქანდაკე*



ბოლო **13 წლის განმავლობაში ქვეყანაში,** ალბათ, **10 ქანდაკება** დაიდგა და აქედან **5 ჩემია.** ეს სფერო მთლიანად კომატოზურ მდგომარეობაშია, აბსოლუტურად არავის აინტერესებს. **ამ საქმით შეუძლებელია ცხოვრება. ჩვენს ქვეყანაში ბანკის მენეჯერს უფრო დიდი შემოსავალი აქვს, ვიდრე მოქანდაკეს.**

„სარკე“

**სალომე ბაკურაძე**
*მომღერალი*



ჩემს ცხოვრებაში არის **ორი მთავარი მამაკაცი,** ქმარიც და შვილიც ძალიან მანებივრებენ, **ოჯახში ნამდვილი დედოფალი ვარ!**

„თბილისელები“

**თაკო აბაშიძე**
*მსახიობი*



დედამ და მამამ **დეპრესია** ერთმანეთს გადასდეს, მერე კი **ალცჰაიმერი** დაეწყოთ. არ ვიცი, ვის ოჯახში რა ხდება და არავის განვიკითხავ — **დედაჩემს ვერსად ჩავაბარებ და ეს ჩემი არჩევანია.**

„სარკე“

# „კიტრი ამაღლებს ტესტოსტერონის დონეს და აუმჯობესებს ერექციას!“

B6 ვიტამინსა და ისეთ ნაერთებს შეიცავენ, რომლებიც ზრდიან სპერმატოზოიდების ხარისხს, რაოდენობასა და მოძრაობის უნარს. გარდა ამისა,

**ლეღვის ნაყოფი შეიცავს სეროტონინს, რომელსაც ბედნიერების ჰორმონსაც უწოდებენ.**

ლეღვი ზრდის ლიბიდოს. ამიტომ ჩვენი რჩევაა, ვინც დასაქორწინებლად ემზადება, ლეღვი ხშირად მიირთვას!

პოტენციის ასამაღლებლად ძალზე კარგია მოლუსკები და მიდიები, რომლებიც ფორმით სათესლე ჯირკვალს ჰგვანან. ზღვის ამ პროდუქტებს აფროდიზიაკებსაც უწოდებენ. მოლუსკები და მიდიები დიდი რაოდენობით თუთიას შეიცავენ, რომელიც მამაკაცის რეპროდუქციული ორგანოების ფუნქციონირებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

ბევრი მიიჩნევს, რომ **კიტრი** მხოლოდ წყლის საბადოა და სხვა განსაკუთრებული ფუნქციები არ გააჩნია. არადა, კიტრში ძალზე ბევრი სასარგებლო ნივთიერება შედის. კიტრი გამორჩეულია იმითაც, რომ ამაღლებს **ტესტოსტერონის** დონეს და აუმჯობესებს ერექციას! **ამიტომ კიტრის გასაოცარი მსგავსება მამაკაცის ფალოსთან გასაკვირი სულაც არ არის.** კიტრი დიდი რაოდენობით სელენს შეიცავს. სელენის ნაკლებობა კი იმპოტენციას იწვევს! კორეულ მედიცინაში — სუ-ჯოკ თერაპიაში გამოიყენება ე.წ. მარცვლებით მკურნალობა, რაც გულისხმობს სხვადასხვა მარცვლის — ხორბლის, სიმინდის, ლობიოს, ბრინჯის და ა.შ. მარცვლების დამაგრებას ხელისგულის იმ ადგილებზე, რომლებიც, ამ თერაპიის თანახმად, სხვადასხვა ორგანოს შეესაბამება. ხელისგულზე ან ფეხზე, იქ, სადაც თირკმლის ზონაა, თირკმლის დაავადებების სამკურნალოდ ხშირად ამაგრებენ ლობიოს მარცვლებს, რაც შემთხვევითი არ გახლავთ. ლობიო თავისი ფორმით ძალიან ჰგავს თირკმელს. მისი ნახარში კარგი შარდმდენია და თირკმელში არსებულ ზოგიერთი სახის კენჭებსაც შლის. ლობიოს ნახარში თირკმლის ანთებასაც აქრობს. ამიტომ, ვისაც თირკმელი აწუხებს, ლობიო ხშირად უნდა მიირთვას! ეს არ ეხება იმათ, ვისაც პოდაგრა აქვს.



**— როგორც მაცხოვარი გვასწავლის, პური და ღვინო მისი სისხლი და ხორცია! ამაზე რას იტყვით?**

— წითელი ღვინო მართლაც წააგავს სისხლს. ღვინოში შემავალი **რასტვეროტოლი**, სხვა კომპონენტებთან ერთად, სისხლს ათხელებს, თრომბის წარმოქმნას ხელს უშლის, ქოლესტერინს დაბლა სწევს და უძლიერესი ანტიოქსიდანტია — სისხლძარღვის კედლებს ანთებისგან იცავს!

**ქართული „საფერავი“ თითქმის იმეორებს ჰემოგლობინის ფორმას, ამიტომ სისხლნაკლებობის დროს „საფერავი“ შეუცვლელია.**

რაც შეეხება **ყურძენს**, ყურძნის მტევანი ფორმით ძალიან ჰგავს ფილტვის ალვეოლებს. შესაბამისად, ხელს უწყობს ამოხველებას და ძალზე კარგია ბრონქიტის, პლევრიტისა და ტუბერკულოზის დროს! ყურძნის კანიც მდიდარია რასტვეროტოლით, რომელიც ფილტვის კიბოს საწინააღმდეგო საშუალებაა. ამიტომ, ვინც სიგარეტს ეწევა, ყურძენი ხშირად უნდა მიირთვას!

**— ბოლო დროს საქართველოში ზეთისხილიც ძალიან პოპულარული გახდა...**

— ზეთისხილის ხშირი მიღება საშვილოსნოს ყელის კიბოს საუკეთესო პროფილაქტიკაა. გარდა ამისა, ზეთისხილი ქალთა ჰორმონალურ ფონს აწესრიგებს. შემთხვევითი არ არის, რომ ზეთისხილი ფორმით ქალის საკვერცხეს წააგავს.

ძალზე სასარგებლო პროდუქტია **კოჭა, ანუ ჯანჯაფილი.** მასში შემავალი **გინგეროლი** საშიშ ჰელიკობაქტერია პილორს ებრძვის, რომელიც კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის ძირითადი გამომწვევი მიზეზია. კოჭაში შემავალი გინგეროლი აწესრიგებს ნაწლავების პერისტალტიკას და ზრდის კუჭის წვენის სეკრეციას. გასაოცარია, რომ კოჭა ზუსტად იმეორებს კუჭის ფორმას.

**— ადამიანის ძვლებს რომელი საკვები წააგავს?**

— **ნიახურის** ღერო ძალიან წააგავს ადამიანის ბარძაყისა და წვივის გრძელ ძვლებს. ნიახურში შედის სილიციუმი და ნატრიუმი. ორივე მიკროელემენტი ძვლებისთვის აუცილებელია. როდესაც ნატრიუმი გვაკლია, ამ დანაკლისს ორგანიზმი ძვლებისგან ივსებს, რის შედეგადაც ძვალი მყიფე ხდება. გასაოცარია ის ფაქტი, რომ ნატრიუმის შემცველობა ძვლის ქსოვილში 23 პროცენტია და ზუსტად იმავე პროცენტით ფიქსირდება ნიახურის ღეროშიც. ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. მაგალითად, გრეიფრუტი და, საერთოდ, ციტრუსები ქალის მკერდის სტრუქტურას იმეორებს, მარწყვი — კბილებს, ხოლო ტკბილი კარტოფილი, ანუ ბატატი პანკრეასს ჰგავს.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***



> **„ბროკოლი ფორმით ძალიან ჰგავს სიმსივნურ და მეტასტაზირებულ უჯრედებს. ასე რომ, ჰომეოპათიური მედიცინის ოქროს წესი — „მსგავსი იკურნება მსგავსით!“ — აქაც დაცულია!“**

**თარაზულად:** 1. ტროპიკული ხე, რომლის თესლისგანაც ამზადებენ შოკოლადს; 7. დედამიწის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი; 8. მამალი ცხენი; 9. მიწა, ნიადაგი, მყარი ზედაფენა მიწისა, ნიადაგისა; 13. გ. დანელიას ფილმი; 16. ერთდროული დაცლა რამდენიმე თოფისა, ზარბაზნისა; 17. გრაფზე დაბალი თავადაზნაურული ტიტული ევროპაში; 18. ურმების, საზიდრების, საბარგო ავტომანქანების და მისთ. ქარავანი; 22. ციებ-ცხელება; 25. კედლის ან ჭერის ნაწილი, რომელსაც შემოვლებული აქვს ორნამენტი და რომელშიც თავსდება რაიმე ნახატი ან სკულპტურა; 26. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 27. ძველი ხალხური თქმულება ქვეყნის წარმოშობაზე, ღმერთებსა და ლეგენდარულ გმირებზე; 32. ქალაქი ყაზახეთში; 34. სუსტი, ნელი ქარი, ნიავი; 35. ქართველი კინორეჟისორი; 36. სოფელი ადიგენის რაიონში; 41. აზრი, მსჯელობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებულისაგან, ეწინააღმდეგება საღ აზრს (ზოგჯერ მხოლოდ ერთი შეხედვით); 43. სარწყავად გაყვანილი პატარა არხი; 44. ტიპობრივი ნიმუში, რასაც უნდა შეესაბამებოდეს რაიმე ნაწარმი, საზომი, ნორმა, საფუძველი; 45. საფრანგეთის ძველებური ხურდა ფული.

**შვეულად:** 2. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელების (აგრეთვე შუა აზიის ზოგი ხალხის) სოფელი; 3. ფართოქუდიანი წვრილფეხა საჭმელი სოკო; 4. ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლეობა; 5. კურორტი ბულგარეთში; 6. მხარე საქართველოში; 10. მაღალი და მსხვილი ბალახი; 11. მტკნარი წყლის ერთგვარი თევზი, გოჭა; 12. ინგლისელი მწერალი, ცნობილი „ვინი-პუხის“ ავტორი; 14. ჭაობის მომცრო რუხ-მოყავისფრო ფრინველი, აქვს გრძელი და სწორი ნისკარტი; 15. მინერალი სხვადასხვა ფერისა, ზოგი სახეობა წარმოადგენს ძვირფას ქვას; 19. ეგვიპტის დედაქალაქი; 20. სოფიკო ჭიაურელის კინოროლი; 21. საზეიმო სიმღერა, რომელიც მიღებულია, როგორც სახელმწიფოებრივი ერთიანობის სიმბოლო; 23. ხელზე მოსამსახურე მამაკაცი; 24. რაიმე საკითხთან, საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების ერთობლიობა; 28. სოფელი კასპის რაიონში; 29. უბანი თბილისში; 30. მდინარე ინდოეთში; 31. ძვირფასი ნივთები, ძვირფასი რამ, ფასეულობა, სიმდიდრე, ქონება; 33. ოსური ცეკვა; 37. სახელმწიფო ხმელთაშუა ზღვაში; 38. ფინური აბანო; 39. ცხენის ერთგვარი გადამდები დაავადება; 40. გარეული თხა მურა-მოშავო ფერისა. ბინადრობს ალპურ ზონაში, არჩვი; 42. სულიერი მოძღვარი, მასწავლებელი (სანსკრ.)



**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. კაკაო; 7. მაკალუ; 8. ულაყი; 9. გრუნტი; 13. „აფონია“; 16. ზალპი; 17. ბარონი; 18. აღალი; 22. მალარია; 25. პანო; 26. ფრიდონი; 27. მითი; 32. კუსტანაი; 34. სიო; 35. მანაგაძე; 36. უდე; 41. პარადოქსი; 43. რუ; 44. სტანდარტი; 45. სუ.

**შვეულად:** 2. აული; 3. არყა; 4. მაორი; 5. ვარნა; 6. გურია; 10. შამბი; 11. კობრი; 12. მილნი; 14. ღალღა; 15. ოპალი; 19. კაირო; 20. ვარდო; 21. ჰიმნი; 23. ლაქია; 24. დოსიე; 28. ოკამი; 29. ისანი; 30. განგი; 31. განძი; 33. სიმდი; 37. მალტა; 38. საუნა; 39. ქოთაო; 40. ფსიტი; 42. გურუ.






## კვირგვინოსნები

**ზუკა ხუციშვილი**
*მომღერალი*



რომ გავიგეთ, ბიჭს ველოდით, არც შევთანხმებულვართ, **ისედაც ყველამ უსიტყვოდ ვიცოდით, რა სახელს დავარქმევდით.** ბიო მართლა განსაკუთრებული ადამიანი იყო, სიყვარულის მეტი არაფერი უკეთებია. იმედია, ჩვენი შვილიც ასეთი იქნება.

„თბილისელები“

**კახა ზივზივაძე**
*ბუთხუზ ზივზივაძის მამა*



უზარმაზარი ჯილდო გადასცეს ბიჭებს, რასაც **ღირსების ორდენი** ჰქვია. ნამდვილად ვერ წამოვიდგენდი, თუ **ჩემს შვილს ასეთი ჯილდო ერგებოდა** და უღრმესი მადლობა ქვეყნის მეთაურს.

„თბილისელები“

**ლეო მესი**
*ფეხბურთელი*



**მე ვარ ადამიანი დიდი გულით.**

„ახალი თაობა“

**ირმა სოხაძე**
*მომღერალი*



როდესაც რაღაც მტკივა ან ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი რამ ხდება, **ყოველთვის ქაშუეთში მივდივარ.** პირველ სართულზეც და მეორეზეც ღვთისმშობლის ხატებია დაბრძანებული. **ჩემს სიხარულს თუ გასაჭირს ყოველთვის ამ ხატებს ვუზიარებ.** რასაც შევთხოვ, მერე კეთილად მისრულდება ხოლმე. **ეს ხატები ჩემთვის სასწაულმოქმედია.**

„სარკე“

**გიორგი სუხიტაშვილი**
*მომღერალი*



მინდა, როცა აღარ ვიქნები, **„სუხიტას ბაღი“** დარჩეს და იცოდნენ მის შესახებ.

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი:
# კვირის დღეები და მათი მახასიათებლები

*სხვადასხვა საქმის უკეთ შესასრულებლად, სასურველი შედეგის მისაღებად და მიზნის მისაღწევად ხშირად მხოლოდ სურვილი და შემართება საკმარისი არაა. იღბლიანობაც და სხვა ხელშემწყობი ფაქტორებიც დიდწილად მოქმედებს საბოლოო შედეგზე. ამისათვის კი აუცილებელია, ზუსტად დაიგეგმოს მოქმედებები და ასტროლოგიის დახმარებით განისაზღვროს კვირის სასიკეთო დღეები. — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ასტროლოგი* ***მიხეილ ცაგარელი.***

## 22-28 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი (21.03-20.04)**
**გაიზრდება აქტიური მოქმედებების სურვილი, თუმცა, გარშემო მყოფების მხრიდან შესაძლოა, გადააწყდეთ წინააღმდეგობებს. გაგაღიზიანებენ უფროსი თაობის ადამიანებიც და ხელმძღვანელებიც, ამიტომ ეცადეთ, ნაკლებად იკამათოთ მათთან. შესაძლოა, აუცილებელი გახდეს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევებისა და მკურნალობის ჩატარება. უეცარ სასიყვარულო კავშირებს კი ერიდეთ.**

**კურო (21.04-20.05)**
**თქვენი ენთუზიაზმი გადამდებად იმოქმედებს გარშემო მყოფებზე. სამსახურის საქმეებში წარმატებისთვის გამოიყენეთ არაორდინარული გზები და მეთოდები. შეიძლება იმიჯის შეცვლაც. იღბლის იმედად ნუ გარისკავთ, რათა სახიფათო სიტუაციაში არ აღმოჩნდეთ. აუცილებლობის შემთხვევაში დახმარებას გაგიწევენ ახლობლები. ეს კარგი დროა მოგზაურობისთვის. უცხოელებთან ან უცხოეთში მცხოვრებ ახლობლებთან ურთიერთობა დაგეხმარებათ თავდაჯერებულობის გაძლიერებაში.**

**ტყუპი (21.05-22.06)**
**კეთილგანწყობა და ახლისადმი ინტერესი ბევრ საინტერესო ადამიანთან დაგაკავშირებთ. ნებისმიერ საკითხში იხელმძღვანელებთ ესთეტიკური პრინციპებით. ამის მეშვეობით განახორციელებთ ბევრ ჩანაფიქრს და აიმაღლებთ ავტორიტეტს. შესაძლოა, გაიცნოთ ადამიანი, რომელთანაც მალე ღრმა სასიყვარულო გრძნობა ჩამოგიყალიბდებათ. ეს კარგი დროა ძველი ჩანაფიქრების განსახორციელებლად, ახალი ნივთების შესაძენად, მოგზაურობისთვის, ექიმებთან ვიზიტისა და მკურნალობის დასაწყებად.**

**კირჩხიბი (23.06-22.07)**
**თავს სანაქებოდ იგრძნობთ და მოგინდებათ ბევრი რამის ერთდროულად შესრულება. გაიზრდება თქვენი თავისუფლების ხარისხი და ადვილად შეძლებთ შემოქმედებითი უნარისა და ნიჭის გამოვლენას. სტაბილური საქორწინო ურთიერთობა და მშვიდი ოჯახური გარემო ხელს შეუწყობს თქვენს კარიერულ და პროფესიულ ზრდას. კარგი დროა მოგზაურობებისა და მივლინებებისთვის. ქუჩაში მოძრაობისას კი დაიცავით წესები, რათა არც სხვასა და არც საკუთარ თავს არ შეუქმნათ პრობლემები.**

**ლომი (23.07-23.08)**
**პროფესიულ საქმეებში გაეცანით უახლეს მეთოდებს, რათა მოძველებული შეხედულებების გამო არ გაგირთულდეთ სამუშაო და არ დაკარგოთ მოგება. გადახედეთ პრიორიტეტებს და დაისახეთ ზუსტი მიზნები. თქვენ შესახებ ჭორების გაგებისას ეცადეთ, დროულად გაარკვიოთ გაუგებრობები. ბავშვებთან, საყვარელ ადამიანთან და ოჯახის წევრებთან ყველა გაუგებრობა ადვილად გაირკვევა. მოგზაურობისას გამოიჩინეთ სიფრთხილე, რათა თავი აარიდოთ პრობლემებს.**

**ქალწული (24.08-23.09)**
**ინტენსიური შემოქმედებითი პერიოდია, რომელიც აღსავსე იქნება ახალი საქმეებით, ინტერესებითა და გართობით. მოგებას მოგიტანთ პარტნიორებთან დადებული კონტრაქტები და გარიგებები. ბევრი მიმოწერისა და ინფორმაციის გაცვლისას ეცადეთ, არ დაუშვათ შეცდომები. სასიყვარულო ურთიერთობებში ჯობს, ნაკლებად იეჭვიანოთ, რათა გაუგებრობები საყვარელ ადამიანთან დაცილების მიზეზი არ გახდეს. ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. დრო კარგია მოგზაურობისთვისაც.**

**— ბატონო მიხეილ, ყველა ზოდიაქოს ნიშანს აქვს კვირის განსაკუთრებული დღე. სწორედ ეს არის ის დღე, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები უნდა მიიღოთ. მაშ, რა მნიშვნელობა აქვს კვირის დღეებს და როგორ მოქმედებს ისინი ადამიანზე?**

— **შვიდდღიანი კვირა** ოფიციალურად პირველად ნახსენებია ძველ რომაულ წყაროებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-2 საუკუნეში. თუმცა, სავარაუდოდ, მისი საწყისი ბევრად უფრო ადრინდელი უნდა იყოს. **კვირის დღეების რაოდენობა — 7 — შეესაბამება ე.წ. სეპტენერს, ანუ იმ მოძრავი პლანეტებისა და მნათობების რიცხვს, რომლის დანახვაც შეგვიძლია შეუიარაღებელი თვალით.**

ასტროლოგიური თვალსაზრისით კვირის თითოეულ დღეს შეესაბამება სხვადასხვა პლანეტა, რომელიც მფარველობს ამ დღეს და აძლიერებს ან ასუსტებს სხვა ფაქტორების ზემოქმედებას. გარდა ამისა, ყველა პლანეტას გააჩნია თავისი მახასიათებელი, თავისი სიმბოლო, რიცხვი, ლითონი, ძვირფასი ან ნახევრადძვირფასი ქვა და ფერი. რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, დღის ენერგიის გაძლიერება ტანსაცმლისა და აქსესუარების ფერით, თილისმით თუ სიმბოლოთი კიდევ უფრო აძლიერებს ამ დღის პოზიტიურობასა და შედეგიანობას. ამ ინფორმაციის ცოდნისა და სწორად გამოყენების დახმარებით შესაძლებელი იქნება დღეების ზუსტად შერჩევა, მაგრამ ამისათვის, **უპირველესად, საჭიროა კვირის თითოეული დღის შესაბამისი პლანეტის ცოდნა.**

**ასტროლოგიური კვირა ჩვეულებრივ იწყება კვირა დღით,** მაგრამ არ დავარღვიოთ ტრადიცია და დავიწყოთ **კვირის პირველი დღიდან — ორშაბათიდან.** მას მფარველობს ცვალებადი, ინსტინქტური, გაუწონასწორებელი და ემოციური მთვარე. ეს ციური სხეული საკმაოდ სწრაფად მოძრაობს, სწრაფად იცვლის ადგილსამყოფელს და დღის მანძილზე შეიძლება რამდენიმე სხვადასხვა ასპექტი შექმნას სხვადასხვა პლანეტებთან, ან სულაც შეიცვალოს ზოდიაქოს ნიშანი. ამიტომ **ორშაბათი მძიმე დღედ ითვლება.** ამ დღეს დაწყებული საქმეები ან ძალიან ადვილად და სწრაფად გამოვა, ან შეიძლება მოულოდნელად, გაურკვეველი მიზეზების გამო საერთოდ არ გამოვიდეს. ამიტომ განსაკუთრებული აუცილებლობის გარეშე ორშაბათს საქმის დაწყება, სერიოზული საქმიანი შეხვედრების ჩატარება, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღება რეკომენდებული არაა, რათა არაფერი შეგეშალოთ, ან რამე არ გამოგრჩეთ. მთვარე ასახიერებს სახლს, ყოფას, ოჯახს, დედობრიობას. მთვარეს არ უყვარს მარტოობა, ამიტომ კარგია ამ დღის ახლობლებთან და მეგობრებთან ერთად გატარება, ურთიერთობა, პოზიტიური განწყობის სხვებისთვის გაზიარება. ასევე დღეს ხელს უწყობს ოჯახის წევრებთან (განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლებთან, მშობლებთან, ქალბატონებთან), ნათესავებთან ურთიერთობას, ყოველდღიური საქმეების შესრულებას, რომლებსაც არ სჭირდებათ აჩქარება. ასევე კარგია რაიმეს გამოცვლა, გამოსწორება, დამატება, საკვების მარაგის მომზადება, მედიტაციების ჩატარება და სპორტის ნაკლებდინამიკური სახეობებით დაკავება, სეირნობა (განსაკუთრებით მდინარეებისა და ტბების მახლობლად). **ამ დღის ფერებია თეთრი, რძისფერი, ვერცხლისფერი, ღია ცისფერი, სპილოსძვლისფერი. ლითონებიდან შეესაბამება ვერცხლი, ძვირფასი თვლებიდან კი — მთვარის ქვა, მარგალიტი, კატის თვალი, ოპალი, მთის ბროლი.** სწორედ მათი დახმარებით ძლიერდება ამ დღეს ინტუიცია და მგრძნობელობა, რაც ხელს უწყობს წარმატებით მოქმედებას.

**სამაგიეროდ, ძალზე ენერგიული და მიზანმიმართულია სამშაბათი,** რომელსაც მფარველობს ძლევამოსილი **პლანეტა მარსი. ამ დღეს შეიძლება ნებისმიერი ჩანაფიქრის თამამად განხორციელება და წინააღმდეგობების დაძლევა.** დღეს ხელი ეწყობა ფიზიკურ საქმიანობას, ვარჯიშს, აქტიურად ცხოვრებას, კონკურენტებთან ბრძოლას. მარსი ძალზედ აქტიური, ფიზიკურად ძლიერი, თამამი, ვნებიანი, ენერგიული და აგრესიული პლანეტაა. ამიტომ საქმეების დაწყებისას მიზნის სწრაფად და ზუსტად მისაღწევად აუცილებელია არამარტო ქმედითუნარიანობა და შემართება, არამედ ინიციატიურობა და მცირედი აგრესიულობაც. ამ შემთხვევაში სამშაბათი დაგვაჯილდოვებს სასურველი შედეგებით. საქმიანი მოლაპარაკებებისთვის და საოჯახო საქმეებისთვის იგი ნაკლებეფექტურია, რადგან შემოაქვს გაღიზიანება, დაძაბულობა და კონფლიქტურობა, მაგრამ ფიზიკური შრომის არ უნდა შეგვეშინდეს, რადგან ამ დღეს პლანეტა მარსის დახმარებით საკმარისი იქნება ძალაც, ენერგიაც და ამტანიანობაც, რათა მივაღწიოთ საწადელს. ფერებიდან მარსს შეესაბამება ხასხასა წითელი, მეწამური, ცეცხლისფერი, ხაკი და მოწითალო-მოყავისფრო ფერები, ამიტომ ამ ფერების ტარება გააძლიერებს გამბედაობასა და ამტანიანობას. გაზრდილი აგრესიის პირობებში კი ამ დღეს ამ ფერებისგან უმჯობესია, თავი შეიკავოთ. სამკაულებში სასურველია, ფიგურირებდეს რკინა და მისი შენადნობები, ხოლო ძვირფასი ქვებიდან — ჰემატიტი, ლალი, ძოწი და წითელი მარჯანი.

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 22-28 აპრილის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი (24.09-22.10)**
**მიზანდასახული, ენერგიული და ძალზე მობილური გახდებით და შეძლებთ ძველი საქმეების დასრულებასა და ახლების დაგეგმვას. კარგი დროა სამეცნიერო კვლევისთვის, მიუხედავად ამისა, შესაძლოა, შეგექმნათ მოულოდნელი პრობლემები, რომელთათვისაც არ იქნებით მზად. ჯანმრთელობაზე დადებითად იმოქმედებს სპორტული ვარჯიში. ახალი რომანტიკული კავშირი მეტად ინტერესთა ერთიანობას დაეფუძნება, ვიდრე გრძნობებს.**

**მორიელი (23.10-22.11)**
**თქვენი ენერგოპოტენციალი მოიმატებს, რაც ხელს შეგიწყობთ მრავალი შეხვედრისა და მოლაპარაკების წარმართვაში. კარგი დროა ახალი გეგმებისა და საქმეების დასაწყებად. წარმატებებმა შესაძლოა, გიბიძგონ ცოდნის გაღრმავებისკენ. სასიყვარულო ურთიერთობისთვის დრო შესაძლოა, არ დაგრჩეთ, რაც პარტნიორის ეჭვსა და უკმაყოფილებას გამოიწვევს. გართულებების თავიდან ასაცილებლად ეცადეთ, დროულად გაარკვიოთ ყველა უთანხმოება. ახლო მოგზაურობა დადებითად ჩაივლის.**

**მშვილდოსანი (23.11-21.12)**
**უცხოელებთან და სხვა ქალაქის მაცხოვრებლებთან კონტაქტი ბევრ სასიკეთო ცვლილებას გამოიწვევს თქვენს პროფესიონალურ სფეროში და შესაძლოა, ახალი საქმიანი შემოთავაზებებიც მიიღოთ. რთულ სიტუაციებში ინტუიციას მიენდეთ. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად გადაამოწმეთ, რათა იპოვოთ გამოსავალი ყველაზე ჩახლართული სიტუაციებიდან. ნუ გადადებთ საქმეებს დასვენებისა და მხიარულების გამო. კარგი დროა ხანმოკლე რომანტიკული ან საქმიანი მოგზაურობისთვის.**

**თხის რქა (22.12-19.01)**
**კარიერაში ზრდისა და სოციალური სტატუსის გაუმჯობესების სურვილი იმდენად დიდი იქნება, რომ გაგიჭირდებათ ყველაფერ დანარჩენზე ფიქრი. შინაგანი წონასწორობა დაგეხმარებათ სირთულეების წარმატებით გადალახვაში და მიზნების მიღწევაში. ნათესავების მეშვეობით შესაძლოა, გაიუმჯობესოთ ფინანსური და სოციალური მდგომარეობა. გადაადგილებები და მოგზაურობა ახალი იდეებით აღგავსებთ. საყვარელ ადამიანთან ეცადეთ, არ დამალოთ ემოციები და დროულად გამოთქვით სურვილები.**

**მერწყული (20.01-18.02)**
**პროფესიულ საქმეებში წარმატებისთვის დამოუკიდებლად მუშაობა მოგიწევთ. ხელმძღვანელი პირების კეთილგანწყობა დადებითად აისახება თქვენს საქმეებსა და სოციალურ მდგომარეობაზე. შემოსავლის მიღება შესაძლოა, დაგვიანდეს, თუმცა, მატერიალური მდგომარეობა მთლიანობაში არ გაუარესდება. უცხოელებთან კონტაქტი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს. მიუხედავად კარგი გუნება-განწყობისა, ეცადეთ, არ გადატვირთოთ ორგანიზმი.**

**თევზები (19.02-20.03)**
**შემოსავალს რამდენიმე წყაროდან მიიღებთ, მაგრამ ხარჯვისას ჯობს, ყველაფერი წინასწარ გადაანაწილოთ. ენერგია საკმარისი გექნებათ, რათა მრავალ საქმეს ერთდროულად გაუმკლავდეთ. თუმცა, ეს საქმეები თქვენთვის ნაცნობი უნდა იყოს. შემოქმედებითი მიდგომით საქმეს არატრადიციული გზით სწრაფად შეასრულებთ და გარშემო მყოფების შექებას დაიმსახურებთ. მოგზაურობისა და დასვენებისას შესაძლოა, ახალ სასიყვარულო ურთიერთობას ჩაეყაროს საფუძველი.**



## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია
### 23,24,26 და 28 აპრილი

**24 აპრილი — სავსემთვარეობა;**
**8 მაისი — ახალმთვარეობა.**



# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 22 აპრილი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.10 საათზე, ჩადის 18.50 საათზე. **მთვარე** სასწორის ზოდიაქოშია. ამოდის 17.27 საათზე, ჩადის 04.25 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 19.20 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** დაძაბული დღეა, მოერიდეთ ხალხის მასებში ყოფნას, კონფლიქტების ალბათობა მაღალია. კარგი დღეა შემოქმედებითი მუშაობისთვის, ახალი სამსახურის ძიებისთვის, კბილების, ტერფების მკურნალობისთვის, კოსმეტკური პროცედურების ჩატარებისთვის. პარტნიორულ ურთიერთობაში შესაძლებელი იქნება სადავო, რთული საკითხებისა და სიტუაციის მოგვარება. პოზიტიური დღეა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის, ავეჯის შესაძენად, სიყვარულისა და ქორწინებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ხელოვნების ნიმუშების ყიდვა-გაყიდვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ცირკონი, ტოპაზი. **პოზიტიური დღე**ა ლომისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 23 აპრილი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.08 საათზე, ჩადის 18.51 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 18.30 საათზე, ჩადის 04.44 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 20.39 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდია. გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ფინანსური პროვოკაციების დღეა, იყავით ყურადღებით. პარტნიორულ ურთიერთობაში შესამჩნევი იქნება არასტაბილური, ემოციური მდგომარეობა. არ გაიციოთ წელი, თირკმლები. მოერიდეთ ტრანსპორტის ყიდვა-გაყიდვას, კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ქორწინებისთვის, დიზაინის შესაცვლელად, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, აქსესუარების, კოსმეტიკა-პარფიუმერიის, ავეჯის, მუსიკალური აპარატურის შესაძენად, ექიმთან კონსულტაციისა და მკურნალობის დასაწყებად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული და შარდსასქესო სისტემა, თირკმლები, კანი. **ქვები:** ნეფრიტი, ლაზურიტი, ჟადეიტი, ციტრინი, საფირონი. **პოზიტიური დღეა** სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ტყუპებისთვის.

## 24 აპრილი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.07 საათზე, ჩადის 18.52 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 19.35 საათზე, ჩადის 05.05 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 22.02 საათზე. **სავსემთვარეობაა.** მე-3 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს **სავსემთვარეობაა** — მძიმე კოსმოსური ენერგიების, ტრავმების, ავარიების, აგრესიის, დეპრესიის, კონფლიქტების, ცდუნებების, შეცდომების დაშვების, ჯანმრთელობის გაუარესების დღეა, რაც განპირობებულია მზის და მთვარის ენერგიათა დაპირისპირებით კურო-ღრიანკალის ზოდიაქალურ ღერძზე. დაიცავით სიმშვიდე. ურთიერთობებს ნუ გაარჩევთ, შესაძლებლობისდაგვარად გადადეთ მნიშვნელოვანი, ახალი და სარისკო საქმეები. მოერიდეთ ხელშეკრულების დადებას, ინტიმურ კონტაქტებს, ფულის სესხებაგასესხებას. მოერიდეთ ბინის შეცვლას, ნოტარიული საბუთების გაფორმებას, რენტგენსა და სხივურ თერაპიას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო სისტემა. **ქვები:** ოპალი, ტოპაზი, ობსიდიანი, გიშერი, იასპი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მერწყულისთვის.

## 25 აპრილი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 06.06 საათზე, ჩადის 18.53 საათზე. **მთვარე** ღრიანკალის ზოდიაქოშია. ამოდის 20.42 საათზე, ჩადის 05.30 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 23.20 საათზე. მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** გონების, ინტელექტის, კომუნიკაციის მმართველი პლანეტა მერკური დღეიდან (16.51) ხდება სწორმავალი, რაც ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას, საჭირო ინფორმაციის მოძიებას, მოლაპარაკების წარმატებას, ტექნიკის გამართულ მუშაობას., ახალი კონტაქტების დამყარებას, სწავლას, მგზავრობა-მოგზაურობას. კარგი დღეა უსაფრთხოების სისტემების დასაყენებლად, მემკვიდრეობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად. თავი შეიკავეთ ინტიმური კავშირებისგან, მაღალია ვენერიული დაავადების ალბათობა. ბევრი იმოძრავეთ, ეფექტურია ყელ-ყურცხვირის, სასუნთქი სისტემის მკურნალობა. კარგი დღეა მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის. მოერიდეთ რენტგენს, სხივურ თერაპის, გინეკოლოგთან ვიზიტს, ნოტარიული საბუთების გაფორმებას, ადგილსამყოფლის (ბინის) შეცვლას, სესხის აღებას. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია შარდსასქესო, რეპროდუქციული სისტემა, ცხვირი. **ქვები:** ოპალი, გიშერი, იბსიდიანი, ტოპაზი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 26 აპრილი, პარასკევი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.04 საათზე, ჩადის 18.54 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 21.51 საათზე, ჩადის 06.00 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 23.56 საათზე, მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდია. გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ქრონიკული დაავადებების გამძაფრება დღეს და ხვალ მეტად შეეხება ტყუპებს, კირჩხიბებს, ღრიანკალს, მშვილდოსნებს. საკუთარ თავში მეტად გარკვევისა და ცრუ მეგობრებისა და მოშურნეებისგან გათავისუფლების დღეა. კარგია მგზავრობა-მოგზაურობა, ტექნიკის შეძენა, სპორტული ვარჯიშების, სუნთქვითი ვარჯიშების, წყლის პროცედურების ჩატარება, მეტყველების მკურნალობა, მასაჟი. მოერიდეთ მშენებლობას, სისხლის გადასხმას. კარგი დღეა სულიერი და ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სასამართლო პროცესებისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, სამეურნეო კვლევისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, ლაზურიტი, საფირონი, ქარვა, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, ტყუპებისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, ღრიანკალისთვის.

## 27 აპრილი, შაბათი

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.03 საათზე, ჩადის 18.55 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 22.57 საათზე, ჩადის 06.38 საათზე (მთვარის მე-19 დღე, მე-3 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა მგზავრობა-მოგზაურობისთვის, ექსკურსიებისთვის, ამავდროულად მაღალია ცდუნებებისა და ტყუილების ალბათობა. შესაძლებელი იქნება საქმიანი კავშირების დამყარება უცხოელ პარტნიორებთან. კარგი დღეა წიგნების, ანტიკვარული ნივთების შესაძენად, იურიდიული საქმეებისა და სასამართლო პროცესებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის, ხელშეკრულების დასადებად. ცუდი დღეა სისხლის გადასხმისთვის, მშენებლობისთვის, ყურების გასახვრეტად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, საფირონი, ლაზურიტი, იაგუნდი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 28 აპრილი , კვირა

**მზე** იმყოფება კუროს ზოდიაქოში. ამოდის 05.01 საათზე, ჩადის 18.56 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 23.57 საათზე, ჩადის 07.26 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 02.16 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის პერიოდია. გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სიფრთხილე გმართებთ წყალთან მიმართებაში. მოერიდეთ კონფლიქტებს, მითუმეტეს ნასვამ ადამიანებს. კარგი დღეა კანისა და ფრჩხილების მოვლისთვის, კუჭისა და სასუნთქი სისტემის სამკურნალოდ, სულიერი, ინტელექტუალური განვითარებისთვის, სწავლისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, მავნე ჩვევებისგან გათავისუფლებისთვის, უძრავი ქონების, მანქანის ყიდვა-გაყიდვისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები. **ქვები:** ფირუზი, სერდოლიკი, ნეფრიტი, ლალი. **საღამოს** — ონიქსი, ქრიზოპრაზი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, ტყუპებისთვის.

# საეკლესიო კალენდარი



**28 აპრილი – ბზობა. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში**

**22 აპრილი. ორშაბათი.** მოწამისა ევფსიქისა; მოწამეთა: დისან ეპისკოპოსისა, მარიავე ხუცისა, აბდიესისა და სხვათა ორასსამოცდაათთა; ღირსმოწამისა ვადიმ არქიმანდრიტისა.

✝ **23 აპრილი. სამშაბათი. ქვაბთახევის მონასტერში წამებულთა მამათა და დედათა ჟამსა თემურ-ლენგისასა;** მოწამეთა: ტერენტისა, პომპიოსი, აფრიკანესი, მაქსიმესი, ზენონისა, ალექსანდრესი, თეოდორესი და სხვათა ოცდაცამეტთა; მოწამეთა: იაკობ ხუცისა, აზადან და ავდიკი დიაკონთა, სპარსელთა; მღვდელმოწამისა გრიგოლ V-ისა; კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **24 აპრილი. ოთხშაბათი.** მღვდელმოწამისა ანტიპასი, ასიის პერგამის ეპისკოპოსისა; მოწამეთა: პროკესისა და მარტინიანესი; ღირსისა ფარმუთისი; ღირსისა იოანესი, ღირსისა გრიგოლ დეკაპოლელის მოწაფისა.

✝ **25 აპრილი. ხუთშაბათი. ღირსისა ბასილი აღმსარებელისა, პარიელი ეპისკოპოსისა;** მღვდელმოწამისა ზენონისა, ვერონიელი ეპისკოპოსისა; ღირსისა ისააკ ასურისა, იტალიის სპოლეტს; ღირსმოწამეთა: მინასი, დავითისა და იოანესი; ღირსისა ანთუსა ქალწულისა; ღირსისა ათანასია იღუმენიასი.

✝ **26 აპრილი. პარასკევი.** მღვდელმოწამისა არტემონისა, ლაოდიკიელი ხუცისა; მოწამისა კრისკენტისა, მირონლუკიელისა; მოწამისა თომაიდა ეგვიპტელისა.

✝ **27 აპრილი. შაბათი. ლაზარეს შაბათი. ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი.** წმიდისა მოწამისა დიმიტრისა; მარტინე აღმსარებელისა, რომის პაპისა; მოწამეთა: ანტონი, იოანე და ევსტათი ლიტველთა; მოწამისა არდალიონისა; მოწამეთა 1000-თა სპარსელთა და აზატი საჭურისისა.

✝ **28 აპრილი. კვირა. ბზობა. უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში.** მოციქულთა 70-თაგანთა: არისტარქესი, პუდესი და ტროფიმესი; მესუკაველ მოწამეთა: სუქიასი და ათრვამეტთა მოყვასთა მისთა: ლუკიანესი, პოლიევქტოსი, კოდრატესი, იქდიოქისი, სვიქირიონისი, მენასი, ფოკასი, სვირჯისი, დომენტისი, ანდრიანესი, ზოსიმესი, ბიკტორისი, თალალესი, იორდანესი, ანასტასიასი, თეოდორიტესი, იაკობისი და თევდოსისი; მოწამეთა: ბასილისასი და ანასტასიასი; მოწამისა საბა გუთელისა.




**მაღაზია «ბუკვიცა»**

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე

574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.





ლეგენდარული **დიმიტრი ალავიძე**

ლეგენდარული **ვასილ მჟავანაძის**

პირველი სტუმრობიდან **57-ე წელია,**

**მცხეთის სალობიეში**

**გეპატიჟებათ!**





### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. ბანდა; 9. დეკა; 11. მონოლითი; 12. რაინისი; 13. ზორგე; 14. ლანა; 15. სერაფინო; 16. მხევალი; 17. ნინუა; 18. ჟოლო; 19. მარინადი; 23. რქოვანა; 24. პიკე; 26. ნუგა; 27. იდიოტიზმი; 28. ბაზისი; 31. პალმა; 32. ლას; 34. აპერიტივი; 35. რექტორი; 36. ნინძა; 37. ეპიფიზი; 40. მარმელადი; 41. ჩაკა; 43. მაზარინი; 46. ბოტანიკური; 47. რინგი; 48. არ; 49. გოზინაყი; 53. ბალერინა; 56. პასი; 58. ტალავერი; 59. სალონიკი; 60. ვიზიტი.

შვეულად: 1. მონეტა; 2. ბოკალი; 3. კილიტა; 4. ბიზონი; 5. ნარინჯი; 6. არემარე; 7. მინესოტა; 8. ფილაქანი; 9. დილიჟანი; 10. კინოლოგია; 19. მძინარე; 20. როიტერი; 21. ნიტრიტი; 22. დიზაინი; 24. პიპინია; 25. კალანდა; 28. ბარამბო; 29. ზაქარიაძე; 30. სტოპერი; 32. ლიგატურა; 33. სანიკიძე; 38. პრადო; 39. ფრაკი; 41. ჩირი; 42. კანკანი; 44. ირა; 45. ბიბინი; 46. კანონი; 49. გეტა; 50. ზოლა; 51. ნევა; 52. ყური; 54. ლისი; 55. რული; 57. პკე.

**კარტიეტაპირიჩარდაშიკისტადიონისეტერიერინია**
**გალავანილიპომადასტადიალოგიკატონიკიტრიტონი**

| ფრანგული საიუველირო ფირმა | ტროპიკული ტყეების ბინადარი | უნგრული ცეკვა | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | ღვინის ბერძნული ღმერთი | სახელწოდება ძაღლის ჯიშისა | ...ბრუზი-ნსკაია – ქალაქი „ბამზე“ |
|---|---|---|---|---|---|---|

| ბანქო | სტადია | მსახიობი ... გირი | ნ. ლორთქიფანიძე – „სოფლის ...“ | სპორტული ნაგებობა | მონადირე ძაღლის ჯიში | შურისმაძიებელი ბერძნული ქალღმერთი |
|---|---|---|---|---|---|---|



თარაზულად: 4. ყაჩაღთა ჯგუფი; 9. სიმებიანი მუსიკალური საკრავი; 11. მთლიანი ქვის ლოდი; 12. ლატვიელი პოეტი; 13. სსრკ-ის მზვერავი იაპონიაში; 14. რეჟისორი ... ღოღობერიძე; 15. ფილმი ა. ჩელენტანოს მონაწილეობით; 16. ხელზე მოსამსახურე ტყვე ქალი (ძვ.); 17. ქართველი მსახიობი მამაკაცი; 18. კენკროვანი ბუჩქი; 19. მწნილი; 23. თვალის გარსი; 24. ბამბის ერთგვარი მტკიცე ქსოვილი; 26. ერთგვარი ტკბილი კანფეტი; 27. ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 28. სვეტის ქვედა უფრო მსხვილი ნაწილი; 31. ქოქოსის ხე; 32. ქალაქი ... ვეგასი; 34. სუსტი სპირტიანი სასმელი; 35. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი; 36. მეომარი კუ (მულტფილმი); 37. ტვინის ზედა დანამატი — გირჩისებრი ჯირკვალი; 40. ხილის წვენის საკონდიტრო ნაწარმი; 41. ზულუსების მმართველი; 43. ფრანგი კარდინალი; 45. ... ბაღი, სადაც გაშენებულია სხვადასხვა მცენარე; 47. კრივის მოედანი; 48. ფილმი „... დაიდარდო“; 49. საახალწლო ქართული ნუგბარი; 53. ბალეტის მოცეკვავე ქალი; 56. ბურთის გადაცემა თანაგუნდელისათვის; 58. ფანჩატური; 59. ქალაქი საბერძნეთში; 60. სტუმრობა.

შვეულად: 1. ლითონის ფული; 2. ფეხიანი სასმისი; 3. ფოლგა; 4. ჩრდილოამერიკული გარეული ხარი; 5. ციტრუსოვანი მცენარე; 6. მიდამო; 7. აშშ-ის შტატი; 8. იატაკზე დასაგები ქვის ფილა; 9. ქალაქი სომხეთში; 10. მეძაღლეობა; 19. ზღაპარი „... მზეთუნახავი“; 20. ინგლისის საინფორმაციო სააგენტო; 21. კაუჩუკის სავაჭრო სახელი სსრკ-ში; 22. მხატვრული მოდელირება; 24. აგულის მამა (ფილმი); 25. ახალი წელი გურიაში; 28. ქართული საკონდიტრო ნაწარმის ფირმა; 29. ქართველი მსახიობი სერგო ...; 30. ცენტრალური მცველი ფეხბურთში; 32. გადაბმული ნოტები; 33. ქართველი მწერალი („უქარქაშო ხმლები“); 38. სამხატვრო მუზეუმი მადრიდში; 39. ძველებური ბანქოს თამაში; 41. გამხმარი ხილი; 42. ფრანგული საესტრადო ცეკვა; 44. ირლანდიური არმია; 45. ბალახის ტალღისებური რხევა ნიავისაგან; 46. ნ. დუმბაძე — „მარადისობის ...“; 49. იაპონიაში გავრცელებული ხის ფეხსაცმელი; 50. ფრანგი მწერალი; 51. მდინარე რუსეთში; 52. სმენის ორგანო; 54. ჭაობის მცენარე; 55. თვლემა; 57. ღვინის ობი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ნაგებობის გარშემო შემოვლებული კედელი | კეთილ-თვისებიანი სიმსივნე | მედუდუკეთა ანსამბლი | საუბარი ორ პირს შორის | რომის პოლიტიკური მოღვაწე | ბოსტნეული | ხმის ჟღერადობის ელფერი |
|---|---|---|---|---|---|---|

| დიდი კონცერტი | სურნელოვანი სანელებელი | ტუჩის საცხი | რისამე განვითარების ეტაპი | მეცნიერება აზროვნების ფორმების შესახებ | უალკოჰოლო გაზიანი სასმელი | ხვლიკის მსგავსი ცხოველი |
|---|---|---|---|---|---|---|

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

☺ სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

👎 პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

😐 მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

? ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

⚥ მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

↘ მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

🔔 მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

👔 მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

👫 რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

☝ ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

🎁 შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.

| თვის რიცხვები | ვერძი | კურო | ტყუპები | კირჩხიბი | ლომი | ქალწული | სასწორი | მორიელი | მშვილდოსანი | თხის რქა | მერწყული | თევზები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22 ორშ. | ✈ | ☺ | ☺ | 👔 | 👍 | ? | 👔 | ! | 👫 | ! | 👎 | ☝ |
| 23 სამშ. | 🎁 | ↘ | ☝ | ⚥ | ↘ | ⚥ | ☝ | 📖 | ☝ | 🔔 | ! | ↘ |
| 24 ოთხშ. | ☯ | ⚥ | ☺ | ♠ | ♠ | ☝ | 🎁 | ⚥ | 👔 | 💣 | 📖 | 👫 |
| 25 ხუთშ. | 💣 | 📖 | 🔔 | 👔 | 👔 | ! | 💣 | 👍 | ! | ♠ | ♠ | ? |
| 26 პარ. | 👫 | 🍷 | 📖 | ? | ☺ | 😐 | ⚥ | 🤝 | ☯ | 👫 | 😐 | 🌴 |
| 27 შაბათი | ? | 🔔 | 🎁 | ☯ | 😐 | ☺ | ? | 👔 | ♠ | ☝ | ⚥ | ☺ |
| 28 კვირა | 🔔 | 👫 | 😐 | ♠ | ☝ | 💣 | 👫 | ⚥ | 😐 | ? | 🔔 | ☝ |

🤺 რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

📖 შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

👍 კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

💣 მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

✈ წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

🤝 სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

♠ ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

☯ შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

🍷 შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

! გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

🌴 იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზვავარბიული
ასავალ დასავალი
2024 წლის 22 – 28 აპრილი №18 (1536)
გამოდის ორშაბათობით

მედიაჰოლდინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:**
**mail@asavali.com**
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**
გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001
Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol